ნიკო ბაგრატიონი

ბურთებმოსნ

ამოგონება

საბჭოთა მწერალი
თ ბ ი ლ ი ს ი
1 . 9 . 5 . 1

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

ნიკო ბაგრატიონი

ბუკებთან

მოგონება

9835

თარგმნა და შენიშვნები
დაურთო
რაჟდენ გვეტაძემ

თბილისი
1 9 5 1

წინასიტყვაობა

ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ თბილისის ქუჩებზე ხშირად შეხვდებოდით არაჩვეულებრივი სიმაღლის ახოვან ვაჟკაცს, რომელსაც ძველებური ქართული ჩოხა-ახალუხი ეცვა. ნაცნობები მას „ნიკო ბურს“, ხანაც უფრო მოკლედ „ბურს“ ეძახდნენ, მაგრამ ბევრმა როდი იცოდა საიდან მიიღო ამ ქართველმა კაცმა ასეთი უცნაური მეტსახელი, როდი იცოდნენ, რომ ამ ბერიკაცს თითქმის ფანტასტიკური ბიოგრაფია ჰქონდა. თავისი ცხოვრების მანძილზე მან შემოიარა ნახევარი მსოფლიო, ახალგაზრდობის წლებში ის იარაღით ხელში იბრძოდა სამხრეთ აფრიკის ჯუნგლებში, მამაცურად და თავგანწირულად იცავდა ბურების პატარა რესპუბლიკას და ამის გამო იყო, რომ კაცთმოძულე ინგლისელმა იმპერიალისტებმა მას დახვრეტა მიუსაჯეს. ის სრულიად უბრალო შემთხვევის წყალობით გადარჩა სიკვდილს იმ წუთებში, როცა ინგლისელ ჯარისკაცს თოფი უკვე შემართული ჰქონდა მის მოსაკლავად. ეს ძალიან საინტერესო ამბავია და ნიკო ბაგრატიონი ამაზე ვრცლად მოგვითხრობს წინამდებარე თავის მემუარებში.

ნიკო ბაგრატიონის მემუარებს ინტერესით წაიკითხავს მკითხველი. მემუარების ავტორი — მეფე-პოეტის არჩილის (1647 — 1713 წ.) შორეული შთამომავალი იყო. არჩილ მეფისა და მისი

შვილის ბაქარის საგვარეულო თოფი სწორედ მათს ოჯახში ინახებოდა. ნიკო ბაგრატიონი დაიბადა და აღიზარდა მუხრანში, ძველი ფეოდალის პატრიარქალურ ოჯახში. წინამდებარე წიგნში ავტორი აგვიწერს თავისი ბავშვობისა და სიყრმის წლებს და ჩვენს თვალწინ იშლება ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრების რღვევისა და დეგრადაციის მკაფიო სურათი. მართალია, მემუარების ამ პირველ ნაწილში მკითხველისათვის მოულოდნელი და უცნობი არაფერი არ არის, ქართულმა მწერლობამ არა ერთგზის დაგვიხატა ფეოდალური არისტოკრატიის რღვევისა და დაცემის პროცესი, რომელიც კაპიტალიზმის შემოჭრის უშუალო შედეგი იყო. მე-19 საუკუნემ საქართველოც შემოაბრუნა ისტორიის ახალი გზისაკენ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის აღგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“.* ეს ისტორიულად გარდაუვალი პროცესი ბუნებრივად აყენებდა უმაღლესი წოდების ყოფნა-არყოფნის საკითხს. თავადაზნაურობა თანდათან ჰკარგავდა მამულებს. კაპიტალიზმმა, როგორც ყოველი სხვა საგანი, ისე ფეოდალის მამულიც აღებ-მიცემობის საგნად აქცია. გაბატონებულ წოდებას ხელიდან ეცლებოდა უკანასკნელი დასაყრდენი. მემამულეთა მიწები ნელა-ნელა ახლად მომძლავრებული ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა.

ვერც ავტორის პაპის, ნიკოლოზ ბაგრატიონის ოჯახი ასცდა ამ ისტორიულ ხვედრს. როცა ნიკო ბაგრატიონი თავის ოჯახის ვითარებას გადმოგვცემს და გულისტკივილით მოგვითხრობს თავის უშუალო წინაპრების თავგადასავალს,—ჩვენ ნათლად ვხედავთ არის-

---

ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. III, გვ. 704.

ტოკრატიული წოდების რღვევისა და დაკნინების პროცესს ერთი ოჯახის მაგალითზე. ცხადია, ნიკო ბაგრატიონის მემუარებში შეუძლებელია ვეძებოთ ზუსტი ანალიზი ამ ფითარებისა, მაგრამ ფაქტები, რომლებსაც ავტორი იხსენებს, თავისთავად მეტყველებენ. მემუარისტი მოგვითხრობს თავისი პაპის ამბებს, იხსენებს ეგრეთ წოდებულ „პრიკაზს“, სადაც მემამულეები აგირავებდნენ თავის მამულსა და ქონებას. ვიღაც ავანტიურისტმა, რომელიც მცოდნე ფინანსისტის როლში მოევლინა ქართველ თავად-აზნაურობას—მოაგროვა ორ მილიონ მანეთამდე ფული და ამ ფულიანად ამერიკაში გაიქცა. ამ ავანტიურის შედეგად მუხრანელ ბაგრატიონს 600 ათასი მანეთი თავისი პროცენტებით ვალად დაედვა. ეს იყო უზარმაზარი თანხა, რომლის გადახდა მუხრანელ მემამულეს აღარ შეეძლო. გადახდის ვადები კი მალე მოვიდა, და რადგანაც ბაგრატიონს ფული არა ჰქონდა, სახლიდან ორი ურემი ვერცხლეული გაიტანეს, გაჰყიდეს და ამ ფულით მარტო სართი ანუ პროცენტები გადაიხადეს, ვალი კი კვლავ ვალად დარჩა. ეს ამბავი, როგორც აღვნიშნეთ, ავტორის პაპის, ნიკოლოზ ბაგრატიონის დროს ხდებოდა.

ნიკოლოზ ბაგრატიონის ოჯახი ჩვენს ყურადღებას იპყრობს უმთავრესად იმ მხრივ, რომ, როგორც მემუარების ავტორი გადმოგვცემს, აქ თავს იყრიდა იმდროინდელი ინტელიგენცია. ამ ოჯახში ხშირად შევხვდებოდით პლატონ იოსელიანსა და სრულიად ახალგაზრდა რაფიელ ერისთავს, აქვე ხშირად სტუმრად ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილი, შემდეგში ამ ოჯახს დაუახლოვდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც თვით ამ მემუარების ავტორის ნათლობასაც დასწრებია. მემუარების ავტორი გადმოგვცემს არაერთ საინტერესო ცნობას ამ ადამიანებზე. ამ მხრივაც წინამდებარე წიგნს ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

პაპის სიკვდილის შემდეგ ბაგრატიონების ოჯახს „პრიკაზმა“ მამულები აუწერა და საჯაროდ გაუყიდა. იწყება არზების წერა, დაუცხრომელი ფაციფუცი, რათა საბოლოო კატასტროფისაგან იხსნან ოჯახი. ეს ყველაფერი ხდება ბავშვის თვალწინ და წიგნის ავტორიც ამ ბავშვობის შთაბეჭდილებებს ძალზე მკაფიოდ გადმოგვცემს. იგი გვიხატავს იმდროინდელ სოფელს, რომელიც დანახულია არისტოკრატიულ ოჯახში აღზრდილი ბავშვის თვალით. ამიტომ ყოველივე ამას ჩვენ კრიტიკული თვალით უნდა შევხედოთ: მემუარი ეკუთვნის ადამიანს, რომელიც აღზრდილია იმ ფეოდალურ ოჯახში, იმ არისტოკრატიულ ბუდეში, რომელსაც ისტორიამ სავსებით სამართლიანად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა; ბუნებრივია, რომ ავტორს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ამ წოდების მსოფლმხედველობა, იგი მისი ღვიძლი შვილია; ამიტომ მალალი წოდების ყველა ტკივილს საკუთარ ტკივილად მიიჩნევს. ეს ნათლად ატყვია მემუარების პირველ ნაწილს.

პატარა ნიკო ბაგრატიონი თავიდანვე გატაცებული იყო ძველი წიგნებითა და ფანტასტიკური ზღაპრებით. ის მოუსვენარი და დაუცხრომელი ტემპერამენტის კაცი იყო. 1899 წელს ნიკო ბაგრატიონი პეტერბურგს მიემგზავრება. ამ ხანებში მას აღეძრა შორეულ ქვეყნებში გამგზავრების სურვილი. საბაბად ის მოიგონა, თითქოს ლომებზე სანადიროდ აფრიკაში წასვლა უნდოდა, სინამდვილეში კი როგორც თვითონ ავტორი გადმოგვცემს, მას უნდოდა ენახა უცხო ხალხები, გაცნობოდა მათს ზნე-ჩვეულებებს, კულტურას, დამტკბარიყო უცხო ბუნების სილამაზით. პეტერბურგიდან ბაგრატიონი პარიზს მიემგზავრება, აქედან ჩადის მარსელში და მარსელიდან საოკეანო გემით მიდის აფრიკისაკენ; ერთხანს ის ჩერდება ალექსანდრიაში; იმ ხანებში ყველა—დიდი და პატარა, ქალი და კაცი ინგლის-ბურების მოსალოდნელ ომზე ლა-

პარაკობდა. მსოფლიოს ხალხები შეშფოთებით შეჰყურებდნენ იმ ამბავს, რომ იმპერიალისტური ინგლისი ბურების რესპუბლიკის მოსპობასა და განადგურებას აპირებდა. და აი, ნიკო ბაგრატიონის არსებაში ხდება უდიდესი გარდატეხა. სამოგზაუროდ უცხოეთში წასული ტურისტი ბრძოლის წყურვილით აღინთება და მტკიცედ გადასწყვეტს დადგეს დაჩაგრული ხალხის მხარეზე. ის მართლაც გაემგზავრება ტრანსვაალში და ბურებთან ერთად ებრძვის ინგლისელ ინტერვენტებს. ავტორი წერს: „მთელი ჩემი არსება მოიცვა ბურებისადმი თანაგრძნობამ და უეცუმანოდ ღრმად გულში ამოვიჭერი დავხმარებოდი თავისუფლებისმოყვარე პატარა ხალხს, რომელსაც ინგლისი მოსპობას უქადდა“.

ინგლის-ბურების ომმა იმდროინდელ პრესაში სათანადო გამოძახილი ჰპოვა. ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლ. პ. ბერია აღნიშნავს: „ნოე ჟორდანია ჯერ კიდევ 1898-1899 წლებში აშკარად გამოდიოდა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის აპოლოგიით, იცავდა კაპიტალიზმის ცივილიზატორული მისიის იდეას კოლონიური და ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, ამტკიცებდა რა, რომ ჩამორჩენილმა კოლონიურმა ხალხებმა უცხოეთის კაპიტალის ბატონობა ისტორიულად აუცილებელ, პროგრესულ მოვლენად უნდა მიიჩნიონ და შესაფერისად შეაფასონ კაპიტალიზმის დამსახურებაო. ინგლისისა და ბურების ომთან დაკავშირებით ჟორდანია აშკარად ჭქადაგებდა სოციალ-იმპერიალისტურ თეზისს“.* სწორედ იმ ხანებში, როცა ინგლისელი იმპერიალისტები, ეს პირსისხლიანი ჯალათები თავს დაესხნენ ბურებს, ჟორდანია წერდა: „ინგლისი ლეე დარჩეს ლიდებულ ინგლისად, ახალი ცხოვრების მოციქულად და ახა-

---

* ლ. პ. ბერია—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, მეექვსე გამოცემა, 1945 წ., გვ. 20.

ლი დროშის მატარებლად. დეე, ის იყოს ცივილიზაციის მეთაური და მებაირახტრეო“. („კვალი“, № 51, 1899 წ.).

მაგრამ ნოე ჟორდანიას აზრი—ქართველი ხალხის აზრი როდი იყო. ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, მოწინავე წრეები, მთელი ქართველი ხალხი თანაგრძნობით და აღტაცებით შესცქეროდა ბურების ბრძოლას და მათს გამარჯვებას ნატრობდა. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა არა ერთი წერილი, რომელიც გამსჭვალულია ბურებისადმი აშკარა სიმპატიით. ეს სავსებით ბუნებრივია.

და აი ისეთ დროს, როცა ნაციონალისტი და ოპორტუნისტი, ქართველი ხალხის მოღალატე და გამუიდველი ნოე ჟორდანია მლიქვნელურ ხოტბას ასხამდა ინგლისელ დამპყრობლებს—ამ დროს ქართველი კაცი იარაღით ხელში ებრძოდა ინგლისელების ურდოებს, რომლებიც ველურად უსწორებდნენ ანგარიშს თავისუფლებისმოყვარე ბურებს, სწვავდნენ სოფლებს, ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს. წინამდებარე წიგნში მოთხრობილი ამბავი ადასტურებს, თუ რაოდენად კეთილშობილური სულის ადამიანი იყო ნიკო ბაგრატიონი, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, იმ განვლილი ბრძოლის მოსაგონებლად „ნიკო ბურს“ ეძახოდნენ.

ნიკო ბაგრატიონი თავის მემუარებში ნიღაბს ჭეშმარიტ პირსისხლიან ინგლისელ მტაცებლებს, რომელთაც კაპიტალიზმის არსებობის მთელ მანძილზე უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ზღვები დააყენეს. ავტორი ვრცლად გადმოგვცემს ინგლის-ბურების ომის მთელ ეპოპეას. საერთოდ ეს მემუარები ფრიად საინტერესო ადამიანური დოკუმენტია, რომლის გამოქვეყნებას მკითხველი კმაყოფილებით შეხვდება.

გ. ნატროშვილი

ბურებთან



ნაწილი პირველი

ბუნების სიმშვენიერე და მისი საკვირველებანი, ცისა და მიწის საიდუმლოებანი მუდამ იტაცებდა ჩემს ბავშვურ გონებას. არა ერთხელ მიოცნებია ფეხით მომევლო მთელი ქვეყანა და საკუთარი თვალით მეხილა თუ რისაგან შესდგებოდა ის და როგორ იყო დასახლებული. იმავე დროს ვნატრობდი, ისეთი ძალა მქონოდა, რომ შემძლებოდა შევბრძოლებოდი ცხრათავიან დევებს და ქვეყნად სიკეთე დამემყარებია.

ამ სურვილებს დღითი დღე მიღვიძებდა ჩემი მოხუცი გამდელი თინათინი თავისი შესანიშნავი ზღაპრებით და თქმულებებით.

გამდელი ჩემს მამიდებთან ერთად იზრდებოდა, ყურს უგდებდა მათ მეცადინეობას, მამიდებზე უკეთესად იცოდა ზეპირად უკვდავი რუსთაველის უბადლო ქმნილება.

მას იტაცებდნენ მისი გმირები, თავის ახალგაზრდა ქალ-ბატონებთან ერთად მსჯელობდა მათზე, გამოთქვამდა თავის აზრებს... ტარიელზე შეყვარებულიც კი იყო...

გამდელი ისე ნელა და ტკბილად მიყვებოდა ზღაპ-რებს, თითქოს ნაკადული ჩურჩულებსო. მის ხმაში იმ-დენი გრძნობა და თილისმა იყო, რომ მე მთლად ვთრთო-დი, ღამე ვერ ვიძინებდი და გული იმ უცნობი მხარე-ებისაკენ მიილტვოდა, რომლებსაც გამდელი ამიწერდა. ყოველი ზღაპრის მოსმენის შემდეგ, სიტყვას ვაძლევდი ჩემს თავს, რომ ოდესმე უთუოდ წავიდოდი იმ საარაკო ქვეყნებში, თან საყვარელ ტარიელად გახდომას ვნატ-რობდი. მაგრამ ვიცოდი, რომ ამისათვის საჭირო იყო გაზრდა, დავაჟკაცება, ძალ-ღონის მოკრება და ცოდნის მოხვეჭა.

ბევრი ლოდინი იყო საჭირო, რადგან მაშინ მხოლოდ ხუთი წლის ვიყავი და უკანასკნელ წელს ვატარებდი სანუკვარსა და საყვარელ გამდელთან, რომელსაც ჩემ-თვის მუდამ მზად ჰქონდა კარგი ზღაპარი და გემრიელი ჩურჩხელა.

გადია მანებივრებდა, მიფარავდა ჩემი უფროსი ძმე-ბის თავდასხმებისაგან, მაგრამ უძლური იყო მამაჩემის ნება-სურვილის წინაშე და ამიტომ ის ცრემლებად იღვ-რებოდა, როცა მის კალთას მომგლიჯეს და ჩემს უფროს ძმასთან ერთად სასტიკ აღმზრდელს მიმაბარეს.

გაქრენ ზღაპრები, ტკბილი ოცნებები და მათთან ერ-თად ჩურჩხელებიც. აღმზრდელმა და მისმა თანაშემწეებმა დაიწყეს ჩვენი ბამაკაცური, მკაცრი აღზრდა: წერა-კით-ხვის გარდა, გვასწავლიდნენ ცხენზე ჯდომას, თოფ-ია-

რაღის ხმარებას და გვაჩვევდნენ ყოველგვარი სიძნელეების ატანას.

მე განსაკუთრებულ უნარს ვიჩენდი თოფის სროლაში. მალე ისე გავიწაფე თვალი და ხელი, რომ გაფრენილ ჩიტს არ ავაცდენდი. მომწონდა და მიყვარდა ეს ვარჯიშობა, ძალზე ვცდილობდი და სწრაფი დახელოვნებით აღტაცებაში მომყავდა ჩემი აღმზრდელი ზაქრო.

ჩვენი წვრთნა წარმოებდა ყოველდღე ერთი წესით და ამიტომ იგი მალე მოსაბეზრებელი გახდა.

ერთადერთი გასართობი ამ ჩვენს ერთფეროვან ცხოვრებაში, მცხეთაში[1]) ან წილკანში[2]) ხატობაზე წასვლა იყო.

სალოცავად მივდიოდით მთელი ჩვენი შინაყმებით. წინასწარვე იგზავნებოდა როგორც სამღვდელოებისათვის მისართმევი ძღვენი და შესაწირი, ისე ჩვენი ოჯახისათვის საჭირო ყოველგვარი სანოვაგითა და საკლავით დატვირთული ურმები.

სამგზავრო სამზადისების დროს ჩემი უფროსი ძმა ლევანი, რატომღაც გულგრილად იქცეოდა, მე კი პირიქით, ძალიან ვღელავდი, ყველაფერი უნდა გამეგო, ყველაფერში უნდა ჩავრეულიყავი. ხან ჩემი ახალგაზრდა მამიდების ოთახებში შევირბენდი, ხან თავლაში, სადაც ასუფთავებდნენ ცხენებსა და წესრიგში მოჰყავდათ უნაგირები და მოსართავები.

ბოლოს, მოურავი მოახსენებდა მამაჩემს, რომ სამგზავროდ ყველაფერი მზად იყო. დიდი ხნის ნანატრ დღეს ჩვეულებრივ, შაბათისათვის დანიშნავდნენ, რომ დროულად ჩავსულიყავით და კვირას წირვა გულდასმით მოგვესმინა.

ბებიასა და დედაჩემისათვის საუკეთესო, ყველაზე განიერ ურემს ამოარჩევდნენ. რომ არ დანჯღრეულიყვნენ, ჭალებზე ბაწრებს დახლართავდნენ, ზედ აუარებელ ლეიბებსა და ბალიშებს დააწყობდნენ და შემდეგ ნოხს გადააფარებდნენ. ურემს ზევიდან ნოხისავე ჩარდახს გაუკეთებდნენ. ამნაირად მოწყობილ ურემს შეუბამდნენ ორ წყვილ საუკეთესო კამეჩს; კამეჩები ისე იყვნენ დაბანილნი და გასუფთავებულნი, რომ გიშერივით ბზინავდნენ. ურმებს, სადღესასწაულოდ, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი მეაღალეები მართავდნენ, რომელთაც მეხრეებად თან ახლდათ 8-10 წლის ბიჭები.

ურემზე პირველად ჩემი ლამაზი დედა ავიდოდა, შემდეგ, თითქმის ხელზე ატატებულს, მოახლეები ბებიაჩემს თამარს აიყვანდნენ, და როცა ძლივსძლივობით საბოლოოდ მოხერხებულად მოეწყობოდნენ, მაშინ პირველი ეს ურემი დაიძვროდა ადგილიდან და მოშორდებოდა კიბეს.

დანარჩენი მსახურნი, რომელნიც თან უნდა გვხლებოდნენ, ჩქარობდნენ დამსხდარიყვნენ კიბიდან მოშორებით მდგარ სხვა ურმებზე, რათა უკან გაჰყოლოდნენ წინა ურემს, რა თქმა უნდა, იმ მანძილის დაშორებით, რაც დადგენილი იყო მოწიწებისა და პატივისცემის ნიშნად.

ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი გამგზავრებისას, ჩვენ, მამაჩემის მეთაურობით, სრულ საჭურველში გამოწყობილნი, კიბეზე ვიდექით: ეროვნულ, შინდისფერ ჩოხებში ჩაცმულებს გვეკიდა ხანჯლები, ხმლები და მოკლე თოფები მხარზე გვქონდა გადაგდებული.

დაიწყეს ცხენების მოყვანაც: მამას შესანიშნავი დოლის შავი ცხენი მოგვარეს, რომელიც თავისი ჩამოსხმუ-

ლი ფეხებით ამაყად მოაბიჯებდა, ფრუტუნობდა და ისე აბრიალებდა დიდრონ თვალებს, თითქოს ეძებდა იმას, ვინც გაბედავდა მასზე შეჯდომას. ორი მეჯინიბე ძლივს უკავებდა თავს, მაგრამ მამამ მოსაზრებაც არ აცალა, ისე მარდათ მოიქნია ტანი და პირდაპირ კიბიდან უნაგირზე დაახტა, აღვირი მაგრად მოსწია და ამით ცხენს აგრძნობინა, რომ ის მისი პატრონი იყო. მეჯინიბეები განზე გახტნენ, ცხენი ყალყზე შედგა, მაგრამ მამამ მოხდენილი მოძრაობით მოთოკა იგი და ეზოში გააჯირითა.

ცხენოსანმაც და ცხენმაც აღფრთოვანება გამოიწვიეს დამსწრე აზნაურებსა და ფარეშებში, რომლებიც უძველესი დროიდანვე დიდი მემამულის ყმებად ითვლებოდნენ. ჩვენი აღმზრდელების გარდა, კიდევ ოცი აზნაური მაინც იქნებოდა. ყველანი მშვენივრად ჩაცმულნი და შეიარაღებულნი საჩქაროდ მიცვივდნენ თავიანთ ცხენებს, რომ თან ხლებოდნენ მამაჩემს.

ბოლოს ჩვენი ჯერიც დადგა. მოუთმენლობისაგან ვკანკალებდი, ჩემი თვალის წინ გაიელვა ტარიელის შესანიშნავმა სახემ, და მეჩვენებოდა, რომ ის ჩემში განსხეულდა და მეც, ამ ხოტბაშესხმული გმირივით, თითქოს ტაიჭს უკვე მივაქროლებდი.

ამ ოცნებებში გართული, უეცრივ ზაქრომ ხელით ამიტაცა, თავის ცხენზევე უკან შემომისვა და მიბრძანა მისი ქამარი ხელში მაგრად მჭეროდა; ცხენს მათრახი გადაჰკრა და ჩემს ძმებსა და სხვა აღმზრდელებთან ერთად მოვქუსლეთ, რომ მამას დავწეოდით და მასთან ერთად გვევლო.

ამ გიჟურ ჭენებაში, უნდა გამოვტყდე, მღელვარებისაგან კი არ ვცახცახებდი, არამედ შიშისაგან,—მეშინოდა, რომ ცხენიდან გადმოვვარდებოდი, ზაქროს კი ერთხელაც არ მოუხედნია ჩემსკენ, რომ გაეგო, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი.

მე კი მრცხვენოდა მეთქვა მისთვის, რომ მეშინოდა და მთელი მგზავრობა ისე გადავიტანე, ერთი სიტყვითაც არ გამომიმჟღავნებია ჩემი შიში.

აი, ასეთი სასტიკი ზომებით, ყოველგვარ პირობებში, გვაჩვევდნენ მედგრობასა და გამძლეობას.

შემდეგ, როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა მომიხდა, არა ერთხელ მომგონებია და მადლობის გრძნობით განვმსჭვალულვარ ჩემი მკაცრი, მაგრამ მაინც საყვარელი ზაქროსადმი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ჩაეგონებია ჩემთვის, რომ საერთოდ მამაკაცი, და მისი აზრით, განსაკუთრებით ბატონიშვილი, უნდა იყოს ნამდვილი ვაჟკაცი. თვითონ ზაქრო ადლიანი მხარბეჭის მქონე და ღონიერი, გულითაც მხნე და უშიშარი იყო. მამაჩემის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. მამა ხშირად მიდიოდა ხოლმე სახლიდან და მაშინ ის მთელ სახლს მართავდა.

ჩორთით მივდიოდით—მამას, მეტად თავაზიან ადამიანს, დაუშვებლად მიაჩნდა ქალებისათვის გადაესწრო და გზაზე მტვრის ბუღი დაეყენებია, მით უმეტეს, როცა საქმე დედას, დებს, ცოლს და ბავშვებს ეხებოდა, ამიტომ ურმები წინ მიდიოდნენ. საათნახევრის შემდეგ მივედით სვეტიცხოველის დიდებულ ტაძართან, რომელსაც უკვე განვლილი ჰქონდა თხუთმეტი საუკუნე მრა-

ვალტანჯული ქართველი ხალხის ისტორიისა და რომელსაც თავისი სიდიადით, გაჭირვების წუთებში, ბევრჯერ გაუმხნევებია ქართველთა გული.

ამ ჯერად კვირას მოგვიხდა ხატობაზე წასვლა.

ჩვენ წირვის ბოლოს მივუსწარით და ეპისკოპოსი მთელი თავისი კრებულით, სრულ შემოსილობაში შეუდგა პაპაჩემის ნიკოლოზის (სამწუხაროდ მე არ მოვსწრებივარ პაპას, ჩემს დაბადებამდე რამდენიმე ხნით ადრე გარდაცვლილა) და მამაჩემის უმცროსი ძმის, ირაკლის ხსოვნის პანაშვიდის გადახდას. ირაკლი ნიეგოროდის პოლკის ოფიცერი ყოფილიყო და იმავე პოლკის ოფიცერს წერეთელს მოეკლა ეჭვიანობის ნიადაგზე.

ირაკლის ჯორჯაძის ქალი დაენიშნა. ნიშნობის შემდეგ ეს ამბავი აღფრთოვანებით უამბო თურმე მან თავის ამხანაგს წერეთელს. ირაკლის ვერც კი წარმოედგინა, რომ ის მისი მოქიშპე აღმოჩნდებოდა. ეჭვიანობით გაბოროტებულმა წერეთელმა დაუყოვნებლივ იძრო რევოლვერი, ესროლა და იქვე მოკლა.

ოცდაოთხი წლის ულამაზესი ვაჟკაცის ასეთმა ნაადრევმა დაღუპვამ სიცოცხლე მოუსწრაფა ჯერ კიდევ მაგარ, ჯანიანს, სამოცდაორი წლის მოხუცს, ნიკოლოზს, შვილის სიკვდილს თან დაერთო ოჯახის მთლიანი დარბევა, რაზედაც შემდეგ მექნება ლაპარაკი.

პანაშვიდის შემდეგ სამადლობელი ჯარაკლისი გადავიხადეთ. მერმე გავეშურეთ წმიდა ნინოს დედათა მონასტრის—სამთავროს წინამძღვრის სანახავად და მისგან დალოცვის მისაღებად. წინამძღვარი ნინო, ცხოვრებაში კნეინა ამილახვარისა, ქმრით დედაჩემს ენათე-

სავებოდა. ის მეტად ჭკვიანი, განათლებული ქალი იყო და დაქვრივების შემდეგ მკაცრ, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. მონასტრის საქმეებს შესანიშნავად განაგებდა, დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი როგორც მონაზნებში, აგრეთვე მცხეთის ირგვლივ მდებარე სოფელთა მცხოვრებლებში.

მონასტერთან არსებობდა წმინდა ქართულ საწყისებზე დაფუძნებული ქალთა სკოლა, სადაც ქალიშვილები, განურჩევლად მათი წოდებისა და მდგომარეობისა, ღებულობდნენ განათლებას, აღზრდას და ემზადებოდნენ ღირსეული დედები ყოფილიყვნენ.

სამი დღე დავრჩით მასთან სტუმრად. ამ ხნის განმავლობაში სულ ალერსსა და ნებივრობაში ვიყავით. მონასტრის არც ერთი სენაკი არ დარჩენილა, რომ არ გამოგვეცოცხლებია ბავშვური ხმაურით. ამ სენაკებში განუწყვეტლივ გვიმასპინძლდებოდნენ ყოველგვარი ტკბილეულობით—ჩურჩხელებით, ფალუსტაკით, ჩამიჩით და გემრიელი ცხელი ნაზუქებით, მაგრამ ყველაზე უფრო ვტკბებოდით იმ თავისუფლებით, რომელიც მოგვანიჭა ჩვენი აღმზრდელების მახვილი თვალის და შეუბრალებელი სიმკაცრის მოშორებამ.

მამაჩემის მხლებელ მამაკაცთა ამალას, წმიდა სავანის კედლებს შიგნით შემოსვლის ნება არ ჰქონდა. ამიტომ კარავი მონასტერთან გაშალეს და დროს უქმად არ კარგავდნენ—გაბმით ლხინობდნენ, საიდანლაც ზურნაც კი მოიყვანეს. გაფიცხებული საცეკვაო ხმები აღწევდნენ მოხუცი ნინოს სმენამდე. ეტყობოდა მას არ სიამოვნებდა ეს, რადგანაც აღკვეცილთა შორის ბევრი ახალგაზრ-

და ქალი ერია და შესაძლო იყო მათში დათრგუნვილი ნამდვილი ცხოვრების სურვილი ხელახლა გაღვიძებულიყო, მაგრამ წინამძღვარი რატომღაც მაინც სდუმდა. მამასაც არ უნდოდა აეკრძალა მონასტრის კედლებთან საუკუნოებით დაწესებული ლხინი.

გათავდა ხატობა. ნეტარი უდარდელი დრო ისე გაქრა, თითქოს ჯადოქრული წუთები ყოფილიყოს. უკვე სახლს, მეცადინეობას უნდა დავბრუნებოდით და შეწყვეტილიყო ჩვენი მხიარულება. მივიღეთ რა ეპისკოპოსისა და ნინოს კურთხევა, გავეშურეთ უკანვე სახლისაკენ ყოველგვარი წესებისა და ეტიკეტის დაცვით.

აი, ჩვენ უკვე სახლში ვართ. ისევ დავუბრუნდით გონებრივ და ფიზიკურ მეცადინეობას. უკანასკნელი მე ძალზე მღლიდა და მქანცავდა; უჯანო, სუსტი ბავშვი ვიყავი, ხშირად ავადვმყოფობდი და ოჯახის ლამაზ წევრთა შორის მახინჯად ვიყავი მიჩნეული, რის გამო მშობლები მაინცადამაინც არ მწყალობდნენ. ამან საგრძნობი დაღი დაასვა ჩემს სულს, რომელიც მუდამ სითბოს და ალერსს ეძებდა; ამიტომ იყო, რომ ყოველი უბრალო საბაბის გამოც გამდელთან მივრბოდი გულში ჩასაკრავად და ალერსის მისაღებად.

მან იცოდა ჩემი სულიერი წონასწორობის აღდგენა. მის მეტი მე არავინ მყავდა, ვისთანაც შემძლებოდა მივსულიყავი და ჩემი მწუხარება გამეზიარებია. დედა მუდამ მოუცლელი იყო. ის ძლივს ასწრებდა მასპინძლობა გაეწია აუარებელ ნათესავებისა და მამაჩემის მეგობრებისათვის, რომლებიც ძველი სტუმართმოყვარეობის გამო მუდამ ავსებდნენ ჩვენი სახლის დიდ დარბაზებს. დე-

დას, როგორც ვთქვი, არამც თუ ეცალა ჩვენთვის, არა-
მედ მეტწილად იშვიათად ვხედავდით მას.

დილაობით, ჩვენი აღმზრდელების თანხლებით გა-
მოვეცხადებოდით მშობლებს, ხელზე ვემთხვეოდით დე-
დას და მამას, შემდეგ ვუპასუხებდით ერთი და იგივე
კითხვებზე—ჯანმრთელობის და სწავლის შესახებ და
დინჯად დავსხდებოდით მაგიდის ბოლოში ფინჯან რძის
მოლოდინში. ჩაის ჩვენ არ გვასმევდნენ, მას მხოლოდ
ბებიას და მეტად პატივსაცემ, სახელოვან სტუმრებს
მიართმევდნენ ხოლმე. ახალგაზრდებს, იმისდა მიხედვით,
წლის თუ რა დრო იყო, მიუტანდნენ მწვადებს, შემწ-
ვარ გოჭს, ნედლ თევზს—ორაგულს, რომელიც ბევრი
ცურავდა განიერ ქსანში, განსაკუთრებით გაზაფხულზე,
როცა ის ქვირითს ყრიდა მდინარის სათავეში.

მამაჩემი ძველი გვარის ნაშიერი და მეფის შთამო-
მავალი იყო—მეფე არჩილის ხაზით, იმ არჩილის,[3] რო-
მელმაც იმპერატორ პეტრე პირველის[4] დროს, თავისი
დღეები რუსეთში დალია. მეფე არჩილის ვაჟი ალექსან-
დრე, პეტრეს ბავშვობის მეგობარი, არტილერიის პირ-
ველი ფელცეხმეისტერი იყო, პეტრე დიდის გვერდით
მონაწილეობას ღებულობდა პოლტავის ბრძოლაში.[5]
ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა, ათი წელიწადი სტოკ-
ჰოლმის[6] ციხე-სიმაგრეში გაატარა და განთავისუფლე-
ბის შემდეგ, პეტერბურგისკენ მომავალი, გზაში გარდა-
იცვალა.

მამაჩემი სამხედრო სამსახურში მსახურობდა, გენე-
რალ ოგლობჟიოს[7] ადიუტანტად იყო, მასთან ერთად გა-
ატარა კავკასიის მთელი ომი და პორუჩიკის ჩინში, ოჯა-

ხური მდგომარეობის გამო, იძულებული იყო სამსახურისათვის თავი დაენებებია.

მამა გვიამბობდა ხოლმე, რომ თურქეთის არმიის დამარცხებისას[8]) ტყვედჩავარდნილმა თურქეთის გენერალურმა შტაბმა, რომლის უფროსი ინგლისელი უილიამსი ყოფილიყო, არ მოინდომა გაევლო ჩვენი მთავარსარდლის წინ, როგორც დამარცხებულს და რუსეთის გენერალურ შტაბიდან ნებართვა მიიღო პეტერბურგში თავისუფლად წასულიყო.

ასეთი უცნაური განკარგულების გამო, არა მარტო ჯარი იყო ნაწყენი, არამედ მთელი რუსეთიც.

ცნობილია, რომ ინგლისელები, ჯერ კიდევ უძველესი დროიდანვე ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ რუსეთის სიძლიერისათვის, ხან სპარსეთისა და ხან თურქეთის მხრიდან, მაგალითად, ნადირ-შაჰის[9]) დროს გამოჩნდა ვიღაც ინგლისელი ავანტიურისტი ელტონი, რომელიც აგულიანებდა ნადირ-შაჰს, თავს დასხმოდა რუსეთს, სამხედრო მზადებაც კი დაიწყეს, მაგრამ ამ დროს, საბედნიეროდ, სპარსეთში აჯანყებამ იფეთქა და ნადირ-შაჰი მოკლულ იქნა.

სპარსეთი მოიცვა ანარქიამ[10]) და რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრების ამბავი დროებითი დავიწყებას მიეცა. იმავე დროს, პეტერბურგში ინგლისის ელჩი უიტვორტი დედოფალ ეკატერინესთან—შემდეგში ეკატერინე მეორესთან[11])—ლხინობდა.

ალექსანდროპოლში,[12]) როცა გენერალ ოგლობჟიომ დამარცხებული ანატოლიის არმია განაიარაღა, თურქეთის არმიის მთავარსარდალმა ფაშა ზიულიმ არ ინება

თავისი იარაღი მისთვის ჩაებარებია, როგორც მან უწოდა, მოღალატისათვის და როცა მამაჩემის ვინაობა გაიგო, იარაღი, როგორც ღირსეულ პიროვნებას, მას გადასცა. მისეული თოფი დიდი ხნის განმავლობაში მე მქონდა სახლში, შემდეგ კი საქართველოს მუზეუმს გადავეცი.

როცა მამაჩემი ფაშას თოფს ართმევდა, მისი ყურადღება ერთმა ლამაზმა ახალგაზრდა სამხედრო პირმა მიიქცია თურმე, ალბათ, ფაშას ადიუტანტმა, რომელიც მოწიწებით მდგარა ფაშას უკან.

ფაშას თავის მხლებელი მამიჩემისათვის გაუცვნია და მათთვის საუბრის საშუალებაც მიუცია. მამაჩემი გამოლაპარაკებია ახალგაზრდას და ვინაობაც უკითხავს.

ახალგაზრდას მშვენიერი, წმინდა ქართული ენით უპასუხნია, რომ მისი წინაპრები — ქართველები, თურქეთში გაუყიდნიათ, და თუმცა მუსულმანობა ძალდატანებით მიუღიათ, ენა მაინც შეუნარჩუნებიათ. ამ ახალგაზრდის და მისი ძმის ოცნება ყოფილა ოდესმე როგორმე დაბრუნებოდნენ სამშობლოს.

მაგრამ საბრალო ახალგაზრდა, რომლის თვალებში ვედრება გამოიხატებოდა, სამხედრო ტყვედ არ ითვლებოდა, რომ გადაცვლა მოხერხებულიყო, არამედ, საუბედუროდ, თურმე მონა ყოფილიყო; ამასთანავე, ეტყობოდა, რომ ფაშას ეს ახალგაზრდა დიდათ უღირდა, და მამაჩემს მისი განთავისუფლების ცდამ ამაოდ ჩაუარა.

მამაჩემი, როგორც აღვნიშნე, ოჯახური პირობების გამო იძულებული გამხდარა სამხედრო სამსახური მიეტოვებინა.

ნიკოლოზ პირველმა[13]) თვალთმაქცურად უწოდა საქართველოს თავისი „გვირგვინის მარგალიტი“. დიდი დღესასწაულის დროს საქართველოს ღერბი მესამე რიგში მიჰქონდათ, ნამდვილად კი საქართველოში სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებდა.

ქართველი ხალხის გულის მოსაგებად იმავე ნიკოლოზ პირველმა მცხეთის ტაძრის დათვალიერებისას[14]) რუს ეგზარხოს[15]) „დურაკი“ დაუძახა, თითქოს იმისათვის, რომ მან სვეტიცხოვლის შესანიშნავი ქართული ფრესკები კირით გაათეთრებინა.

ვორონცოვი[16]) ფრთხილად განაგრძობდა ქართველი ხალხის დამონების საქმეს. მან პირველმა შექმნა ე. წ. „პრიკაზი“, სადაც მემამულეებს შეეძლოთ დაეგირავებინათ თავიანთი მამულები და ქონება, ვითომდაც მათივე სასარგებლოდ.

საქმის კარგად და წესიერად დაყენებისათვის მოიწვია ვილაც ებრაელი ხასკინი, როგორც მცოდნე ფინანსისტი, რომელმაც სულ ცოტახანში გაფცქვნა მემამულეები, მოაგროვა ორი მილიონი მანეთი და ამ ფულიანად ამერიკაში გაიქცა.

პაპაჩემს ვალად დაედვა ექვსასი ათასი მანეთი თავისი პროცენტებით, ეს ისეთი დიდი თანხა იყო, რომ მის გონებას ვერც კი წარმოედგინა. გადახდის ვადები მალე მოვიდა და რადგანაც ფული არ მოეპოებოდა, სახლიდან ორი ურემი ვერცხლეულის და რამდენიმე ძვირფასი ნივთის გატანა მოუხდა.

ყველაფერი ეს ახალგორელმა სომეხმა მზარეულოვმა შეისყიდა და ფული „პრიკაზში“ იქნა შეტანილი

სართის, ანუ პროცენტების გადასახდელად. ვალი კი კვლავ ვალად დარჩა. დაიწყო სატანჯველი ხანა ოჯახისათვის, რომელსაც მთავრობა ისედაც არ უყურებდა კარგი თვალით მამაჩემის პაპის ედიშერ ივანეს-ძის გამო, რომელიც მაშინ, როცა იგი 22 წლისა ყოფილა, თავად თარხნიშვილთან, ჯავახიშვილთან და სხვებთან ერთად მონაწილეობა მიუღია 1810 წლის გლეხთა აჯანყებაში[17] მარკიზ პაულუჩის[18] დროს. ამისათვის იგი გადაუსახლებიათ ჯერ ვლადიკავკაზში[19], შემდეგ კი რუსეთში, სახელდობრ სად, დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. მიწერ-მოწერის ნებაც არ ჰქონია.

ასე უკვალოდ გაჰქრა ის. მას დარჩა ქვრივი თამარი, ბაჩაბლის ქალი და სამი წლის ვაჟი. თამარი საცხოვრებლად თავისი მშობლების სახლში დაბრუნდა, რადგან მას ეშინოდა, კიდევ რამე ახალი უსიამოვნება არ მიეყენებია მთავრობას და ნათესავებს, რომელნიც ყოველივე ღონისძიებებით ცდილობდნენ წაერთმიათ მისთვის მიწები. მშობლებთან წასული თამარი განუწყვეტლივ უგზავნიდა თხოვნებს გენერალ ერმოლოვს[20] და თხოვდა, რომ მცირეწლოვანის შვილისათვის მეურვედ გენერალ მაიორი კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი[21] დაენიშნათ.

როცა ნიკოლოზს ჩვიდმეტი წელი შესრულებია, იგი თავის დედით დაბრუნებულა მამისეულ მამულში და შეურთავს ივანე ჯორჯაძის ასული თამარი.

პაპაჩემი ნიკოლოზი გორის რაზმში[22] მსახურობდა და დაჯილდოვებული ყოფილა ჯარისკაცის გიორგის ჯვრით.

დედაჩემის გადმოცემით, ნიკოლოზს დიდი უნარიანი

და გამჭრიახი გონება ჰქონია. ყველაფერი აინტერესებდა. ცდილობდა, რომ შვილებისთვის, განსაკუთრებით ვაჟებისათვის, კარგი განათლება მიეცა, რომ მათ შეძლებოდათ ღირსეულად მხარში ამოდგომოდნენ იმდროინდელ ჭკვიანსა და სწავლულ ადამიანებს. პაპაჩემის ოჯახში მსვლელობა ჰქონიათ პლატონ იოსელიანს[23]) და სრულიად ახალგაზრდა რაფიელ ერისთავს[24]), რომელიც ძალიან მხიარული და ცეკვების მოყვარული ყოფილა. ის, თურმე, ცეკვებს ასწავლიდა ჩემს უმცროს მამიდებს, ერთი მათგანი, ლამაზი მართა კიდეც შეყვარებია, მაგრამ უიმედოდ.

პაპაჩემის ხშირი სტუმარი ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილიც. იქ კითხულობდნენ მის ლექსებს და თარზე ამღერებდნენ „სულო ბოროტოს“.

შემდეგ პაპაჩემის ოჯახს ხშირად ეწვეოდა ხოლმე ახალგაზრდა პოეტი, ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძეც, რომელიც დუშეთის მაზრაში 1864 წელს მომრიგებელ შუამავლად დაუნიშნავთ, შემდეგ კი მოსამართლის თანამდებობაზე გადაუყვანიათ. თანახმად მაშინდელი ეტიკეტისა, ილია სადარბაზოდ დადიოდა მისდამი რწმუნებულ მაზრის ყველა მემამულესთან, ჩვენი სახლი კი, როგორც დუშეთთან ახლომდებარე, ახალგაზრდებით ყოველთვის სავსე, რომელიც წარმოადგენდა მხიარულ კულტურულ წრეს, უფრო მეტად იზიდავდა ახალგაზრდა პოეტს. მის მოსვლას ყოველთვის მოუთმენლად ელოდებოდნენ თურმე. მე დავიბადე 1868 წელს, და, ფრონტიდან მამაჩემის ერთ-ერთ დროებით ჩამოსვლის დროს მომნათლეს, და სწორედ მაშინ განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ახალ-

გაზრდა ჭავჭავაძეს თავისი მჭევრმეტყველებით. მას მამაჩემისათვის მიუმართავს შესანიშნავი ქართული ენით და ურჩევია, რომ შვილები ქართულ წესზე აღეზარდა და ჩაენერგა მათთვის სამშობლოსა და ხალხის სიყვარული.

ამ ხანებში პაპაჩემის ოჯახი საგრძნობლად შერყეული ყოფილა ხასკინის მიერ ფულის გატაცების გამო. ამას თან დართვია გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლება[25]), რასაც მემამულეები, კერძოდ პაპაჩემი მძიმე მდგომარეობაში ჩაუგდია.

საქართველოში ბატონყმობის არსებობის შესახებ ცნობები XVII საუკუნიდან გვხვდება, დაკანონებულ ხასიათს კი XVIII საუკუნიდან—მეფე ვახტანგ VI-ის[26]) დროიდან ღებულობს. ვახტანგი ნიკოლოზის პაპის სახლიშვილი იყო, და ამ საფუძველზე საგვარეულო თოფი მისი ვაჟის ბაქარისაგან გადაეცა მეფე კონსტანტინეს, შემდეგ—დამოუკიდებლივ ედიშერს და ედიშერისაგან—პაპაჩემს ნიკოლოზს, რასაც მოწმობს თვით თოფზე არსებული წარწერები. ეს თოფი, როგორც რელიკვია, ჩვენს სახლში ინახებოდა და ამტკიცებდა გვარეულობაში ჩვენი შტოს უფროსობას. 1925 წელს ეს თოფიც საქ. მუზეუმს ჩავაბარე.

* *

თავადი ვორონცოვი თავის პოლიტიკას ატარებდა, მისი მეუღლე კი — ელისაბედ ქსავერის ასული, გრაფ ბრანიცკის ქალი, ცნობილი თავადი პოტიომკინ-თავრიზელის დისწული, თავის მხრივ მართავდა შესანიშნავ

ნადიმებს, ქმრებს და მამებს აიძულებდა, ამ წვეულებებზე მიეყვანათ თავიანთი ცოლები და ქალიშვილები ახალ მოდაზე ჩაცმულები. მკერავებად გამოწერილი იყვნენ ფრანგი ქალები. ამ ქალების ერთმა ჯგუფმა თბილისში გახსნა სამკერვალო სახლი „რუსელი“. მოდებზე აუარებელი ფული იხარჯებოდა.

ამ ახალი წესების გავლენით, ქართველმა ქალებმა თანდათანობით იწყეს ეროვნული ტანსაცმელის გახდა და მის ნაცვლად ევროპულის ტარება. სწავლობდნენ რუსულსა და ფრანგულ ენებს, რისთვისაც გახსნილი იყო პირველი ფრანგული პანსიონი ქალებისათვის, მადამ ფავრის ხელმძღვანელობით.

კნეინა ვორონცოვისა თვითონ დადიოდა სოფლებში—იმ თავადაზნაურთა ოჯახებში, სადაც ახალგაზრდა ქალები ეგულვებოდა; მისი მისვლის შედეგად უკმაყოფილო მამებს უხდებოდათ ლეიბის ქვეშ შენახულ არა ერთი ასი მანეთის გამოღება, ანდა ცნობილ „პრიკაზისათვის“ მიმართვა.

ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა პაპაჩემი ნიკოლოზ ედიშერის-ძე. მას ოთხი ქალიშვილი ყავდა, უფროსი—სალომე, მამის საყვარელი შვილი, გათხოვილი იყო თავად არჩილ ბაგრატიონ-მუხრანელზე, მუხრანელებიდან ყველაზე მდიდარ თავადზე. მისი შესანიშნავი, მაღალსვეტებიანი სახლი, ანჩისხატის ტაძრის გვერდით მდებარეობდა. ეს სახლი, კარგი ქართველი ხუროთმოძღვრის გემოვნებით აშენებული, ნახევრად ევროპულად, ნახევრად ქართული სტილით იყო მოწყობილი.

არჩილი ყოველგვარი გასართობების და ცხრაკის დიდი

მოყვარული 29 წლის ვაჟკაცი, უშვილოდ გარდაიცვალა, მადლიერმა ცირკის მსახიობებმა არჩილის კუბო მცხეთამდე წაიღეს ხელით. მას დარჩა მეუღლე, რომელსაც არჩილის ნათესავები მოსვენებას არ აძლევდნენ, ბოლოს ის საშინელ გაჭირვებას განიცდიდა. მისი მშობელი ოჯახიც, ძალზე დაღარიბებული, ვერაფრით დაეხმარა.

მეორე ქალიშვილი, 14 წლის ლამაზი მართა, განსაკუთრებით მოეწონა ვორონცოვის მეუღლეს და ერთხელ წაიყვანა თავის ნადიმზე.

ნადიმზე ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება მართამ მოახდინა. მისმა შესანიშნავმა სილამაზემ მიიპყრო იქ მყოფი მთელი ახალგაზრდობის ყურადღება. მაგრამ მართას ასეთმა მოწონებამ მამამისი საგონებელში ჩააგდო,—პაპაჩემს სიძედ გარდა ქართველისა, არავინ უნდოდა, ამიტომ მან მართას გათხოვება დააჩქარა და ცოტახნის წინათ დაქვრივებულ თავად რევაზ ერისთავს გაატანა ცოლად. რევაზი ძალიან მდიდარი, მაგრამ საცოლეზე თითქმის 40 წლით უფროსი, მეტისმეტად ეჭვიანი კაცი გამოდგა.

რევაზმა ახალგაზრდა ცოლი ჩაკეტა თავის თეთრ სასახლეში; ეს სასახლეც ისეთივე ლამაზი და სვეტებიანი იყო, როგორც თბილისში არჩილ მუხრანელის სახლი; ის მდინარე ქსნის ნაპირზე მდებარეობდა, საცხოვრებელ ადგილებიდან სრულიად განცალკევებულად. რევაზის პირველი ცოლი ეკატერინე,[27]) პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვიდრი და იყო, რომელთანაც ხშირად და დიდიხნობით სტუმრობდა ხოლმე პოეტი. ამ შესანიშნავი

ბუნების წიაღში, სადაც ულრანი ტყე შემოსალტოდა ანკარა, ჩქარ მდინარე ქსანს და სადაც ირმის ჯოგები ისე მოდიოდნენ წყლის დასალევად, რომ ადამიანებს არც კი ერიდებოდნენ, პოეტს მრავალი დღე გაუტარებია.

ხშირსა და ფოთლოვან ტყეში გაისმოდა ბულბულის სტვენა, სადღაც მწყემსი სალამურს უკრავდა და შიარს კი, ვიღაცა ურმულს მღეროდა.

მრავალხმიანი, გულწრფელი სიმღერა იფანტებოდა ლაჟვარდში და ადრიანი დილის ჰაერში მისი გამოძახილი აღწევდა სასახლემდე, სადაც ყველაფერი თანდათანობით გამოცოცხლებას იწყებდა. პირველი თვითონ პატრონი გამოდიოდა აივანზე და მადლიერი თვალით უყურებდა მის ირგვლივ გაშლილ პანორამას, უნებურად იხდიდა ქუდს და პირჯვარს იწერდა.

ეს მიწიერი სამოთხე მთელს არემარეში უხვად აფრქვევდა ბალისა და მინდვრის ყვავილების სურნელებას.

მთელი სახლი, მზის მცხუნვარე სხივებში გახვეული, რაღაც ფეერიულ ჰაეროვან შენობას აგონებდა ადამიანს.

აქ, ბუნებასთან ახლოს, ბარათაშვილს არა ერთხელ განუცდია უიმედო სიყვარულით გამოწვეული გულის ტკივილიც.

როგორც პოეტს, მას ხელგაშლილი ხვდებოდნენ, აღფრთოვანებაში მოდიოდნენ და ხოტბას ასხაძდნენ მის მუზას, მაგრამ ღარიბ და კოჭლ ახალგაზრდისათვის ეს არ კმაროდა.

ყოველივე ეს გავლენას ახდენდა ახალგაზრდა კაცზე, მით უმეტეს, რომ მის გატაცებას და სიყვარულს ყოველთვის იწვევდნენ საქართველოს ულამაზესი ქალები, რო-

გორც, მაგალითად, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, ეკატერინე [28]) და ქეთევან შალვა ერისთავის ასული, ელიზბარ ერისთავის მეუღლე.

მიუხედავად დიდი სურვილისა, რომ არავისთვის არ ეჩვენებია თავისი საუნჯე — მეუღლე, ამაყ მემამულეს ერისთავს არ შეეძლო სხვებს ჩამორჩენოდა და არ გადაეხადა პირველი შვილის ნათლობა. მან დიდი წვეულება გამართა, სტუმრები ანადირა კიდეც, მხოლოდ ერთი პირობით:—ირმები არამც და არამც არ მოეკლათ. უძველესი დროიდან არსებობს ლეგენდა, თითქოს ბაგრატიონის სახლიდან მტრებმა ქორფა ბავშვი ტყეში გაიტაცეს და იქ ნადირის შესაჭმელად დასტოვეს, მაგრამ ბავშვს ირემმა ძუძუ აწოვა და გამოზარდაო. ამიტომ ბაგრატიონის ოჯახის ყველა წევრს და მათ ახლო ნათესავებს აკრძალული ჰქონდათ ირმის მოკვლა.

ერისთავს ნათლობაზე მოპატიჟებული ჰყავდა მეფის ნაცვლის, თავადი ვორონცოვის მთელი ამალა, მისი ახალგაზრდა ადიუტანტის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის[29]) მეთაურობით. დაშკოვი ნათლიად იყო მიწვეული.

ახალგაზრდები სამი დღის განმავლობაში ქეიფობდნენ, მხიარულობდნენ და მიუხედავად ეჭვიანი ქმრის სიმკაცრისა, მაინც ახერხებდნენ და ბედავდნენ აღფრთოვანებული თვალებით ემზირათ სილამაზით ბრწყინვალე ახალგაზრდა კნეინასათვის.

შემდეგში, როცა ვორონცოვ დაშკოვი მეფისნაცვლად დანიშნეს და კვლავ დაბრუნდა თბილისში, მოიგონა თავისი ახალგაზრდობა, მილტოზში[30]) მხიარულად გატარებული დრო და მოისურვა ერისთავის ოჯახის რომე-

ლიმე წევრის ნახვა, მაგრამ აღარავინ იყო, მოხუცები უკვე გარდაცვლილიყვნენ, რევაზის ერთადერთი ქალიშვილი კი ქმართან ერთად ვლადიკავკაკში ცხოვრობდა.

პაპა ნიკოლოზის სიკვდილის შემდეგ, მამაჩემს მოვალეები აღრჩობდნენ, „პრიკაზი“ მამულებს უწერდა და საჯაროდ უყიდდა. ამნაირად გაუყიდეს თბილისში შტკვრის მთელი მარჯვენა ნაპირი მუხრანის ხიდიდან დაწყებული. იქ მაშინ ბორანი მუშაობდა, რომელსაც ხალხი ავლაბარში გადაჰყავდა. ეს ბორანი საგრძნობ შემოსავალს იძლეოდა, ესეც მოგვესპო. ასე, ამნაირად მივდიოდით საბოლოო გაღატაკებამდე. ბოლოს, ბევრი ტანჯვის შემდეგ, მამამ პეტერბურგში წასვლა გადაწყვიტა, რომ თხოვნა მიერთმია მეფე ალექსანდრე მეორისათვის,[31]) რათა მისთვის მოეხსნათ სახაზინო ვალი 600 ათასი მანეთის რაოდენობით და მისი პროცენტებიც.

მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. არზა დაუწერია ახლად შეძენილმა სიძემ, იმ დროის შესაფერად დიდად განსწავლულმა, მრავალ აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ცნობილმა მწიგნობარმა პლატონ ეგნატეს-ძე იოსელიანმა.

იმ ხანად, ალექსანდრე II-ის ნაცვალი კავკასიაში, მისი ძმა მიხეილ ნიკოლოზის-ძე იყო.[32]) ის ცდილობდა ხალხს თავდაბალ კაცად მოჩვენებოდა. ხშირად დადიოდა ბაზარში, გამბედავი და ენამახვილი ყარაჩოხელები „მიხაკო“-ს უძახოდნენ, დამტვრეული რუსულით ელაპარაკებოდნენ და სანოვაგეს თავაზობდნენ.

მისი მეუღლე—გერმანელი ქალი, ოლგა თეოდორეს ასული, მკაცრი წესების ადამიანი იყო. თვითონ ძალიან მშვიდსა და სათნო ცხოვრებას ეწეოდა და სურდა, რომ

მთელი საზოგადოება ასევე მოქცეულიყო. თავად ბარიატინსკის[33]) მხიარულ წვეულებებსა და დროსტარებას მიჩვეულთათვის, ასეთი ცხოვრება მეტად მოსაწყენი აღმოჩნდა. ოლგა თეოდორეს ასულის დაჟინებით, ციმბირში გადაასახლეს ანდრონიკაშვილი, რომელმაც აფხაზეთისა და მეგრელების ძველ ჩვეულებას წაბაძა და საცოლედ მოიტაცა აბაშიძის ქალიშვილი.

თავისი შვაბების გადმოსახლებით, ოლგა თეოდორეს ასულმა თბილისში დიდი ახალშენი მოაწყო, რისთვისაც დაუთმეს მტკვრის მარცხენა ნაპირი—ვერის ხიდიდან მოყოლებული დიდუბემდე—თავისი შესანიშნავი ბაღებით. ახალშენს გადასცეს ძროხები და მერძეობისათვის საჭირო ინვენტარიც. ეს შვაბები მთელ თბილისს აწოდებდნენ რძის ნაწარმს; ბორჩალოს რაიონშიაც დააარსეს ყველის დასამზადებელი ქარხნები. ამ ქარხნებში ისინი იყენებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლების შრომას, რაშიაც უმნიშვნელო გროშებს იხდიდნენ.

დიდი მთავრის დროს, უცნაურმა „პრიკაზმა“ თავისი სახე თანდათან შეიცვალა.

* *

იოსელიანის მიერ საქართველოს არქეოლოგიის შესახებ მრავალრიცხოვანი ნაშრომების გამო სრულიად ღირსეულად დამსახურებულმა პროფესორის მაღალმა წოდებამ და დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის კანცელარიის დირექტორის თანამდებობამ ააგულიანა მამაჩემის მესამე და, ძალიან განათლებული და ნაკით-

ხი—ანა ნიკოლოზის ასული, ცოლად გაჰყოლოდა მას, მაგრამ ისიც თითქმის 30 წლით უმცროსი იყო თავის ქმარზე. წლოვანებაში ასეთი განსხვავების გამო, ანა თავის მეუღლეს მხოლოდ „ბატონობით“ მიმართავდა ხოლმე.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე მეტისმეტად წყალობდა პლატონ იოსელიანს და ხშირად აპატიებდა ხოლმე მას ზოგჯერ არა თავაზიან და ახირებულ საქციელს, მაგალითად, ერთხელ იოსელიანის კაბინეტში თურმე შესულა დიდი მთავარი და, იოსელიანისათვის, რომელიც ამ დროს რაღაცას წერდა, მიუმართავს: „პლატონ იგნატიევიჩ“!—პლატონს ხმა არ გაუცია, მეორედ დაუძახნია, იოსელიანს წერა კვლავ განუგრძვია. ეს უხერხულობა რომ გაექარწყლებია, დიდ მთავარს უთქვამს: „მე სულ დამავიწყდა, რომ როდესაც ფილოსოფოსი წერს, ხელი არ უნდა შეუშალოო“. „სრული სიმართლეა, თქვენო აღმატებულებავ,“—უპასუხნია პლატონს.

პლატონის მიერ მეუღლისადმი თავაზიანი მოპყრობისა და მისი ღრმა ინტელიგენტობის წყალობით, მათი წლოვანების განსხვავება, როგორლაც შესამჩნევი არ იყო, თუმცა, პაპაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მიუხედავად იოსელიანის ბევრი დადებითი მხარეებისა, ეს ქორწინება მაინც არ მოხდებოდა, რადგან პაპა მოითხოვდა, რომ სიძეები წარმოშობით მისებრ მაღალი წოდების ყოფილიყვნენ. პლატონი დიდ პატივს ცემდა თავის მეუღლის ოჯახის წევრებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მაინც წამოცდებოდა ხოლმე ყველა მუხრანელების მიმართ:—„ფულის მკვნეტავები არიანო“. თვითონ პლატონი მეტად ყაირათიანი იყო.

თხოვნა, ხასკინისეული ვალის ჩამოწერის შესახებ უკვე დაწერილი იყო და მცხეთაში კურთხევის მიღების შემდეგ, მამაჩემი, როგორც ყოფილი სამხედრო პირი, ფოსტის ცხენებით გაემგზავრა პეტერბურგისაკენ.

რითი გათავდებოდა ასეთი ყოველმხრივ გაბედული მგზავრობა, ან რას მოუტანდა ის გაუბედურებულ და გაღატაკებულ ოჯახს, სადაც სანთლის მაგიერ ახლა ხშირად კვარი ენთო?

საბედნიეროდ, მეფემ ისმინა მამაჩემის ვედრება და მთელი ვალი ჩამოწერილი იქნა.

სატახტო ქალაქში სამი თვის ყოფნის შემდეგ, მამაჩემი გახარებული და გამხნევებული დაბრუნდა მუხრანში, სადაც გულის ფანცქალით ელოდებოდა მთელი ოჯახი.

როცა კარგად დაისვენა, ზაქროსაგან ჩაიბარა საქმეები და კვლავ შეუდგა შვილების მომავალ განათლების საქმეზე ზრუნვას. გიმნაზიაში ჩვენი შესვლა ჯერ ადრე იყო. იმ ხანად ფრანგული ენა სულ უფროდაუფრო შემოდიოდა მოდაში. თითქმის ყველა არისტოკრატიულ ოჯახში იყვნენ ფრანგი აღმზრდელები. დედაჩემი ინსტიტუტში აღზრდილი იყო, მაშასადამე, ფრანგულად ლაპარაკობდა, მაგრამ მას ჩვენთვის არ ეცალა, ამიტომ მამაჩემმა გადაწყვიტა, მე და ჩემი ძმა მოვეშორებიეთ ოჯახისათვის და მივებარებიეთ ფრანგთა ოჯახში.

ასეთ „კულტურულ“ ოჯახად მამაჩემმა თბილისში დალაქ ბერლემონის ოჯახი მიიჩნია. ბერლემონი სიამოვნებით დაეთანხმა მამაჩემის სურვილს. ოქტომბრის ერთ დღეს, როცა რთველი სავსებით მოთავებული იყო, ყოველგვარი სანოვაგით დატვირთული ურმით, ჩვენმა

ზაქრომ მიგვიყვანა ახალ საცხოვრებელ ადგილზე, გზაში ერთხელ კიდევ ჩამოგვართვა სიტყვა, რომ წესიერად მოვიქცეოდით და არ შევარცხვენდით არც ოჯახს და არც ზაქროს.

ლევანი მთელი გზა ტიროდა, მე თავს ვიმაგრებდი, ვიგონებდი ტარიელს და ვცდილობდი წარმომედგინა, თუ როგორ მოიქცევოდა ის ჩემს მდგომარეობაში, მაგრამ, როდესაც დამშვიდობებისას ზაქრომ ხელი მოგვხვია და ვიგრძენი, რომ ჩვენი მოშორება მისთვისაც ძნელი იყო, თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი. ზაქრო უშვილოთ ბერდებოდა და მთელი მამობრივი გრძნობები ჩვენზე გადმოქონდა.

ფრანგის ქალს, ეტყობოდა არ მოეწონა ჩვენი ალერსიანი გამომშვიდობება და ჩქარობდა მის შეწყვეტას, ზაქრო მოურიდებლად გამოაბრძანა გარეთ და მე და ჩემი ძმა დავრჩით, თითქოს უცხო მხარეში, სრულიად მარტონი. ასე დაიწყო ჩვენი ცხოვრების ახალი ხანა, რომელსაც უნდა დავმორჩილებოდით.

მოხუცი ბერლემონი, ძალიან ლამაზი, რბილი ხასიათის და გულუბრყვილო, ნაზად გვეალერსებოდა, ლოყაზე ხელს გვითათუნებდა და, ჩვენთვის სრულიად გაუგებარ ენაზე რაღაცას ბუტბუტებდა, რაც არც ჩვენს გონებასა და არც ჩვენს გულში არავითარ გამოძახილს არ პოულობდა. რუსული ენა, რომელიც მისმა მოსამსახურემ იცოდა, უფრო მეტი გასაგები იყო ჩვენთვის.

ყველაფრის ატანა შეიძლებოდა, გარდა იქაური კვებისა, საშინელება იყო მუდამ ერთი და იგივეს ჭამა— ყოველდღე მზადდებოდა ფხალეული და კარტოფილი,

სხვადასხვა სახით. მე ნაკლები მოთხოვნილების ვიყავი და ნაკლებ აზიზობას ვიჩენდი, ლევანს კი თვალით დასანახავადაც ეზარებოდა ასეთი სადილები, განსაკუთრებით სტაფილო, რასაც დილაობით ძალით გვაჭმევდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ სტაფილო აუცილებელია ბავშვისათვისო. გვძულდა კარტოფილიც, როცა მას მოგვიტანდნენ, პირდაპირ ჯოჯოხეთი შეიქნებოდა: არც ხვეწნა და არც მუქარა ლევანზე არ მოქმედებდა. მაშინ როკაპი ფრანგი ქალი აიძულებდა ლევანს ინდაურივით ეყლაპა მთელ-მთელი კარტოფილები: ქმარი ლევანს თავს დაუჭერდა და ძალით გაღებულ პირში, ცოლი ჩანგლით კარტოფილს ჩაუტენიდა და მანამდე ეკავა ჩანგალი, სანამ ლევანი არ ჩაყლაპავდა კარტოფილს.

ასეთი წამება ყოველდღე მეორდებოდა სამი წლის განმავლობაში, ბერლემონები ტრაბახობდნენ, რომ პატარა აზიელებს ვწვრთნითო.

მალე ჩვენ მშვენივრად დავიწყეთ წმინდა ფრანგულ ენაზე ლაპარაკი. ბერლემონებმა გვაიძულეს დაგვევიწყებია ჩვენი მშობლიური ენა; როცა მამა ჩამოდიოდა ხოლმე, მასთან ლაპარაკისათვის თარჯიმანი გვჭირდებოდა. მამას უხაროდა ჩვენი ასეთი წარმატება და მადლობას უხდიდა ჩვენს მწვალებელს, რომლის საქციელის შესახებ ვერაფერს ვეუბნებოდით მამაჩემს, რათა გაბრაზებულ ქალს შემდეგში მეტად არ ვეწვალებიეთ.

თვითონ ბერლემონი, მისი ვაჟი და ქალი ყოველთვის კარგად და გულთბილად გვეპყრობოდნენ, დედა კი იმათთვისაც ისეთი იყო, როგორც ჩვენთვის.

ზამთრის გრძელ ღამეებში, ხან ვაჟი და ხან ქალი-

შვილი გვიკითხავდნენ ანდერსენის[34]) ზღაპრებს. მთელ დღის ნამტირალევი ლევანი, რაღაც გულცივობას იჩენდა მათდამი, მე კი სიამოვნებით ვისმენდი, რა თქმა უნდა არა ისეთი აღფრთოვანებით, როგორც მშობლიურ საქართველოს გმირულ თქმულებებს, მაგრამ მაინც ეს იყო უხილავი მხარის ამბები, რომლებიც მე ძალზე მაინტერესებდნენ და მიზიდავდნენ. კიდევ უფრო მეტად მინდოდა გავცნობოდი მაინ-რიდის[35]) და ჟულ ვერნის[36]) წიგნებს, მაგრამ ბერლემონის ცოლი არ გვაძლევდა ნებას და გვარწმუნებდა, რომ ეს წიგნები აღელვებენ ისედაც თავქარიან ბიჭებს, და მათი კითხვა საჭირო არ არისო.

განვლო სამმა წელმა. გათავდა ჩვენი სწავლის მძიმე გამოცდის ვადა და ყოველ წუთში მოუთმენლად ველოდით ზაქროს. ყოველ ხმაურს ვაყურადებდით, და აი, მაისის ერთ მშვენიერ დღეს, როცა გრძელი და თვალისმომჭრელი მზის სხივი შემოიჭრა ჩვენს ნახევრად ბნელ ოთახში, რომელიც მოთავსებული იყო სადალაქოს უკან, ვაჭარ სარაჯიშვილის სახლში სასახლის ქუჩაზე,—დავინახეთ ზაქრო.

ჩვენს სიხარულს და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ თავს ვიკავებდით, რომ ბერლემონებს არ წყენოდათ. საჩქაროდ ჩავალაგეთ ჩვენი ბარგი, გამოვეთხოვეთ ბერლემონების მთელ ოჯახს და წავყევით ზაქროს.

უბედურება ის იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში სრულიად გადაგვავიწყდა მშობლიური ენა, თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებდით, რომ ქართული ენის ხმოვანება გვქონდა ჩარჩენილი სმენასა და გონებაში.

მთელი გზა თბილისიდან მუხრანამდე ჩუმად ვიყავით. როცა მშობელ სახლს მივუახლოვდით, გულმა გამალებული ძგერა დაგვიწყო. სახლში ყველაფერი სამხიარულოდ და არაჩვეულებრივად გვეჩვენებოდა, საალერსოდ ხელიდან ხელში გადავდიოდით—მამიდან დედასთან, ბებიასთან, მამიდებთან და ბოლოს ჩემს უსაყვარლეს, სამი წლის უნახავ გამდელთან.

ჩვენით და ფრანგებთან ჩვენი ყოფნის შედეგებით კმაყოფილმა მამაჩემმა ნება დაგვრთო, ყველაფერი შემოგვერბინა და დაგვეთვალიერებია, რასაც კი მოვისურვებდით; ჩვენც ვისარგებლეთ ამით და არც ერთი კუთხე არ დაგვიტოვებია უნახავი—საქონლის ბაკი, საჯინიბო, კოშკშიაც კი ვიყავით, მთელი ჩვენი შინამოსამსახურეები დავკოცნეთ, ყოველი მათგანი თავისებურად გვესალმებოდა და უკვე ისეთ განათლებულებად გვთვლიდნენ, რომ სახელის დაძახებას ვეღარ გვიბედავდნენ და „ბატონიშვილობით“ მოგვმართავდნენ.

მუხრანში სეირნობისას, მე როგორც ბუნების დიდი მოყვარული, იმ ადგილამდე მივედი, რომელიც ძველ მუხრანად ითვლება. იქ ასწლოვანი მწვანე მუხები ჩრდილს ფენდნენ უძველესსა და ნახევრად დანგრეულ, ე.წ. წმინდა გიორგის ეკლესიას. საქართველოში გიორგი დიდ წმიდანად ითვლებოდა და მას ყველა თაყვანს ცემდა.

ყოველწლიურად, 23 აპრილს, გიორგობას მთელი სოფლელები თავიანთი ოჯახებით თავს იყრიდნენ ამ ტაძართან, რომ წმიდა და ისტორიულ კედლებთან ღამე გაეთიათ და შესაწირი შეეწირათ. მეორე დღეს კი, წირვის შემდეგ, ჭიდაობა იმართებოდა. ჭიდაობდნენ ნამდ-

ვილი ბუმბერაზები, რომლებიც თავისი ხერხებით ფრანგ მოჭიდავეებსაც არ ჩამოუვარდებოდნენ. ჭიდაობის დროს ზურნა უკრავდა და მისი ხმები აქეზებდნენ გოლიათ მოჭიდავეებს.

მე სიამოვნებით ვუყურებდი მამაპაპურ სანახაობას, აღფრთოვანებაში მოვყავდი მოჭიდავეების ღონესა და სიმკვირცხლეს და თვალს ვერ ვაცილებდი მოცეკვავე ტანწერწეტა ახალგაზრდა ქართველ ქალებს.

იმავე დროს, საპატივცემო, ხანშიშესული მანდილოსნები ისხდნენ მათზე არა ნაკლებ პატივცემულ მაჭანკლებთან ერთად, ათვალიერებდნენ საცოლო ვაჟებს და გასათხოვრებს, იმისდა მიხედვით, თუ ვისთვის ვინ იყო შესაფერი, და გულდასმით უსმენდნენ მაჭანკლებს, რომლებიც დაწვრილებით უყვებოდნენ მათი მდგომარეობის, ქონებისა და წარმოშობის შესახებ.

აქაური გლეხების ნახევარი სომხები იყვნენ. ეს შემდეგნაირად მოხდა: როცა ჩვენმა წინაპარმა მუხრანელმა წილად მუხრანი მიიღო, ის ყარაბახში წავიდა, იქ შეისყიდა მონა-სომხები, ჩამოიყვანა მუხრანში და დაასახლა. ისინი ერთგული ყმები გამოდგნენ, მაგრამ თავისი ენა და გრიგორიანული სარწმუნოება კი შეინარჩუნეს.

* *

საქართველოს რუსეთთან შეერთებისას[37], იმის გამო, რომ საქართველოს მეფის ოჯახი მეტად მრავალრიცხოვანი იყო, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ოჯახის წევრები ნათესაური ხარისხის მიხედვით დაეყო, და რომ პენ-

სია ნაკლები, ან სულ არ მიეცათ, უმცირებდნენ ტიტულებს. მაგალითად, მუხრანელები „უგანათლებულესი“ თავადებიდან „უბრწყინვალესად“ გახადეს, ასე ჩასწერეს გვარტომობის უწყებაში და, რა თქმა უნდა, არავითარი პენსია აღარ დაუნიშნეს.

ყველაფერი ეს უბრალო რამ იყო იმასთან შედარებით, რაც გენერალ გოლოვინმა[38]) ჩაიდინა. მან ერთ შშვენიერ დღეს განაცხადა, რომ საქართველოში გლეხობის გარდა წოდება არ არსებობსო.

გოლოვინის ასეთმა განცხადებამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია და ლამის აჯანყების მიზეზი შეიქნა. იგი საქართველოს საჩქაროდ მოაშორეს და მის მაგივრად დანიშნეს მეტად განათლებული ადამიანი, გენერალი ნეიდგარტი[39]), რომელიც სულით და გულით ცდილობდა საქართველოში ნორმალური მდგომარეობა დაემყარებია, რაც მეტად ძნელი იყო გოლოვინის მიერ შექმნილი არევდარევის შემდეგ.

* *

მოვიდა მინდვრის სამუშაოების დრო. ამ მუშაობაში მე დიდ მონაწილეობას ვიღებდი, ადრიანად, დილიდანვე მივყვებოდი ხან მამაჩემს და ხან ზაქროს, მაგრამ ახლა არა მის ზურგს უკან შემომჯდარი, არამედ საკუთარი ცხენით.

მამამ, ხედავდა რა ჩემს სიყვარულს სოფლის მეურნეობისადმი, სახლსა და გლეხობასთან ახლო ყოფნის სურვილს, მაჩუქა კარგად გახედნილი ცხენი ქართული

ულაგირით. ცხენს მოსართავი მოვერცხლილი ჰქონდა, რაც ჩემს ძმებში დიდ შურს იწვევდა.

ალფრთოვანებით ვუმზერდი თვალუწვდენელ, მობიბინე ხავერდოვან მწვანე მდელოს, ხალიჩასავით აჭრელებულს მინდვრის ყვავილებით და ეს მასულდგმულებელი სანახაობა თითქოს მეც მმატებდა სიცოცხლეს.

მაგონდება ჩემი ყანაში ყოფნა — უკან მივყვებოდი ხოლმე გუთანს და მთელი ძალით ვაწვებოდი მას, რომ სახნისს რაც შეიძლება უფრო დიდი ბელტი გადაებრუნებია, ვცდილობდი, მორჩილ ხარებს ისე ევლოთ, რომ ჩემი კვალი სწორი გამოსულიყო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩემთან მომუშავე გლეხი მაქებდა. შესვენების წუთებში მოკითხულ მისგან შოთის პურს და ყველს მადიანად და გემრიელად ვჭამდი, რადგან ეს უკვე ჩემი შრომით ნაშოვნი ლუკმა იყო.

საშემოდგომო თესვასთან ერთდროულად პურსაც მკიდნენ. ხევსურები და ფშაველები ასობით ჩამოდიოდნენ მთიდან სამუშაოდ, და ქირით მკიდნენ პურს.

მახსოვს ერთი ღონიერი, ფართო მხარბეჭიანი მომკელი; ვარდისფერ ბაგეზე ბავშვური ღიმილი უთამაშებდა, მის ნაცად ხელს მუშაობა ისე ემარჯვებოდა, რომ ნამგლის ერთი მოკნევით, თავის მწკრივს თითქმის ნახევრად მკიდა. ის მიწას გრძნობდა, თითქოს მასთან იყო შეზრდილი, ყნოსავდა მის სუნს და იკრებდა ახალ ძალას. როცა მუშაობით დაღლილი შედგებოდა, მთელ ქვეყანას მფლობელის თვალით გაჰყურებდა.

არც თიბვისა და არც მკის ნება არ დამრთეს, რადგან ეშინოდათ ნამგალითა და ცელით, გამოუცდელობის

გამო, ხელი ან ფეხი არ დამეშავებია, მაგრამ, სამაგიეროდ, მოთიბულით კი ვიჯერე გული—ვაგროვებდი თივას და ფიწლის მოხდენილი მოქნევით ურემზე ვყრიდი.

დაბინდებისას ურმების მთელი მწკრივი გაუდგებოდა სახლის მიმართულებით, სადაც ჩვენი ზაქროს მეთვალყურეობით, თივას ზვინებად დგამდნენ.

თვალს ახარებდა შესანიშნავი საქართველოს ღამე, მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცის თაღზე მედიდურად მცურავი მთვარე გზას უნათებდა დატვირთულ ურმებს.

მამაჩემი მუშებს ეზოში დახვდებოდა. საუკუნოების მანძილზე სიხარულის საწინდარი—თავმოხდილი ქვევრი უცდიდა დაღლილთ, მაგრამ სულით მხნე ადამიანებს. იქვე გემრიელი ლობიოთი სავსე დიდ ქვაბთან ფუსფუსებდა მოხუცი მხარეული, რომელიც დიდიხნიდან, როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, ჩვენს ოჯახს ემსახურებოდა.

ჩქარა გაირბინა მხიარულმა ზაფხულმა, დადგა შემოდგომა, ოქროდასხმული ნაყოფის სიმძიმით ხეების ტოტები მიწამდე იხრებოდნენ, დამწიფებულ ვაშლსა და მსხალს ყუნწები ძლივს იმაგრებდნენ, უკვე დაბერტყილი კაკალი გასახმობად იყო გაფენილი. ფაქიზი ხავერდოვანი ატმებიც ჩქარობდნენ დამწიფება მოესწროთ ჯერ კიდევ მცხუნვარე მზის სხივებზე.

სექტემბრის ბოლოს უთუოდ მოვკრეფდით ხილს, რომ ყურძენს ჩრდილი მოშორებოდა და დამწიფებადატკბობის საშუალება მიცემოდა.

თეთრი და შავი ყურძნის მტევნები ლამაზად ელვარებდნენ მწვანე ფოთლებში, ჰაერში ფუტკრის განუ-

ნიკო ბაგრატიონი

წყვეტელი ბზუილი იდგა, ფუტკარიც ჩქარობდა მოეთავებია თავისი გულმოდგინე და ბეჯითი შრომა.

ოქტომბრის დასაწყისში შეუდგებოდნენ ყურძნის კრეფის სამზადისს—ასუფთავებდნენ დიდრონ, ღრმა ქვევრებს, ქვევრში ჩასული კაცი სარცხით რეცხვისას, ხშირად დამთვრალა შიგ ჩარჩენილი ღვინის სუნით. ამზადებდნენ საწნახლებს და გოდრებს. ერთი სიტყვით ყველგან, როგორც უშველებელ მარანში, ისევე მთელ სახლში, ყველაფერი მოძრაობდა—ელოდნენ სტუმრებს, შორეულ და ახლო ნათესავების ჩამოსვლას.

რთველის დაწყების დღეს, მთელი შინამოსამსახურეები ზურგზე მოკიდებული გოდრებით, მათთან ერთად სტუმრებიც, რა თქმა უნდა, ვისაც სურდა, და ოჯახის წევრები მოედებოდნენ ვრცელ ზვრებს. დილიდან გვიან საღამომდე ვენახებში ისმოდა ქართული მელოდიური სიმღერები, ზედიზედ იტვირთებოდა ურმები და მარანში შიჰქონდათ. მარანში შეტანამდე დიასახლისის განკარგულებით, ყურძნის ნაწილს საჩამიჩედ არჩევდნენ, ნაწილს ჯაგნებად საზამთროდ ინახავდნენ, დანარჩენს კი უზარმაზარ საწნახელში ყრიდნენ.

საღამოს მოიტანდნენ ტკბილით სავსე უშველებელ კასრებს, პირამდე ავსებდნენ ქვევრებს, საჩურჩხლე ტკბილს დიდრონ ქვაბებში ასხამდნენ, ხარშავდნენ თათარას, შიგ ავლებდნენ მაგარ ძაფზე აცმულ ნიგვზეულს. ამოვლების შემდეგ, მეორე დღეს, მზეზე გაკიდებდნენ, აშრობდნენ და როცა ჩურჩხელები უკვე მზად იყო, ახვევდნენ სუფთა ტილოში და ინახავდნენ.

ორი კვირა მაინც გრძელდებოდა რთველი, მთელი

ეს დრო პირდაპირ დღესასწაული იყო—აზარფეშა მხიარულად გადადიოდა, იქვე, ბაღში მსხდომ მოქეიფეთა ხელიდან ხელში, ისმოდა გულითადი „ალავერდი“, რომელსაც თან მოჰყვებოდა საუკეთესო სურვილები და მომავალის იმედები... ადამიანს, როგორ ცუდ მდგომარეობაშიაც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის გაუელვებს იმედი მზის სხივის მაგვარად; ასეთია ადამიანის ბუნება, ის ყოველთვის ცდილობს გული არ გაიტეხოს, ხვედრს ძლიოს, ასეთივე იყო მამაჩემიც—ჭკვიანი, ენერგიული, მიუხედავად ყველა გადატანილ სიძნელეებისა, როგორც საბრძოლო, ისე ოჯახურისა, მაინც ვაჟკაცური მამაკაცის მთლიან ტიპს წარმოადგენდა.

შემოდგომის სამუშევრები მოთავდა, წლიური სარჩო უზრუნველყოფილი იყო. მამას ისევ გავახსენდით, და რადგანაც წლოვანობით გიმნაზიაში შესასვლელად კიდევ პატარები ვიყავით, ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, რომ მოსამზადებლად გავეგზავნეთ თბილისში ჩვენს სიძესთან, იოსელიანთან, შესახედავად თუმცა მკაცრსა, მაგრამ არსებითად ძალიან კეთილსა და გასაოცრად გულისხმიერ მოხუცთან.

იოსელიანი ზაფხულობით დუშეთში ცხოვრობდა თავის პატარა კარმიდამოში, სადაც გაშენებული ჰქონდა შესანიშნავი საზღვარგარეთული ჯიშებით განთქმული ხილის ბაღი. პლატონი ნამდვილი ქველმოქმედი და გულშემატკივარი იყო იქაური ღარიბი მოსახლეობისა, ყოველგვარ მათ გაჭირვებას გამოეხმაურებოდა ხოლმე—დაწყებული თხოვნების წერიდან, გათავებული ფულით დახმარებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოყვარულ მამიდასთან შივდიოდით, მაინც გული გვწყდებოდა მშობლიური მუხრანის დატოვების გამო, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ უსწავლელი კაცი ცხოვრებაში უძლური იყო. ამის შესახებ ყოველ ფეხის გადადგმაზე და უზარმაზარი სახლის ყოველ კუთხეში გვესმოდა ლაპარაკი.

პლატონს თბილისში რტიშჩევისა[40]) და ამაღლების ქუჩების კუთხეში შესანიშნავი საკუთარი სახლი ჰქონდა. ის თავისი მდგომარეობის მიხედვით, ფართოდ ცხოვრობდა—ვინც კი, ცოტაოდენ მაინც იყო კულტურის მატარებელი, საზოგადოებრივად და გონებრივად მაღლა მდგარი, მისთვის იოსელიანის სახლის კარები ყოველთვის ღია იყო; მათ გულღიათ ხვდებოდა და პატივს ცემდა მამიდაჩემი, ჭკვიანი და სტუმართმოყვარე დიასახლისის სახით.

პლატონი, როგორც ნამდვილი პატრიოტი, სიხარულით ღებულობდა მონაწილეობას საქართველოს კულტურულ-ეროვნულური ცხოვრების ყოველ გამოვლინებაში, მაგალითად, როცა ერისთავის პიესა—„გაყრა“[41]) ხელახლა კნეინა მანანა ორბელიანის[42]) სახლში დაიდგა, პლატონი ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი იყო, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა საზოგადოებას დანარჩენთა უხეირო თამაშთან შედარებით.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძეც დაესწრო ამ ოჯახურ წარმოდგენას.

პლატონმა საქმისადმი დიპლომატიური მიდგომა იცოდა, ყველაფერს ისე მოაწყობდა, ისე მოიქცეოდა, რომ არავის აწყენინებდა. ის განაგრძობდა არქეოლოგიურ მუ-

შაობას, ამდიდრებდა საქართველოს თავის ღრმა ცოდნით, იცოდა რამდენიმე უცხოური ენა, მიწერ-მოწერა ჰქონდა ევროპის დიდ არქეოლოგ-მეცნიერებთან და საქართველოში ჩამოსვლისას ოჯახში მიიპატიჟებდა ხოლმე მათ. შეიძლება ითქვას, რომ პლატონის ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არ ყოფილა ერთი ისეთი დღეც, რომ მას რაიმე არ გაეკეთებიოს ქვეყნის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, ყველა შესაძლებლობით ცდილობდა, როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი წვლილი შეეტანა, რომ სიკვდილის წინ საშუალება ჰქონოდა ეთქვა: „დიახ, მე ვცხოვრობდიო“.

არქეოლოგიის როგორც იშვიათმა მცოდნემ და მოყვარულმა, მან მოახერხა საბერძნეთში გამგზავრება — ათონში.[43]) სადაც დიდი პატივისცემით მიიღეს ქართული „ივერიის მონასტრის“ ბერებმა. პლატონმა უკან დაბრუნებისას ათონიდან თან ჩამოიტანა ერთი ძველისძველი ქართული ხელნაწერი სახარება. ბოლოს, თავისი შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა არა მარტო ძველი ქართული წიგნების კოლექციას, არამედ სხვა ქვეყნების იშვიათ წიგნებითაც მდიდარი იყო, მან საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა იმ პირობით, რომ შემდეგში ის ქართული უნივერსიტეტისათვის გადაეცათ. მართლაც, მისი გარდაცვალებისთანავე მისმა ქვრივმა[44]) მთელი წიგნები ჩააწყო თორმეტ დიდ ყუთში და დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

პლატონს არ მოსწონდა მაშინდელი სოციალური უთანასწორობა, და როდესაც გენერალ-ლეიტენანტმა, თავადმა ივანე კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრანელ-

ში[45]) გლეხს ურემი არ გაატარებინა თავის მიწაზე, პლატონმა, რომელიც იმ დროს მასთან იყო სტუმრად, უწინასწარმეტყველა ამაყ მემამულეს და უთხრა: „გახსოვდეს, შენ ახლა ერთი ურემი არ გაატარე, დადგება ისეთი დრო, როდესაც ასეული ურემი გაივლის შენს დარბაზებთანო“.

საერთოდ, იოსელიანი ამ გენერალს არ ერიდებოდა, რადგან ისიც ახსოვდა, თუ როგორ უმართებულოდ მოეპყრო ის მამაჩემს—ისარგებლა რა იმით, რომ მისი ძმა გიორგი სენატორი[46]) იყო, და შეეძლო უკანონო საქმეც კი ისევ გაეტარებია სენატში, როგორც მას სურდა.

მამაჩემის მუხრანში არ ყოფნის დროს, მან სამასი დესეტინა საუკეთესო მიწა წაგვართვა, რომელსაც „მუხრანის თვალი“ ერქვა. ამ ადგილზე მან გარდა შესანიშნავი, აივნებითა და სვეტებით მორთული სახლისა, ღვინის დიდი და საუკეთესო სარდაფებიც ააშენა. ამ სარდაფებში ქვევრების ნაცვლად დიდრონ ხის კასრებში აყენებდნენ ღვინოს. მან გამოიწვერა ფრანგი-მეღვინე ჟორჟი და ღვინის დაყენება ფრანგულ ყაიდაზე დაიწყო. მისი ღვინოები მთელ საქართველოში განთქმული იყო. მან აუარებელი ვენახები გააშენა ამერიკული წესით, მიწები არა მარტო ჩვენ წაგვართვა, არამედ გლეხებსაც ართმევდა, რომ გაეფართოებია თავისი უკანონოდ მიღებული სამფლობელო. გენერლის სახლის აივნიდან მოჩანდა კავკასიის ქედი და ყაზბეგი, რომელიც მზის სხივებით გაბრწყინებული, ამაყად იდგა საქართველოს ბუნებრივი საზღვრების სადარაჯოზე.

გენერალს მუხრანში მხოლოდ ორი კომლი გლეხი

ჰყავდა—კარაპეტოვები და მამულაშვილები, დანარჩენი მისი გლეხები დიღომში ცხოვრობდნენ.

მიუხედავად ამისა, მას მაინც სურდა რეზიდენცია მუხრანში ჰქონოდა. გენერალს დიდ დახმარებას უწევდა მისი მეუღლე, სამეგრელოს მთავრის დავითის[47]) და ნინო, ჭკვიანი და შეძენის საკითხებში ძალიან მოხერხებული ადამიანი.

როცა დედაჩემმა ისტერიული ყვირილი მორთო და მთელი აურზაური ატეხა, გენერალმა იმის შიშით, რომ ეს ამბავი საზოგადოებაში არ გახმაურებულიყო და თვით დიდი მთავრის ყურამდე არ მიეღწია, სამასი დესეტინა მიწის ნაცვლად მოგვცა ოცი დესეტინა გაშენებული ვენახი სოფელ დვალისში. თავათ მოვიდა ჩვენთან და მოიტანა გეგმა. მეტი გზა არ იყო, უნდა მიგვეღო და გავჩუმებულიყავით.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, თუკი ჩვენ ვერაფერს გავხდით მასთან და ვითმენდით, რაღა უნდა ექნათ გლეხებს!

1895 წელს კნეინა ნინო გარდაიცვალა. მართვა-გამგეობა გადავიდა შესანიშნავი, შედარებით ჰუმანიური ადამიანის, გენერლის ვაჟის, თავად კონსტანტინეს ხელში. თვითონ ივანე კონსტანტინეს-ძეც პირველ ხანებში მოკლებული არ იყო კარგ სულიერ თვისებებს. მას გათავებული ჰქონდა პაჟების კორპუსი, მსახურობდა გვარდიაში, პირადად იცნობდა ნიკოლოზ პირველს, რომელიც მას „ჩემს ცელქს“ ეძახდა.

გამბედავი და უშიშარი მეომარი, უკანასკნელად იმყოფებოდა რუსეთის ჯარის ავანგარდში და სამეგრელოს

თათრების შემოსევისაგან იცავდა. კნეინა ეკატერინეს იგი დაჟინებით ურჩევდა არ დათანხმებულიყო ომარ-ფაშის[48]) დიპლომატიურ წინადადებაზე. ომარ-ფაშა, იგივე მიხეილ ლატოში, ტომით პოლონელი, შვილი იყო 1871 წელს გარდაცვლილ ავსტრიის ჯარის ოფიცრისა.

* *

და აი, ჩვენ უკვე თბილისში ვართ, ამჯერად მამამ ჩამოგვიყვანა. მამიდა ანიკომ, რომელსაც თავის ძმა გაგიჟებით უყვარდა, დიდი მზრუნველობით მოგვიწყო ნათელი და სასიამოვნო ოთახი ფლიგელში. პლატონის არჩევით მოწვეულ იქნა როგორც რუსულის და სხვა სპეციალურ საგნის, ისე ქართული ენის მასწავლებელიც.

მამიდას მეთვალყურეობით, მეცადინეობას გულიანად მოვკიდეთ ხელი. ანგარიში პლატონისათვის უნდა ჩაგვებარებინა. როცა ვიცელქებდით, ან რამეს დავაშავებდით, პლატონი გვიბრძანებდა სასჯელის მოსახდელად ზევით, ჭერში ავსულიყავით. ამ „სასჯელს“ ჩვენთვის უდიდესი სიხარული მოჰქონდა, რადგან ჭერი სავსე იყო შესანახად ატანილი აუარებელი ხილით და ოქროსფერი ყურძნის ჯაგნებით.

კვირაობით, ანჩისხატის ტაძარში[49]) წირვის შემდეგ, უფროს მამიდა სალომესთან მივდიოდით სათაყვანოდ. იგი მედიდურად იჯდა მაღალ სავარძელში და ისე ღებულობდა სტუმრებს.

ქართულ ტანსაცმელში ჩაცმული, მაგრამ თეთრი ხელთათმანიანი ლაქიები ვერცხლის ლანგრებით ჩამოა-

ტარებდნენ ჩაის და ტკბილეულს; „ხუთსაათიანი ჩაი“ ახლად შემოსული იყო მოდაში.

ქართული არისტოკრატია თავს იყრიდა სასახლეებში, მაგალითად, მარიამ დედოფლისეულ [50] სასახლეში, ერთმანეთთან მიდიოდნენ ნაწირვებს. უმეტეს წილად წირვის მოსასმენად ანჩისხატში დადიოდნენ, რადგან იქ ქართულ ენაზე წირავდნენ. თითქმის ყველა ფართოთ და მდიდრულად ცხოვრობდა; როგორც ყველგან, აქაც ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ფუფუნებით ცხოვრებაში გადაეჭარბებიათ და ამიტომ ხშირად უხდებოდათ წყეულ „პრიკაზში“ შესვლა, რომელიც ჭაობის მსგავსად თანდათან ითრევდა მათ.

ვერცხლის ფოლაქებიანი ლურჯი მუნდირების აჩრდილი გვიზიდავდა, გვაჩქარებდა და ჩვენც თავს უკვე მომზადებულად ვგრძნობდით. მაისის დასაწყისში, მამაჩემის თანხლებით, მივედით გამოცდებზე. ლევანმა საუკეთესოდ ჩააბარა გამოცდები და პირველ კლასში მიიღეს, მე ლევანზე ცოტა უფრო ნაკლებად ჩავაბარე გამოცდები და წლოვანების მიხედვითაც უფროს მოსამზადებელში ჩამრიცხეს.

ბედნიერები და კმაყოფილები, გახარებულმა მამამ მოგვიყვანა სახლში. საყვარელმა მამიდამ დაგვახვედრა გაშლილი მაგიდა შესანიშნავი საუზმით და თითო თუმანი ფულად გვაჩუქა.

თავს უმდიდრესებად ვთვლიდით, ჩვენი წარმოდგენით უკვე შეგვეძლო დაგვესაჩუქრებია ჩვენი ძვირფასი ოჯახის წევრები, რა თქმა უნდა, გამდელიც და ზაქროც მათ რიცხვში იყვნენ. მეორე დღესვე, მამიდაჩემის ხელ-

მძღვანელობით ქარვასლაში[51]) ვყიდულობდით ყველაფერს, რისი ყიდვის საშუალებასაც გვაძლევდა ჩვენი თანხები. გული არავისთვის დაგვიწყვეტია, მამის ხელით საჩუქრები ყველას გავუგზავნეთ და ამით დიდი სულიერი კმაყოფილება მივიღეთ.

თავად ვორონცოვის დროს დაარსებული რუსული გიმნაზიის[52]) დირექტორი იყო ლევ ლვოვის-ძე მარკოვი, რომელიც მოწაფეებს ძალიან უყვარდათ. განათლებული, ბუნებით კეთილი, ის მოწაფეებს არ არჩევდა ერთი მეორისაგან, შესანიშნავად მართავდა გიმნაზიას, რომელიც მაშინ კულტურის გამავრცელებელ ერთ-ერთ მთავარ კერას წარმოადგენდა.

ლევანი პირველ მოწაფედ ითვლებოდა, მე კი ჩემი სუსტი ჯანმრთელობის გამო, ხოხვით მივიწევდი წინ. გადავედი სათავადაზნაურო კლასში (ასე ეძახდნენ მეოთხე კლასს—მემამულეთა შვილების განათლების ცენზის საბოლოო პუნქტს).

გიმნაზიაში შესვლის შემდეგ, ჩვენი ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. ზამთარს თბილისში ვატარებდით, ზაფხულს კი მუხრანში.

თვალუწვდენელ მინდვრებსა და ტყეებში სეირნობის დროს, უნებლიეთ წარმომიდგებოდა ჩვენი ქვეყნის უძველესი სურათები.

ამავე დროს ვოცნებობდი საქართველოს უკეთეს მერმისზე, ხალხის კეთილდღეობაზე და ადამიანის თავისუფლებაზე.

იმ ხანებში მამამ ავადმყოფობა დაიწყო, სულ მეტად და მეტად უარესდებოდა მისი მდგომარეობა. მთელ

თბილისის ექიმები, ვინც კი იყო მაშინ, ექიმობდნენ, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მუხრანიდან ჩვენთან ჩამოიყვანეს მამა, ავადმყოფობა საშინელი სიჩქარით ანადგურებდა მის რკინასავით მაგარ ორგანიზმს. ექიმებმა გამოგვიცხადეს, რომ მდგომარეობა უიმედოაო. მე მამას დღე და ღამე არ ვშორდებოდი. ჩემთვის ქვეყნიერება ჩაბნელდა და მასთან ერთად ჩემი ოცნებებიც.

მამაჩემმა იცოდა, რომ მე ძლიერ მიყვარდა ჩვენი სოფელი, მეურნეობა და ჭკუას მასწავლიდა, მარიგებდა, თუ როგორ უნდა მეწარმოებია საქმეები მომავალში, მთხოვდა, დედაჩემი დამეცვა უსიამოვნებისაგან; საერთოდ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდას მაკისრებდა ჩვენი დიდი ოჯახის მთელ სიმძიმეს. ერთადერთ ნუგეშს ის წარმოადგენდა, რომ ვალები აღარ გვქონდა და ყველა საქმე მოწესრიგებული იყო. მე ვერ წარმომედგინა ცხოვრება ძვირფასი არსების გარეშე. მამის სასთუმალთან გატარებულ გრძელ ღამეებში ბევრს ვტიროდი, მაგრამ ცრემლები ვერ მიმსუბუქებდნენ სულიერ ტანჯვას. მამა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იღუპებოდა: ის მხოლოდ 50 წლისა იყო.

მამამ იგრძნო სიკვდილის მოახლოება და მოისურვა მუხრანში გადაგვეყვანა, თანაც გვთხოვა დაგვემარხა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, რომელიც პაპაჩემმა ააშენა.

ეს ეკლესია, ქართველი მხატვრის მიერ, შესანიშნავი ფრესკებით იყო მოხატული (საუბედუროთ, ამ მხატვრის გვარი არ არის ცნობილი). ამ ფრესკებს ყურადღება მიაქცია პატარა და ლამაზ ეკლესიის საკურთხებ-

ლად პაპაჩემის მიერ მოწვეულმა ღრმად განათლებულმა ეგზარხოსმა ისიდორემ[53], რომელიც შემდეგ პეტერბურგში იქნა დანიშნული მიტროპოლიტად.

პაპამ, ისარგებლა რა იმით, რომ ეკლესიის მოსახატად მუხრანში იმყოფებოდა მხატვარი, მას დაახატვინა ოჯახის ყველა წევრების დიდი სურათიც.

იმის გამო, რომ ამ დიდ ტილოზე გამოსახული იყო 11 ადამიანი, ისიც ფრესკული სტილით, ის ძალიან არ მოსწონდა მთელ ოჯახს და სადღაც მიგდებული ჰქონდათ, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი იყო და ამიტომ ვინახავდი მას, ახლა კი ეს სურათი მეტეხის მუზეუმშია და თითქმის საუკეთესო ექსპონატად ითვლება. აი, ასე იცვლება დრო.

მამას ჩვენც წავყევით. რკინიგზა[54] უკვე გაყვანილი იყო. სადგურ ქსანში დაგვხვდნენ შინა მოსამსახურეები, რომლებმაც საკაცით წაიყვანეს ავადმყოფი, რადგან მას ოდნავი მოძრაობაც კი ჯოჯოხეთურ ტკივილებს აყენებდა, გასავლელი მანძილი პატარა არ იყო—შვიდ კილომეტრს უდრიდა.

მშობლიური ადგილების ხედმა, იმ სახლის დანახვამ, სადაც განვლო მისმა ცხოვრებამ, სადაც ცხოვრობდნენ მშობლები, სადაც დაიბადნენ მისი შვილები, ყველაფერმა ამან, ალბათ, იმოქმედა და გაამხნევა მამაჩემი იმდენად, რომ მან მოისურვა საკუთარი ფეხი გადაედგა მშობლიურ ზღურბლზე, რამაც ჩვენში დიდი სიხარული გამოიწვია.

სანამ ადამიანი სუნთქავს, მის მახლობლებს მაინც აქვთ რაღაც იმედი, მაგრამ ეს იმედი მოკლე გამოდგა.

შამა ჩაწვა და სულ მალე, 1884 წელს ივნისის თვეში, ზიარების მიღებისა და ჩვენი დალოცვის შემდეგ, სრული ცნობიერებით გარდაიცვალა წყალმანკისაგან.

სუფთა, მოწმენდილ ცაზე მზე კაშკაშებდა და უხვად აფრქვევდა თავის სხივებს მიწაზე, მაგრამ ჩვენი მზე ჩაესვენა, ჩაქრა ჩვენი ცხოვრების ლამპარი, აღარა გვყავდა ოჯახის თავი. რა უნდა გვექნა?

თვალს ვერ ვაცილებდი მიცვალებულის ძვირფას სახეს, სწორედ ამ წუთებში გამახსენდა შამის ანდერძი და უეცრად ვიგრძენი, რომ მემატებოდა ენერგია და მიმტკიცდებოდა საკუთარი ძალის რწმენა. უკვე ვაჟკაცად ვიგრძენი თავი და მამაჩემის მიერ დაკისრებული ტვირთი მსუბუქად მომეჩვენა.

დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ მთელი ჩვენი ნათესავები, მთელი დუშეთის ოლქი, სამღვდელოება ეგზარხოსის მეთაურობით, მაგრამ მღვდელთმსახურება ეპისკოპოსმა გრიგორიმ ჩაატარა (ერისკაცობისას იგი ულამაზესი ვაჟკაცი, თავადი დადიანი იყო).

დიდი ქელეხი გადავიხადეთ, — გლეხებისათვის მაგიდები ორ რიგად იყო გაწყობილი ეზოში; სამღვდელოებისათვის, ნათესავებისათვის და ნაცნობებისათვის — ვეებერთელა დარბაზში და სასადილოში. ჩვენ, შვილები, ყველა ფეხზე ვიდექით, თვალყურს ვადევნებდით, რათა ყველაფერი წესრიგზე ყოფილიყო, როგორც სახლში, ისე ეზოში, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩენილიყო.

მალე ზაქროც ლოგინად ჩაწვა და თანდათანობით მისი ჯანმრთელობაც გაუარესდა. მამაჩემის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

სახლი, რომელიც ასეთ მაგარ საძირკველზე იდგა, თითქოს დაინგრა.

ჩავები მუშაობაში—შემცვლელი არავინ მყავდა. ლევანი გაბრუნდა გიმნაზიის დასამთავრებლად, უმცროსებიც უკვე სასწავლებლებში იყვნენ. ვცდილობდი უმამობა არ დატყობოდა ოჯახს. გავხსენი პატარა არაყის სახდელი ქარხანა და შემოსავალი ოცი ათას მანეთამდე გავზარდე, მაგრამ ამ დროისათვის ლევანმა გაათავა გიმნაზია, არ ისურვა უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად საქართველოს საზღვრებს გასცილებოდა, და როგორც უფროსმა, მოინდომა მართვა-გამგეობა და მამულების საქმეების წარმოება. ის აუქმებდა ჩემს მიერ დადგენილ წესებს, რითაც უთანხმოებას იწვევდა. მე უფროსების პატივისცემით გაჩუმებული ვიყავი და დიდხანს ვითმენდი, მაგრამ როცა ძმის უყაირათობამ შემოსავლის შემცირება გამოიწვია, მე აღვშფოთდი, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე დედაჩემს, მაგრამ დედამ არ დამიჭირა მხარი, და მეც გულის ტკივილით დავტოვე მშობლიური სახლი, რადგან არ მინდოდა ოჯახის ამბები საქვეყნოდ გამეხადა, და ფეხი შევდგი სხვა დამოუკიდებელ ცხოვრებაში.

სახლიდან რაიმე დახმარების მიღებაზე უარი ვთქვი და გადავწყვიტე სხვა რამ საქმისათვის მომეკიდა ხელი. სწორედ იმ ხანებში თბილისში ჩამოვიდა ინგლისის ფირმის წარმომადგენელი მატყლის შესასყიდათ. ფირმა მთელს კავკასიაში აწარმოებდა მატყლის შესყიდვას.

ერთმა მეგობარმა გამაცნო ეს წარმომადგენელი, იგი ხალისით დათანხმდა მივეღე სამსახურში და თავის წარ-

მომადგენლად დამნიშნა. შევადგინეთ ხელშეკრულება, დამიტოვა შვიდი ათასი მანეთი ბეს დასარიგებლად, მე კი თვეში ჯამაგირი 300 მანეთი დამინიშნა.

გულმოდგინეთ შეკუდექი საქმეს, თითქმის ოცი ათასი ფუთი გაურეცხავი მატყლისა დავუმზადე. ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა ჩემი მარწმუნებელი და ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩემი მუშაობით, ქათინაურიც მითხრა, რომ ის არ ელოდა ქართველი კაცისაგან ასეთ საქმიანობას.

როცა შემატყო, რომ მე ნაწყენი დავრჩი როგორც ჩემი ისე ჩემი თანამემამულეების შეურაცხყოფისათვის, ბევრი იბოდიშა, მაგრამ მე მკვახედ მოვუჭერი სიტყვა და ცივად გავშორდი.

გემი, რომელსაც ის მიყავდა მისი სამშობლოს ნისლოვან ნაპირებისაკენ, დაიღუპა შავ ზღვაში, და მას აქეთ, ამ ბედუკულმართ ფირმის შესახებ არაფერი გამიგია.

შემდეგ, ყარსის რკინიგზის იჯარებს მოვკიდე ხელი. ყარსის რკინიგზას აშენებდა თავის საქმის კარგი მცოდნე ინჟენერი ვურცელი.

ორი წლის მუშაობის შემდეგ, მე უკვე მოგროვილი მქონდა პატარა თანხა, რომელიც ბანკში შევიტანე, და როგორც მონომანი[55]), სულ მოგზაურობაზე ვოცნებობდი, თანაც ოჯახსაც არ ვივიწყებდი, რომლის საქმეები სულ უფრო ცუდათ და ცუდათ მიდიოდა. ლევანი აირჩიეს დუშეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად და საშინლად გატაცებული იყო ამით — სინამდვილეში სრულიად დამღუპველი საქმით. წინამძღოლობას დიდი

ხარჯები მოსდევდა, ლევანი კი მხოლოდ მამულებს შეჩერებოდა.

დადგა 1896 წელი. ახლოვდებოდა რუსეთის მეფის კურთხევა. საქართველოშიაც დაიწყეს დღესასწაულისათვის მზადება. არჩევდნენ დეპუტატებს რუსეთში გასაგზავნად.

თავადაზნაურთა დეპუტაციაში მეც მოვხვდი. ჩვენს დეპუტაციას მეთაურობდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, მეფის კამერგერი, თავადი კონსტანტინე ივანეს-ძე მუხრან ბაგრატიონი.

ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იყო. საქართველოს საზღვრების დატოვება, უსაზღვროდ ვრცელ რუსეთში წასვლა — პირველი საფეხური იყო საოცნებო უცნობი ქვეყნების ნახვისა. ჩემი ოცნება სინამდვილეთ იქცა. ბედნიერება ასე ახლო იყო და ასე შესაძლო გახდა, და მეც დიდის მონდომებით დავიწყე წასასვლელად მზადება — დავრბოდი მკერავებთან ეროვნული ტანსაცმელის შესაკვეთად. ვიყიდე შესანიშნავი ქამარ-ხანჯალი — ერთი ცისფერი მინანქრით, მეორე კი ვერცხლითა და მარჯნით მოოქვილი, განსაკუთრებით ხანჯალი და ხმალი იშვიათი ოსტატობით იყო გაკეთებული. კმაყოფილი და ბედნიერი, დელეგაციასთან ერთად 10 მაისს გავემგზავრეთ მოსკოვში. ჩასვლისას ვჩქარობდით სასტუმროში ოთახების დაჭერას, რადგან თითქმის მთელი რუსეთიდან და აგრეთვე საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები ავსებდნენ იქაურობას. ქუჩაში განუწყვეტელი ხმაური იდგა.

ალერსიანი, კაშკაშა მზე უხვად აფრქვევდა თავის სხი-

ვებს ამ სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვანაირ ტანსაცმელში გამოწყობილ ხალხს. ამ თვალისმომჭრელმა სანახაობამ ძალზე გამიტაცა და პირდაპირ აღფრთოვანებაში მომიყვანა.

ცოტა დასვენებისა, ტანსაცმელის გამოცვლისა და დანაყრების შემდეგ, ქუჩაში გავედი, ხალხის მორევმა მაშინვე ჩამითრია. ვიქირავე ეტლი, რომ თავისუფლად დამეთვალიერებია რუსეთის უძველესი სატახტო ქალაქი, რომელსაც ჩვენსავით გადატანილი ჰქონდა მრავალი თავდასხმა და შინაბრძოლები. მაისის ამ მშვენიერ, ნათელ დილას მისი ოქროსთავიანი გუმბათების ჯვრები ბრწყინავდნენ, აპობდნენ ცის სილურჯეს და თითქოს ღრუბლებისაკენ მიილტვოდნენ და მოუწოდებდნენ ყველას ეცქირათ ციური დიდებისათვის.

მეორე დღეს, მირქმის ტაძარში დანიშნული იყო მეფის კურთხევა. საქართველოს დეპუტაციას ცალკე ადგილი ჰქონდა მიჩენილი ეკლესიაში. მეფის საგვარეულოს მრავალი წარმომადგენელი, ყველა დიპლომატიური კორპუსები თან მოჰყვებოდნენ მეფის ოჯახს.

ტაძარი მაინცადამაინც დიდი არ არის, მაგრამ მისი მოწყობილობის სილამაზე აოცებდა ადამიანს. ჩემი სიმაღლის წყალობით მე ყველაფერს ვხედავდი.

აუარებელ სანთელთა შუქი, სამღვდელოების მოვერცხლილი სამოსელის ბრჭყვიალი, კარისკაცთა და უცხოეთის პრინცების ოქრომკედით ნაკერი მუნდირები, ბანდილოსნების ულამაზესი და უმშვენიერესი ტანსაცმელი, ძვირფასი თვალმარგალიტით მოფენილი თავსართავები,—ყველაფერი ეს საოცრად ბრწყინავდა.

პავლე კრიუგერი
ტრანსვაალის პრეზიდენტი

მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა „ხოდინკა“. [56]) ამ სიტყვამ ყველა შეაძრწოლა.

ხოდინკაზე მოხდა არეულობა, რის დროსაც ათასობით ხალხი დაიღუპა. მოსკოვი დამგლოვიარდა, მაგრამ ეტიკეტი და პოლიტიკა მოითხოვდა კურთხევის დღესასწაულის გაგრძელებას.

საჭირო იყო, რომ ჟურნალისტებს არ მიცემოდათ საშუალება დაწვრილებით გამოექვეყნებიათ ის, რაც მოხდა და რომ რუსეთში საპასუხისმგებლო ადგილებზე უპასუხისმგებლო პირები არიან.

ჩუმად, კუთხეებში ჩურჩულებდნენ იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა დედოფალმა ბევრი იტირა, რადგან მომხდარ უბედურებას ახალი მეფისა და მისი მეფობისათვის ცუდის მომასწავებლად თვლიდა.

დღესასწაული გრძელდებოდა, მაგრამ მას სევდის ელფერი დაჰკრავდა.

საღამოთი წვეულება იყო გამართული. სურათი სურათს ცვლიდა, უძველესი კრემლი გაცოცხლდა—ყველა დროის ძბრძანებლების მთელმა მწკრივმა გაიარა მის საუკუნეებით მდგარ თაღების ქვეშ, ყოველი მათგანი ავად თუ კარგად თავის დაღს ასვამდა რუსეთის ცხოვრებას.

ლამაზ ქალთა თაიგულში ერთი მეორეს სჯობდნენ, ერთი მეორეზე მეტად მომწონდა და მაღელვებდა. მათ შორის გამოირჩეოდა ელენე ჩერნოგორსკაია, რომელიც შემდეგში იტალიის დ დოფალი გახდა; აგრეთვე, ყველას ყურადღებას იპყრობდა მეორე ულამაზესი ქალი, ქართველების სასიხარულოდ და სასიქადულოდ—მარიამ მიხეილის ასული სუმბათაშვილი.

ფართოთ გაღებულ კარებიდან, შოპენის[57]) პოლონეზის მომჯადოებელ ხმებზე გამოვიდა მბრწყინავი მწკრივი, სამჯერ შემოუარეს დარბაზს ირგვლივ, და ყოველ შემოვლაზე ინაცვლებდნენ წყვილში მყოფ მანდილოსნებს, შემდეგ დაიწყო ცეკვები.

ამ წვეულებაზე ჩემი ძველი მეგობრები საშა და გრიცკო ვიტგინტეინები ვნახე, ისინი თავს ქართველებად თვლიდნენ, რადგან მათი დედა დადიანის ქალი იყო.

რუსეთში ყოფნის დროს ვცდილობდი გავცნობოდი რუს ინტელიგენციას, რომელიც ძალიან მაღლა იდგა, დაუფლებული იყო ყოველ დარგს და წინ მიჰყავდა თავის მშობლიური მხარის ცივილიზაცია. ამ ინტელიგენციას შეადგენდნენ ნიჭიერი მწერლები, პოეტები, მუსიკოსები და მხატვრები.

დეპუტაციასთან ერთად უკან დაბრუნებაზე უარი ვთქვი. ნიჟნინოვგოროდში გახსნილი გამოფენა მინდოდა მენახა, მთავარი კი ის იყო, რომ ვოლგით, ამ რუსეთის დედა-მარჩენალით, წამოსვლა მაინტერესებდა. სანახავი ბევრი რამ იყო: განიერი, ფირუზის ფერი მდინარე დღით ნელა მიიკლაკნებოდა, მისი ზვირთები ოდნავი ხმაურით გადადიოდნენ ერთი-მეორეზე და იცვლიდნენ ფერს; ღამით მთვარე მიცურავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე, თავის ანარეკლს თითქოს წყალზე სტოვებდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მაოცებდა რუსეთის ბუნების სხვადასხვაგვარი სილამაზე.

ჩემს ბედად, ჯერ კიდევ მოსკოვში შევხვდი ჩემს მეგობარს, ნადირობის დიდ მოყვარულს, თავად ნიკოლოზ ვახტანგის-ძე ორბელიანს.[58]) მე ვთხოვე წამოსულიყო ჩემ-

თან ერთად ნიჟნინოვგოროდამდე, რაზედაც სიამოვნებით დამეთანხმა. ის კარგ გუნებაზე იყო, რადგან კნეინა ელისაბედ დიმიტრი ორბელიანის ასულის, ბარიატინსკის მეუღლის, ქონების ნახევარი მიიღო მემკვიდრეობით, მეორე ნახევარი დარჩა ევგენი დავითისძე ქობულაშვილს.

ჩვენი ვოლგაზე მოგზაურობის დროს, მან წინადადება მომცა, ბუნებისა და ნადირობის მოყვარულთა მთელ ჯგუფთან ერთად, წავსულიყავით ლომებზე სანადიროდ ცხელ ქვეყნებში.

აი, აქ ხელახლა წარმომიდგა ტარიელი მთელი თავისი ვაჟკაცობით და გამბედაობით. მე უკვე შემეძლო ვყოფილიყავი მისი პროტოტიპი. სუსტსა და უძლურს ბავშვობაში, ახლა ისეთი ძალა მქონდა, რომ ვერცხლის აბაზიანს სულ იოლად ვტეხდი შუაზე.

ამ წინადადების გაგონებაზე, სიხარულისაგან ზევით წამოვხტი.

ალერსიანად მოვხვიე ხელი ჩემს მეგობარს, ვთხოვე საქმის კურსში ვყოლოდი და სამზადისის ყოველგვარი ამბავი ეცნობებია ჩემთვის. ნიჟნინოვგოროდში ერთმანეთს დავშორდით. იქიდან ასტრახანამდე სულ სხვა ხასიათით მივდიოდი, თითქოს ყველაფერი წარსულში გადავიდა, ახალი ცხოვრება მელოდა წინ და მასზე ოცნებამ გაიტაცა მთელი ჩემი არსება.

აუარებელი შთაბეჭდილებებით აღსავსე დავბრუნდი სახლში. ნახული და ჩემს მიერ უშუალოდ განცდილი პირველად დედაჩემს გავუზიარე, მერმე კვლავ შევუდექი მამულის საქმეების მოწესრიგებას. ჩემი შინ არ ყოფნის დროს მეურნეობა დაქვეითებულიყო, დაუდევრობისა

და უყაირათობის გამო განადგურების პირას იდგა. მინდოდა ოჯახი უზრუნველმეყო და დღეღამეს ვასწორებდი მუშაობაში, თან ველოდი ორბელიანის წერილს.

ცდა თითქმის ორ წელიწადს მომიხდა. ბოლოს, როგორც იყო დადგა სანატრელი დღე — პეტერბურგიდან მივიღე ორბელიანის დეპეშა, რომლითაც საჩქაროდ მიხმობდა. დაუყოვნებლივ შევუდექი მზადებას, მაგრამ დედაჩემს ვუმალავდი, რომ ვტოვებდი არა თუ საქართველოს, არამედ რუსეთის საზღვრებსაც, რადგან ვშიშობდი ნის ცრემლებს არ დავებრკოლებიე.

1899 წელს, ზამთრის მიწურულს გავემგზავრე პეტერბურგს.

თბილისის სადგურზე მიმაცილეს ნათესავებმა და მეგობრებმა. ყველანი გარს მეხვეოდნენ, მისურვებდნენ კეთილ მგზავრობას და შინ მშვიდობით დაბრუნებას.

მესამედ დარეკეს ზარი.

სათითაოდ გადავკოცნე ჩემი კეთილისმდომნი და შევედი ვაგონში.

მატარებელი დაიძრა.

გავშორდი საყვარელ თბილისის საზღვრებს. მატარებლის თანაბარი სვლა ბრაზს მგვრიდა. მეგონა — კი არ მიდიოდა, მიცოცავდა.

მეორე დღეს უკვე დაუსრულებელ ტრამალებზე მივქროდი. ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. დაბლა გაწოლილი რუხი ღრუბლები ჩემს აღტაცებულ გუნებას არ ეხამებოდა. ზოგჯერ მასევდიანებდა კიდეც.

როდის იყო, როდის არა მატარებელი შეგრიალდა პეტერბურგში.

ვაგონიდან გადმოსვლისთანავე კოლა ორბელიანი გა-

დამეხვია. თავის ბინაში წამიყვანა. იგი ცხოვრობდა მცირე საზღვაო ქუჩაზე.

მიუხედავად ხანგრძლივი, მოსაწყენი მგზავრობისა, თავს მხნედ ვგრძნობდი და ვჩქარობდი გავდგომოდი უფრო შორეულ გზას. კოლას მეგობრებს სასაცილოდაც არ ყოფნიდათ ჩემი ჩქარა გამგზავრების სურვილი და როგორც დონ კიხოტს [59]) ისე მიცქეროდნენ.

ლომებზე ნადირობა ჩემთვის იყო მხოლოდ საბაბი — გავმგზავრებულიყავი შორ ქვეყნებში, მენახა უცხო ხალხები, გავცნობოდი მათ ზნეს, ჩვეულებას, კულტურას. დავმტკბარიყავი უცხო ბუნების სილამაზით. თუმცა მჯეროდა — საქართველოს მსგავსი მეორე ქვეყანა არსად იყო. აბა სად შეიძლება არსებობდეს კიდევ ასეთი მხარე, სადაც ყოველგვარი მცენარე ხარობდეს, ყოველგვარი ყვავილი ჰყვაოდეს, სადაც ამდენი ჩანჩქერები და ნაკადულები ჩქეფდნენ, უკუღმა გადაგდებული მარცვალიც კი წალმა ამოდიოდეს; სადაც ქალი და კაცი ასეთი ლამაზები იყვნენ. განსაკუთრებით ქართველი ქალი იყო და არის არა მარტო ლამაზი, არამედ იგი მამაკაცის ცხოვრების დამამშვენებელია, მისი მხნეობის, სიამაყის წყარო, მისი შთამაგონებელი და ვაჟკაცური სულის აღმზრდელი.

ფენელონი [60]) ამბობს: „მამაკაცებს, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაში, არ შეუძლიათ ქალის დაუხმარებლად რაიმე სასარგებლო გააკეთონ ცხოვრებაში“. ეს უწინარეს ყოვლისა, შეიძლება ითქვას ქართველ ქალზე, რომელიც მამაკაცთან ერთად იბრძოდა და იბრძვის უკეთესი მერმისისათვის.

აი, მე უკვე რუსეთის სატახტო ქალაქში ვარ. დი-

დებული ნევა გრანიტის კალაპოტში ნელა მიატორტმანებს თავის ტალღებს. ნაპირზე დგას საუცხოოდ ნაგები ე. წ. საზამთრო სასახლე, შორს მოჩანს პეტრეპავლეს ციხის გუმბათი.

აგერ, შესანიშნავი ტაძარი, მეფეთა სამუდამო სავანე; ირგვლივ ძვირფასი სახლები; სწორი, თვალუწვდენი ქუჩები. მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია ნევის პროსპექტი ორივე მხრივ მდიდარი სავაჭროების გაჩახჩახებული ვიტრინებით. უთვალავი ეტლები, კარეტები.

ყველაფერი ეს რაღაც საარაკო იერს აძლევს ჩემს თვალში ამ ქალაქს, მაგრამ არა, ეს არაა „ათასერთი ღამის“ ზღაპარი, ესაა ნამდვილი, ყოველმხრივ შემკული დიდი ქალაქი.

ერმიტაჟი?[61] იგი ყველა საუკუნის და ყველა ხალხთა ხელოვნების ნიმუშების საგანძურია. ძნელია თვალი მოწყვიტო მასში მოთავსებულ მაგიურ ტილოებს. სადღა არიან მათი შემქმნელი ჯადოქრები? რა ხელმა შეახამა ეს უთვალავი ფერები და ჩვეულებრივი ფუნჯით გააცოცხლა ასეთი საოცრებანი? აქ შეიძლება განუწყვეტლივ იარო წლების განმავლობაში და ყოველ მისვლისას გეგონოს, თითქოს ყველაფერ ამას პირველად ხედავდე.

არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებენ ყაზანისა და ისაკის ტაძრები.[62]

ძეგლები? აგერ პეტრე დიდის ძეგლი![63] ამ კუნთებდაძაბულ ფიგურაში, მისი ცხენის მიმართებაში, გამოსახულია მთელი ხალხის ძალა და წინსვლის დაუშრეტელი სურვილი.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ჩვენი გამგზავრება რომ ყოვნდება? გაზაფხული დგება და ისევ პეტერბურგ-

ში ვარ. კოლას, როგორც იურისტს, რაღაც საქმე გაუჭიანურდა სასამართლოში და იძულებული ვარ ველოდო მის დამთავრებას.

ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთიც არ დამიკარგავს ტყუილუბრალოდ—ყველაფერს ვათვალიერებდი და ვაკვირდებოდი. ვიყავი სმოლნის ინსტიტუტშიც,[64] სადაც იზრდებოდნენ ჩემი ნაცნობი თავად გრუზინსკის ქალიშვილები. ზამთრის მზის მცხრალი შუქი ოდნავ აშუქებდა სვეტებიან დარბაზს და განსაკუთრებულ სინაზეს მატებდა თეთრ წინსაფრებიან ქალწულთა სახეებს.

ვიყავი მარინის თეატრშიაც.[65] მართალია, დიდათ გამიძნელდა ბილეთის შოვნა, მაგრამ სამაგიეროდ მრავინას მომჯადოებელმა ხმამ პირდაპირ ფრთები გამომასხა, თუმცა ანტრაქტების დროს, მრავინასაგან მიღებულ შთაბეჭდილებას, მიშხამავდნენ ჩემსკენ მომართული ლორნეტები და ბინოკლები.

მე გამოწყობილი ვიყავი ეროვნულ ტანისამოსში—ქულაჯაში, რითაც ვიქცევდი მშვენიერ ბანოვანთა განსაკუთრებულ ყურადღებას. ძლიერ ვნანობდი, რომ დავუჯერე კოლას და ქულაჯით წავედი თეატრში, რადგან ჩემი ქულაჯის წყალობით შებორკილად ვგრძნობდი თავს, რაც ხელს მიშლიდა უფრო ღრმად განმეცადა მრავინას ხმა.

როგორც იყო, კოლა მორჩა თავის საქმეს და ორივე გავემგზავრეთ პარიზს. აქ უნდა დაგვეცადა დანარჩენი ამხანაგებისათვის, რომლებიც ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ ცხელ ქვეყნებში ლომებზე სანადიროთ.

ისევ თოვს, მიწა მთლად დაფარულია თეთრად. ყინავს. ულვაშები და წვერი თოშით მეფერცხლება, მაგრამ

გულში გაზაფხული მიღვივის, თვალწინ სახარის ცხელი უდაბნო მესახება...

ვარშავის მატარებელი უკვე პარიზისაკენ, ევროპის ამ ახალ ბაბილონისაკენ მიგვაქროლებს.

მივედით შეპეტოვკაში.

აქ პოლონეთის საზღვარია. ეს ოდესღაც ბრწყინვალე სახელმწიფო, თავის უხეირო მეფეთა წყალობით, ახლა უფლება-აყრილი და დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. მისი დიდი ნაწილი გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ[66] მიიტაცა.

თოვლნარევი წვიმიანი ამინდი დაგვხვდა პარიზში, მაგრამ ცუდი დარი სრულებითაც არ უშლიდა ხელს მრავალმილიონიან ქალაქის მოუსვენარ ცხოვრებას. პირიქით, ამჟამად, პარიზი განსაკუთრებული სიცხოველით მოქრაობდა. მალე უნდა გახსნილიყო მსოფლიო გამოფენა და გამალებული ემზადებოდნენ დედამიწის ყოველი კუთხიდან სტუმრების მისაღებად.

გამოფენის ადგილას დღედაღამ განუწყვეტელი მუშაობა იყო.

მთელი პარიზი ცდილობდა ერთხელ კიდევ დაემტკიცებია ქვეყნიერებისათვის, რომ უმეფოთაც შეიძლება ცხოვრება, რომ პარიზი ახლა უფრო ცივილიზაციის კერაა, ვიდრე იყო ლუდოვიკების დროს.

მართლაც, პარიზის ყოველი ძარღვი განსაკუთრებული ინტენსივობით ფეთქდა.

ტყუილა როდი უყვარდა პარიზი გერცენს.[67] კარლ V-ემ [68] კი პარიზს უწოდა მთელი სამყარო.

აი ეიფელის კოშკი.[69] მისი მწვერვალიდან გადმოხედვის დროს, პარიზი მომეჩვენა უსასრულო ზღვად,

ადამიანთა ტალღები ბობოქრობდნენ და ქალაქის ნაპირებს ეხეთქებოდნენ.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ მღელვარე ცხოვრებიდან განზე იდგნენ. არსებული წესწყობილების გარდა, მათ არც ის მოსწონდათ, რომ მსოფლიო გამოფენისათვის ასეთი აურზაური იყო ატეხილი.

საღამოს მე და კოლა ვიჯექით ერთ კაფეში. გამოველაპარაკეთ უცნობ მოქალაქეს. ჭიქა ღვინოზე საუბრის დროს ამ მოქალაქეს შევატყვეთ, რომ იგი ალმაცერად უყურებდა არსებულ წესწყობილებას და მსოფლიო გამოფენის წინააღმდეგიც იყო. „ამ კოსმოპოლიტურ ფუსფუსისაგან,—თქვა მან,—საფრანგეთი, ფრანგი ხალხი, ზარალის მეტს ვერაფერს გამორჩება. აი თქვენ ნახავთ, ეს გამოფენა მსოფლიო გასართობი უფრო იქნება, ვიდრე ხალხთა შორის კულტურის, ცოდნისა და მეცნიერების გადანერგვის საშუალება. ჩამოვლენ ამერიკელები, ვიღაც პრინცები, პარიზის საკვირველებათა ნახვის სურვილით აღტკინებულნი სხვადასხვა ქვეყნის მილიონერები და გაიმართება ორგია. საკვები პროდუქტები კი გაძვირდება და ღარიბი ხალხი კიდევ უფრო გაჭირვებაში ჩავარდება“.

* *

მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულია.

სენის ნაპირებზე ხეებზედაც კი სანათურები ჰკიდია.

ჩვენ დავდექით კონტინენტალის ქ. № 3 მდებარე სასტუმროში. სასტუმრო მაინცადამაინც ვერ იყო პირველხარისხოვანი, მაგრამ ამ ორომტრიალში უკეთესი ბინის

შოვნაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყველა სასტუმრო უკვე დაკავებული იყო უცხოელი სტუმრებისაგან.

დიდხანს დარჩენას არც ვაპირებდი პარიზში. მე გული უფრო ცხელი ქვეყნებისაკენ მიმიწევდა. მაგრამ კოლას პარიზელმა ქალებმა ისეთი თავბრუ დაახვიეს, რომ ფეხის გადგმაც არსად უნდოდა. შენი ლომები და ვეფხვები არსად წავლენ, ნუ გეშინიაო,—მეუბნებოდა იგი სიცილით. არც კოლას მეგობრები ჩანდნენ. ისინი დაგვპირდნენ პარიზს მალე ჩამოვიდოდნენ და ერთად წავიდოდით სამოგზაუროდ, მაგრამ რატომღაც იგვიანებდნენ.

სხვა გზა არ იყო, ხვედრს უნდა დავმორჩილებოდი.

ერმიტაჟში ნახული მქონდა ეკატერინე II-ის მიერ საფრანგეთში შეძენილი გობელენები და გადავწყვიტე დამეთვალიერებია ის ფაბრიკა, სადაც ასეთ იშვიათ ქსოვილებს ამზადებდნენ. სახელმწიფოს შემოსავლის გადიდების მიზნით ეს ფაბრიკა თავის დროზე მოუწყვია ლიუდოვიკ XIV-ის[79] ფინანსთა მინისტრს კოლბერს.

გავემგზავრე ლიონს, ფაბრიკის დირექტორმა დიდი თავაზით მიმიღო, ფაბრიკის ყველა ცეხი გამაცნო და დაწვრილებით ამიწერა მათი მუშაობის პროცესები. როცა გაიგო, რომ მე ბაგრატიონი ვარ, ფაბრიკის საგანგებო კოლექციიდან გამოითხოვა თამარ მეფის სურათი და გასცა განკარგულება ამოექარგათ იგი აბრეშუმზე. ამ ამვბამა დიდათ გამახარა და თანაც გამაოცა. ეს პატარა გობელენი დღესაც შინ მაქვს სრულიად დაუზიანებელი.

დავბრუნდი პარიზს.

უკვე ოთხ თვეზე მეტი დრო გავიდა, რაც საფრანგეთში ვიყავით და კოლა ჯერ კიდევ არ აპირებდა პა-

რიზიდან დაძვრას, გადავწყვიტე მარტო გავმგზავრებულიყავი. კოლა ბევრს ეცადა, მაგრამ განზრახვაზე ხელი ვერ ამაღებინა.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში, შაბათ დღეს, ჩავედი მარსელში. მშვენიერი დარი იყო. კვირას დღის 12 საათზე საოკეანო გემით უნდა გავმგზავრებულიყავი აფრიკისაკენ.

იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა.

რა მელოდა?

სრულ 12 საათზე კაპიტანი და ლოცმანი ავიდნენ საკომანდო კიბეზე, მეზღვაურებმა ფუსფუსი დაიწყეს. ასწიეს ღუზა. გემის სიღრმეში აგუგუნდნენ მანქანები და ჩვენ თანდათან მოვშორდით ნაპირს, სადაც აუარებელი ხალხი იდგა და ხმამაღლა გვეთხოვებოდნენ, თან ცხვირსახოცებსა და ქუდებს გვიქნევდნენ. გემმა სვლას მოუმატა. იგი საოცრად დიდ ნაპრალს ტოვებდა სარკეთ ქცეულ ზღვაზე, რაც მალე ისევ ივსებოდა. ხმელთაშუაზღვაში შორს შევედით. სამხრეთის მოწმენდილ ციდან მზე უხვად გვაფრქვევდა სხივებს.

აღტაცებული გავცქეროდი დატოვებულ ხმელეთს, რომელიც თანდათან სივრცეში ქრებოდა.

ერდოზე დიდხანს ვეღარ გავძელი, თავი ცუდათ ვიგრძენი და კაიუტაში ჩავედი.

ზღვის ავადმყოფობამ დამრია ხელი.

მიუხედავად დიდი ცდისა, საექიმო პერსონალმა ოდნავათაც ვერ შემიმსუბუქა მდგომარეობა.

ვიწექი უძრავად, არაფერს ვჭამდი. ვსვამდი მარტო ლიმონიან წყალს.

მეორე დღეს ცოტა უკეთ გავხდი, მაგრამ ადგომის თავი მაინც არ მქონდა.

ერდოზე და მეზობელ კაიუტებში გაჩაღებული იყო ხმამაღალი ლაპარაკი და დავა ინგლისელების მიერ ბუერების წინააღმდეგ მოსალოდნელი გალაშქრების გამო. ზოგი ამტკიცებდა, რომ ინგლისელებს ამერიკელებიც დაეხმარებიანო, და ფრანგები აძაგებდნენ როგორც ინგლისელებს, ისე ამერიკელებს, ჰკიცხავდნენ ინგლისის პრემიერს[71]) და ამერიკის პრეზიდენტს მაკ-კინლეის.[72])

გემზე იმყოფებოდნენ ინგლისელებიც და ამერიკელებიც. ფრანგი კაპიტანი ფრთხილობდა დავა ხელჩართულ ჩხუბად არ გადაქცეულიყო, ამიტომ მეზღვაურები წესრიგის აღსადგენად წინასწარ მომზადებული ყავდა.

მივედით ალექსანდრიაში[73]), მეზღვაურებმა ხელით გადამიყვანეს ხმელეთზე. ფეხზე დგომა არ შემეძლო. მთვრალივით ვბანდალებდი. კეთილმა და თავაზიანმა კაპიტანმა ჩემი თავი ჩააბარა ვიღაც ფრანგს, რომელმაც მიმიყვანა სასტუმროში. სასტუმროს პატრონი, ისიც ფრანგი, თავის თანამემამულესავით გულშემატკივარი აღმოჩნდა, საუკეთესო ოთახში მომათავსა და ცხოვრების ყოველგვარი პირობები შემიქმნა.

მომგვარეს ექიმი. იგი ლამაზი კაცი იყო, წარმოსადეგი, მაგრამ რა ეროვნებას ეკუთვნოდა, მგონი თვითონაც არ იცოდა. მშვენივრად ლაპარაკობდა როგორც ფრანგულად ისე ინგლისურ ენაზე... ჩემი ავადმყოფობა მან მიაწერა ხედვითი ორგანოების სისუსტეს და მირჩია ზღვით მგზავრობის დროს უთუოდ მეტარებია წითელ შუშიანი სათვალე.

ექიმის წასვლის შემდეგ, სასტუმროს პატრონმა თავაზიანი საუბარი გამიბა.

გამოირკვა, რომ სასტუმროს პატრონმა, ჩემი აღმოსავლური იერის გამო, თურმე ეგვიპტის პრინცად შეშიცნო. მე გულიანად გამეცინა. ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ ეგვიპტე თვალითაც არ მქონდა ჯერ ნახული, მას უფრო ჯეროდა პასპორტის, რომელშიაც აღნიშნული იყო ჩემი ტიტული. პირდაპირ საოცარია— ზოგიერთი ფრანგი, რა გინდ რესპუბლიკელიც არ უნდა იყოს ის, არისტოკრატიის დიდი თაყვანისმცემელია.

ამრიგად, მე უკვე იმ ზღაპრულ ქალაქში ვცხოვრობ, რომელიც შექმნა ალექსანდრე მაკედონელის[74]) გენიამ და რომელიც ახლა იმყოფებოდა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.

ამბობდნენ: მაკედონელი წუხდაო, რომ აღარსად დარჩა დაუპყრობი ქვეყანა.

მართლაც, როგორც ვიცით, იგი ბრწყინვალე, გენიალური სარდალი იყო, მრავალ გამარჯვებათა გამო, მას არაბები თითქმის ღმერთად თვლიდნენ, ხოლო ეგვიპტელები მზის შვილს ეძახდნენ.

გარდა იმისა, რომ მაკედონელი იყო იშვიათი მხედართმთავარი, მან ფართოდ გაშალა ანტიკური ქვეყნის ჰორიზონტიც და გაამდიდრა მისი კულტურა.

ალექსანდრიას ირგვლივ ზღვა არტყია. იგი განთქმულია თავისი აბანოებით და მუზეუმით, სადაც თავმოყრილია ძველი მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები. ქალაქში უამრავი ლაბირინტია. სასმელი წყლის სიმცირის გამო, მიწის ქვეშ მოწყობილია მრავალი ჭა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა—ეს იყო ადრინდელი, საუცხოო საგანძური, სადაც ინახებოდა ურიცხვი, იშ-

ვიათი, უნიკალური ფოლიანტი და პერგამენტი, მაგრამ ვანდალიზმმა არ დაინდო ძველი მსოფლიოს კულტურის ეს შესანიშნავი კერაც. 640 წელს ხალიფ ომარის დროს ბიბლიოთეკის საგრძნობი ნაწილი განადგურებულ იქნა. ამ უგნურ ქცევას იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს მასში დაცული ყოფილიყო მუსულმანებისათვის მიუღებელი შინაარსის ხელნაწერები. თურმე ძვირფასი პერგამენტებით კარგახანს ათბობდნენ აბანოებს, რომლებიც ასე უხვადაა ალექსანდრიაში.

უკანასკნელ საუკუნეებში დამპყრობლებმაც ბევრი რამ მოიტაცეს. მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკა მაინც მდიდარია.

მეორე დღეს, დილით, როცა ქალაქში გავედი, გავოცდი, ქუჩები სავსე იყო ახმაურებული ხალხით. თეთრი წამოსასხამები, ჭრელი დოლბანდები, სხვადასხვა ფერის ტანისამოსი, აქა-იქ ევროპელ ქალ-ვაჟთა მორთულობა, ყველაფერი ეს მეტად კოლორიტულ სურათს ჰქმნიდა.

კარგახანს ვიდექი ერთ ადგილას ამ სანახაობით მოხიბლული: მშობლიური ქვეყნის ფერი და სურნელი ვიგრძენი.

მეორე სურათი კიდევ უფრო წარმტაცსა და დიადს წარმოადგენდა.

მშვიდად მოტორტმანე ზღვაზე, დილის ბურუსში გახვეული იყო მრავალი გემი, სამხედრო და სამგზავრო, მათი ანძების ტყე თვალსაწიერზე ოდნავ ირხეოდა.

ალექსანდრია როგორც თავის გარეგნობით, ისე ცხოვრებით დიდათ განსხვავდება სხვა ქალაქებისაგან. ზედმიწევნით თავისებურია. იგი მთლიანად აღმოსავლურ სტილზეა გაშენებული. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანან ლა-

შაზი, ჰაეროვანი თეთრი მინარეთები, რომლებიდანაც გსურს გესმოდეს მშვენიერი ჰანგები და არა მუეძინების გულის ამრევი ხმა.

ამ ზღაპრულ ქალაქში, ეტყობა, დღეს არაჩვეულებრივადაა ხალხი აღგზნებული.

მიზეზი?

დიდმა, ძლიერმა, ცივილიზაციით მოამაყე ინგლისმა ომი გამოუცხადა სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებ პატარა ხალხს—ბურებს.[75]

ქალაქში ხმაური თანდათან ძლიერდებოდა.

ადამიანები ყვიროდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ, სადღაც მიიჩქაროდნენ.

გაზეთების გამყიდველი ბავშვები საოცრად გაჰკიოდნენ და ცეცხლწაკიდებულივით დარბოდნეხ აქეთ-იქით.

ხალხის მღელვარებამ მეც შემიპყრო.

დავბრუნდი სასტუმროში. სასტუმროს პატრონმა მითხრა:

— საზიზღრები არიან ეს ინგლისელები! თავისუფლების მოყვარული ბურები უნდათ გადააქციონ მონებათ, ხოლო მათი ქვეყანა—კოლონიად.

გამახსენდა საყვარელი საქართველო!

მთელი ჩემი არსება მოიცვა ბურებისადმი თანაგრძნობამ და უყოყმანოდ გულში ღრმად ამოვიჭერი დავხმარებოდი თავისუფლების მოყვარულ პატარა ხალხს, რომელსაც ინგლისი მოსპობას უპირებდა.

ცხელი ქვეყნებიდან დაბრუნების შემდეგ, მინდოდა მენახა რომი, ანტიკური ხელოვნების ეს დიდი სავანე, სადაც ამდენი უკვდავი მხატვრები და მოქანდაკენი დაიბადნენ, დამეთვალიერებია მისი შესანიშვავი ძეგლები,

მაგრამ ბურებთან წასვლის სურვილმა ყველაფერზე ხელი ამაღებინა.

ბურების მდგომარეობა როგორღაც მაგონებდა ჩემს სამშობლოს და მწამდა, თუ შეეებრძოლებოდი ბურების მტერს, ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მე ამით სამაგიეროს გადავუხდიდი ჩემი ქვეყნის მტრებსაც.

ჩემთვის ყველა დამპყრობელი, მოძალადე, ერთნაირად საძულველი იყო და ყოველთვის გული მიმიწევდა დავხმარებოდი დაჩაგრულს.

გადავწყვიტე ახლავე დამეტოვებია ალექსანდრია.

მხოლოდ ერთი რამ მაღელვებდა:

მიმიღებენ როგორც უცხოელს ბურები თავის ჯარში?

მითხრეს: ყველა პატიოსან უცხოელ მოხალისეს ბურები ხელგაშლით ხვდებიანო.

ისიც გავიგე, რომ მათ არ ყავდათ, თურმე, მუდმივი ჯარი, მაგრამ თითოეული მამაკაცი განსაზღვრული ვადით, განსაზღვრულ ასაკამდე ვალდებული იყო შეესწავლა სამხედრო საქმე. შრომის მოყვარე ბურები იმავე დროს შესანიშნავ მსროლელებად, დისციპლინის მოყვარულ ვაჟკაცებად, გამბედავ მეომრებად ითვლებოდნენ და მუდამ მზად იყვნენ მკერდით დაეცვათ თავიანთი ლამაზი ქვეყანა.

თავისუფალი ბურები პრეზიდენტს და პარლამენტს— ნამდვილ სახალხო სამსჯავროს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე და ალალი გულით ირჩევდნენ.

ამ ჟამად ბურებს პრეზიდენტად ყავდათ ყველასაგან პატივცემული და საყვარელი 75 წლის მხნე მოხუცი— პავლე კრიუგერი.[76]

კრიუგერს ძულდა ინგლისელები.

პეტრე ჟუბერი
ბურების მთავარსარდალი

მან მტკიცედ უარყო მათი წინადადება პროტექტორატის შესახებ. მოხუცი პრეზიდენტი შეეცადა შეენარჩუნებია თავისი ქვეყნის თავისუფლება და ინგლისელთა მეორე თავდასხმისაგანაც ხალხი გამარჯვებული გამოეყვანა.

ყველა ამ ცნობებისათვის და, აგრეთვე, სტუმართმოყვარეობისათვის დიდი მადლობა მოვახსენე ჩემი სასტუმროს პატრონს.

შევუდექი მზადებას. საჭიროა ვიჩქარო. ფელდმარშალი ფრენჩი[77] თურმე უკვე იოჰანესბურგშია. მაშა, სადამე, სამხედრო მოქმედება ჯერ თუ დაწყებული არაა, მალე დაიწყება.

ჩემმა ლამაზმა ექიმმა მომამარაგა ლიმონით, წამლებით და წითელშუშიანი სათვალით.

მეორე დღეს ნავსადგურზე გამაცილეს სასტუმროს პატრონმა, ექიმმა და ახალგაზრდა მომვლელმა ქალმა. მან გემზე შესვლის წინ მიძღვნა პატარა, მაგრამ შესანიშნავი, სურნელოვანი თაიგული, რამაც ძლიერ გამახარა.

დაიძრა გემი.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს უცხო ქალაქს კი არ ვტოვებდი, არამედ მშობლიურს და ნათესავ-მეგობრებით სავსე ადგილს ვშორდებოდი.

ამ ჯერად ზღვის ავადმყოფობას გადავურჩი.

მთელი გზა თავს კარგად ვგრძნობდი.

გემმა მადაგასკარში შეუხვია სასმელი წყლისა და ნახშირის მოსამარაგებლად. იქ ერთი დღეღამე დავყავით.

მადაგასკარი, რომელიც იმ ხანად საფრანგეთის კოლონიას წარმოადგენდა, მდებარეობს აფრიკის პარალე-

ლურად, მათ ერთმანეთისაგან ჰყოფს მოზამბიკის სრუ-ტე. მადაგასკარის ბუნება ტროპიკულია, ცა მსუყე ლურ-ჯი ფერისაა. ჩვენი, ქართული ღამეები მშვენიერია, მაგ-რამ მადაგასკარზე ღამე კიდევ უფრო წარმტაცია... იქ ვარსკვლავები საოცრად დიდნი და ბრწყინვალენი ჩა-ნან. მეტეორები ერთი კიდიდან მეორემდე განუწყვეტ-ლივ სერავენ ცის კაბადონს და ფოსფორული ბრწყინ-ვალებით ისარკებიან ოკეანის ვრცლად გადაშლილ მუქ მკერდზე. ოკეანე ღამით უძრავი იყო, არაფერი არღ-ვევს მის დიდებულ, მეფურ სიმშვიდეს.

მადაგასკარის მოსახლეობა საკმაოდ ჭრელია. მცხოვ-რებნი თავიანთი იერით მალაელებს გვანან. ბევრია მონა-ზანგი. გოვას ტომის შვილებს უფრო ეტყობათ ცივი-ლიზაცია, მაგრამ სამაგიეროდ ულამაზონი არიან. ვნახე კიდევ გაურკვევი ტომი, რომელიც, ჩემის აზრით, თეთრ-კანიანებთან შერეული ტომი უნდა იყოს. მათი ქალები საოცრად ლამაზები არიან.



ნაწილი მეოთხე

ჩვენი გემი შეივიდა დელაგოას ნავსადგურში. იგი მოწყობილია აფრიკის სამხრეთ ნაპირთან და არსებობს 1646 წლიდან. გადმოვედი გემიდან. მატარებლის გასვლამდე გადავწყვიტე დამეთვალიერებინა ახლო-მახლო ადგილები. როგორც კი ცოტა გავცდი ნავსადგურს, დავინახე ნახევრად შიშველი მამაკაცების ბრბო. ყველა მათგანი მეტად ლამაზი, მაღალი, მოყვანილი და ევროპელზე უფრო თეთრკანიანი იყო. ქერა გრძელი თმა მხრებზე ეყარათ.

წელზე თითოეულს რაღაც ხანჯლისმაგვარი ეკიდა. მათი ლამაზი, ლურჯი თვალების გამოხედვა თვინიერი

იყო. ერთმანეთს მხიარულად ეხმაურებოდნენ. ირგვლივ თოფებმომარჯვებული ინგლისელი ჯარისკაცების მჭიდრო რკალი ერტყათ.

ერთ-ერთ გამვლელ ფრანგს ვკითხე, თუ ვინ იყვნენ ეს შიშველი ადამიანები.

იგი შეჩერდა და რატომღაც გაოცებით შემომხედა.

— კაცის მჭამელები არიან, — მიპასუხა მან, — როცა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიან, შეიარაღებული ინგლისელები მიაცილებენ დანიშნულ ადგილამდე და შემდეგ გაუშვებენ. ასე რომ არ იყოს, ვინ იცის რამდენ ჩვენგანს იმსხვეპლებდნენ.

ცოტახნის მერმე კვლავ განაგრძო:

— კაციჭამია-კანიბალები ცხოვრობენ აფრიკის ახლო. კანიბალის კუნძულებზე. კანიბალებს მეტად თავისებური ენა აქვთ. მათი წარჩინებული წარმომადგენლები ლაპარაკობენ ინგლისურადაც. კანიბალებს ყავთ თავიანთი მეფე, რომელიც ინგლისის ტახტის ვასალია, მაგრამ იგი მაინცადამაინც არ ექვემდებარება ინგლისის დედოფალს ვიქტორიას[78]) და ხშირად ეურჩება მას.

ციემა ჟრუანტელმა დამიარა, როცა წარმოვიდგინე, კანიბალების მიერ ადამიანების შეჭმის სურათი. ასეთი შემთხვევა კი ხშირია თურმე.

აქედან პირდაპირ გავემგზავრე ტრანსვაალის რესპულიკის დედაქალაქში პრეტორიაში, სადაც კრიუგერის რეზიდენცია იყო, მაგრამ პრეზიდენტი ვერ ვნახე. მითხრეს პრეზიდენტი იოჰანესბურგშიაო. დაუყოვნებლივ წავედი, მაგრამ იგი არც იქ აღმოჩნდა.

იოჰანესბურგი ძლიერ მომეწონა. საკვლებით კეთილ-

მოწყობილი ქალაქია. აქ არსებობს ბურჟუაზიული ქალაქის ყველა ატრიბუტი—ბანკი, ბირჟა, მაღაზიები. მაღაზიები სავსე იყო მაშინ ინგლისური საქონლით. ტრანსვაალის ბაზრები ინგლისელებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამას ურიგდებოდნენ ბურები, მაგრამ როცა ინგლისელებმა დააპირეს მათი ეროვნული ღირსების შელახვა და მთელი რესპუბლიკის უბრალო კოლონიად გადაქცევა, ბურებმა მყისვე აიხეს იარაღი და მოძალადეებს მრისხანედ წინ გადაუდგნენ.

ცივილიზებულ ბარბაროსებისაგან კრიუგერის ქვეყანას დიდი საფრთხე ელოდა. ბურების შემართული იარაღი თუ ვერ გაიმარჯვებდა, რესპუბლიკა დაიღუპებოდა.

ეს კარგად იცოდა მოხუცმა პრეზიდენტმა, ამიტომ არ ცილდებოდა თავის ჯარს და ამხნევებდა მას.

დიახ, ინგლისელები ემუქრებოდნენ ბურების რესპუბლიკას, მათ თავისუფლებას.

ეს სავსებით ჩვეულებრივი ამბავი იყო ინგლისის ისტორიისათვის. ინგლისის კაპიტალისტები მუდამ იმით იყვნენ გართულნი, რომ ყოველგვარ ახალს ებრძოდნენ, თავისუფალ ხალხს თავისუფლებას ართმევდნენ და თავიანთ მონებად ხდიდნენ.

ამ ლიუციფერებისაგან[79]) დიდიხანია მოსვენება არა აქვს კაცობრიობას.

განსაკუთრებით ისინი აღმოსავლეთში ეწევიან პოლიტიკურ ავანტიურას, აგრესიას და სადაც კი ფეხს დაადგამენ, ყველგან ცრემლისა და სისხლის ტბებს აყენებენ.

ინგლისის ყველა მთავრობა, მიუხედავათ მათი მრწამსისა, ერთმანეთს გვანან და ერთიმეორის გზას აგრძე-

ლებენ სხვა ხალხების დასამონებლად, მათი დოვლათისა და განძის ხელში ჩასაგდებათ.

ისინი უსულგულონი და პირწავარდნილი მაკიაველები[80]) არიან სხვების მიმართ.

მაგონდება ერთი ამბავი:

ბალკანეთის ომის დროს, რუსეთის ერთ-ერთმა მეფისწულმა ინგლისის ტახტის მემკვიდრეს მიმართა თხოვნით ინგლისი დახმარებოდა ბალკანეთს.

უელსის პრინცმა ეს თხოვნა გადასცა პრემიერ-მინისტრს პალმერსტონს, რომელმაც თავის მხრით რუსეთის მეფისწულს შემდეგი უპასუხა:

„მე ბედნიერი ვარ დაგარწმუნოთ ინგლისის ტახტის მემკვიდრის გულკეთილობაში, მაგრამ ამავე დროს გაცნობებთ, რომ თვითონ ინგლისს გული არა აქვს“.

კრიუგერს ჯეროდა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო, რომ ევროპის სახელმწიფოები დაეხმარებოდნენ და ახლაც გადაარჩენდა რესპუბლიკას.

კრიუგერს დიდი იმედი ჰქონდა გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II[81]), რომელსაც იგი თავის მეგობრად თვლიდა. ვილჰელმი კრიუგერს „დაეხმარა“ ინგლისელებთან პირველ შეტაკების დროს და მოხუც პრეზიდენტს ეგონა გაჭირვებაში არც ახლა დაივიწყებდა იგი. მაგრამ ამ დროს იფეთქა ბოქსიორთა აჯანყებამ ჩინეთში[82]) და მოკლეს გერმანიის ელჩი ბარონი კეტტელერი. აჯანყებულთა დახმარებით ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა უშუალოდ ხელში ჩაიგდო უზარმაზარი ქვეყნის მართვის სადავეები და მოინდომა ყველა უცხოელის განდევნა თავის ქვეყნის საზღვრებიდან.

ვილჰელმისათვის ახლა ხელსაყრელი არ იყო ინგლი-

სის გადაკიდება და თავისი ჯარი დაძრა არა კრიუგერის დასახმარებლად, არამედ ჩინეთის წინააღმდეგ—სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად.

არც დანარჩენი ევროპელები ქგამოეხმაურნენ კრიუგერს.

მიუხედავათ დიდი გამოცდილებისა, კრიუგერი ვერ ანსხვავებდა ინგლისთან პირველ შეტაკებას[83]) ახლანდელ ომთან.

ინგლისთან პირველი ომი, ომი კი არ იყო, არამედ ის წარმოადგენდა ინგლისის მიერ ყაჩაღურ თავდასხმას და მას არ ჰქონდა ოფიციალური სახე. მაშინ ვილჰელმმა ბურებში გერმანიის გავლენის მოსაპოებლად გაუწოდა ხელი კრიუგერს და გამარჯვებისთანავე გაუგზავნა მას მილოცვა, რითაც ინგლისელების აღშფოთება გამოიწვია.

ახლა კი საქმე სხვანაირად იყო.

ინგლისმა ოფიციალურად გამოუცხადა ომი ბურებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვინც ბურებს დაეხმარებოდა, ის ინგლისის აშკარა მტერი ხდებოდა. ბურების გულისათვის ასეთი ნაბიჯის გადადგმას კი ყველა ერიდებოდა და არ უნდოდათ საომარ მდგომარეობაში ჩამდგარიყო მაშინ უძლეველი ინგლისის წინააღმდეგ.

* *

1497 წელს პორტუგალიელმა ვასკო-დე გამამ ჰოლანდიის გემით მოიარა სამხრეთ აფრიკის ნაპირები. შემდეგ ამისა, იქ ჰოლანდიელებმა დააარსეს პატარა კოლონია, მალე ამ ადგილებში გადმოსახლდნენ უმიწაწყლო და ბოგანო ფრანგებიც, ხელისუფლების მიერ დევნილი და ხელისუფლებასთან შეურიგებელი ადამიანები. გად-

მოსახლეობულთა უმრავლესობას შეადგენდნენ ჰუგენოტები[84]). ახალ მიწაზე დასახლებულებმა პირველ რიგში ხელი მიჰყვეს მიწის დამუშავებას. ამრიგად, წარმოიშვა ბორთა, ანუ ბურთა[85]) ახალი ქვეყანა.

ბურმა ფერმერებმა ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებით მოაწყვეს ხუტორული მეურნეობა. ბურები ეწეოდნენ მესაქონლეობას, მევენახეობას და მიწის დამუშავებას. ბევრმა მოაშენა სირაქლემები, რომელთა ნაკრტენები მეტად ძვირად ფასობდა ევროპაში, ამ უცნაური ფრინველების შენახვა კი იოლი იყო. ბურებს აგრეთვე ჰქონდათ ოქროს მდიდარი საბადოები.

სამხრეთის მშვენიერმა ბუნებამ, ჯანსაღმა ჰაერმა და ნოყიერმა მიწამ, განსაკუთრებით შრომის დიდმა სიყვარულმა, ბურებს საშუალება მისცა სწრაფად გაეუმჯობესებიათ თავიანთი მდგომარეობა. თითოეული ბური თავს ვალდებულად რაცხდა რესპუბლიკისათვის გაეღო განსაზღვრული წვლილი. დაგროვილი თანხებით შენდებოდა ევროპული ქალაქები, გაყავდათ რკინიგზები, წყალსადენები და გზატკეცილები.

ბურები მუდამ დაღვრემილნი არიან, მათ სახეზე იშვიათად ნახავთ ღიმილს. ეს ნირი უთუოდ ბათლომეს ღამის[86]) შემდეგ მოდევთ მათ. როგორც ცნობილია, ამ ღამეს თავისი დედის ეკატერინე მედიჩის ჩაგონებით კარლ IX გასცა ბრძანება ამოეწყვიტათ ჰუგენოტები. ამავე ღამეს კათოლიკებმა ფანჯრიდან გადააგდეს და მოკლეს სამშობლოს წინაშე დამსახურებული მოხუცი ადმირალი კოლინი, რომელიც ითვლებოდა ჰუგენოტების ერთ-ერთ მეთაურად.

ბურები ზოგჯერ უცნაურებიც არიან. ისინი ომობენ თავიანთი განწყობილებისა და შეხედულებისამებრ, რასაც ხშირად მოყოლია კატასტროფა. მათი დისციპლინა, უმთავრესად, რელიგიაა, რამაც, აგრეთვე, რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას უდავოდ თავისი დალი დაასვა. მიუხედავად ამისა, მათ ყავდათ შესანიშნავი გენერლები, რომლებიც ბრწყინვალედ აწარმოებდნენ პარტიზანულ ომს.

საერთოდ კი ბურებს მტკიცე ხასიათი აქვთ და ღრმად დარწმუნებულნი არიან თავიანთ ძალაში.

XVIII საუკუნის მიწურულამდე ბურები მშვიდად ცხოვრობდნენ. ჰქონდათ თავიანთი პარლამენტი და ყავდათ არჩეული პრეზიდენტი.

მაგრამ, აი გამოჩნდნენ ინგლისელები და შექმნეს ახალი ახალშენები. ისინი პირველად დასახლდნენ ნატალში და როცა ფეხი კარგად მოიკიდეს, მოითხოვეს სხვა რესპუბლიკელებთან უფლებრივი გათანასწორება, იმავე დროს ისინი უარს ამბობდნენ ეკისრათ სამოქალაქო ვალდებულებანი რესპუბლიკის წინაშე, კერძოდ, არ უნდოდათ სამხედრო ვალის მოხდა.

მიუხედავათ ინგლისის მხარის დაჭერისა, ბურების პარლამენტმა ისინი არ მიიღო რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად.

მაშინ ინგლისის მთავრობა შეეცადა ხელში ჩაეგდო ინგლისელებით დასახლებული ნატალი. დიდიხნის დავისა და დიპლომატიურ მოლაპარაკების შემდეგ, ბურები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და მათთვის შეეყიდნათ ნატალი.

ბურებს კვლავ დაუწყეს შევიწროვება ინგლისელებმა, მაშინ ბურების ერთმა ნაწილმა დატოვა კაპსკის თავდა-პირველი საბინადრო და პრეტორიუსის მეთაურობით გადავიდნენ მდინარე ვაალის გაღმა, დააარსეს ტრანს-ვაალის ახალი რესპუბლიკა და პირველ პრეზიდენტად აირჩიეს პრეტორიუსი.

ბურების მეორე ნაწილმა დააარსა მეორე რესპუბლი-კა ორანჟი.[87])

ნატალზე აღმოჩენილ ალმასის დამუშავებას აწარმო-ებდა ინგლისური საზოგადოება სესილ როდსის მეთაუ-რობით. სესილ როდსმა[88]) მოინდომა ხელში ჩაეგდო ტრანსვაალში აღმოჩენილი მდიდარი საბადოებიც. როცა ბურები წინ აღუდგნენ, მაშინ ინგლისელებმა მიმართეს ძალადობას, მაგრამ აჯანყებულმა ბურებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი. ამ გამარჯვების გამო ბურებმა თა-ვიანთ მთავარ ქალაქს პირველი პრეზიდენტის პრეტორი-უსის პატივსაცემად დაარქვეს პრეტორია.

ბურების წინააღმდეგ ინგლისის ამ გალაშქრებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. სწო-რედ ამ დროს ინგლისის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ლიბერალი გლადსტონი,[89]) რომელმაც ინგლისის რეზი-დენტს აფრიკაში გაუგზავნა ცნობილი დეპეშა: „ჩვენ დამ-ნაშავე ვართ ბურებთან, დადევი ზავი“. მაგრამ ეს იყო თვალთმაქცობა. ინგლისს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტ-ია ფიქრი ტრანსვაალის დასაპყრობად. ეცდიდნენ უფ-რო ხელსაყრელ პირობებს და აი, ინგლისის მთავრობამ ახლა ომი გამოუცხადა ბურებს.

ეს მოხდა 1899 წელს.

ამ ამბავმა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დააყენა მთელი რესპუბლიკა და მოხუცი პრეზიდენტის მეთაურობით შეუდგა ომისთვის სწრაფად მზადებას.

კრიუგერი არც იოჰანესბურგში აღმოჩნდა. იგი ფრონტზე წასულიყო.

მეორე დღეს გადავწყვიტე პრეზიდენტის დაბრუნებამდე დამეთვალიერებია მახლობელი მიდამოები და გავცნობოდი სოფლად მცხოვრებ ბურებს.

სასტუმროს პატრონმა ფრანგმა ჰუგენოტმა დაუყოვნებლივ მიშოვა ადგილობრივი ჯიშის, დაბალტანიანი ცხენი და შავკანიანი გამყოლი.

მისივე დახმარებით შევიძინე რევოლვერი, მოკლელულიანი თოფი და გავემგზავრე.

მიუხედავათ იმისა, რომ ოქტომბერი იყო, საკმაოდ ცხელოდა.

ჩემი ცხენი შესანიშნავი თოხარიკი გამოდგა.

ჰაერი გაჟღენთილი იყო უცხო ყვავილთა სურნელებით.

ფართოდ გაშლილ ულრუბლო ცას კრიალი გაუდიოდა. ირგვლივ თვალს იტაცებდა ტროპიკული ტყე. კოკოსის მაღალი, მწვანე ხეები ლურჯ ცის თაღებს წვდებოდნენ. ტყეში გაბმით ისმოდა ჭრელი ჩიტების ჟღურტული. ათასგვარი ფერის ბუმბულით შემოსილი თუთიყუშები გაოცებით მადევნებდნენ თვალს.

შუადღისას მზე საოცრად გავარვარდა. გადმოვხტი ცხენიდან და შევედი ღრმად ტყეში, რომ ცოტა სული მომეთქვა.

უცებ გამოჩნდა მომცრო ტაფობი და გაოცებული შევდექი:

პატარა მაკაკები თავდავიწყებით დარბოდნენ, თითქოს თვალხუჭობანას თამაშობენო. ზოგი კუდით ეკიდა ტოტზე და ქანაობდა.

დაუფიქრებლად მყისვე ამოვიღე რევოლვერი და ვესროლე ერთ მაიმუნს.

დაჭრილმა საშინლად, ბავშვურად იყვირა. მიცვივდნენ სხვა მაკაკები და მომაკვდავს ზრიალით გარს შემოეხვივნენ.

თავი დამნაშავედ ვიგრძენი, ჩემი გამყოლი კი იცინოდა.

მაშინვე გამოვედი ისევ გზაზე, რომელიც შუაგულ ტყეში იყო გაჭრილი.

კარგახანს ვიარეთ.

ოდნავ დაჰქროლა ნიავმა და გზისპირას ჩარიგებული ხეების ფოთლები ააშრიალა. ცას ახლა მწიფე ატმის ფერი გადაჰკვროდა. ყოველივე თვალის მომტაცი ფერებით იყო შემკული.

მხლებელი უკან მოდიოდა და რაღაცას ღიღინებდა.

ჩემი ცხენი უეცრად შედგა და გაქვავდა. მოულოდნელად შეჩერების გამო ლამის უნაგირიდან გადმოვვარდი. გაკვირვებულმა ირგვლივ მიმოვიხედე, არაფერი არ ჩანდა. ათრთოლებულ ცხენს დეზი ვკარი, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძარი. ამ დროს წამომეწია შეშინებული გამყოლი და მან დამანახვა საშინელი სურათი: ჩვენგან კარგა მოშორებით გზაზე გარდიგარდმო იწვა უზარმაზარი რუხი მახრჩობელა გველი. ბოლო გზის ერთ ნაპირის ტყეში ჰქონდა, თავი მეორე ნაპირის ბუჩქებში. გველს ეძინა და ეს იყო ჩვენი ხსნა. ცხენები განზე მივაბრუნეთ და ელვის სისწრაფით გავკურცხლეთ. მათ აღარ

ჭირდებოდათ წაქეზება, თავისთავად მთელი სისწრაფით მიჰქროდნენ.

მე არა ვარ მშიშარა, მაგრამ ამ საოცრების დანახვამ თავგზა ამიბნია. ცხოველური შიშის გამო ყოველი კუნთი მითრთოდა.

გამოჩნდა განმარტოებული ფერმა და ჩვენ გიჟებივით შევაგელვეთ მასში ცხენები. ფერმის პატრონებმა თავაზიანად მიგვიღეს. ავუხსენით რის გამოც ვიყავით ასე შეშფოთებულნი. ცოტა არ იყოს, მასპინძლებიც შეკრთნენ. შემიყვანეს ერთ მომცრო ოთახში, გამყოლი კი გარეთ დარჩა გაქაფული ცხენების მოსავლელად.

კვლავ მახრჩობელა გველი მელანდებოდა.

ბეწვზე გადავრჩით. რომ არ ძინებოდა, მის გიგანტურ ხახტომებს, რა თქმა უნდა, ვერ გავასწრებდით. ამ საშინელი ცხოველის ერთი დანახვაც კი ყოველგვარ მხეცს, მათ შორის ლომებსაც, ძრწოლას გვრის.

ცოტა დავისვენე. გონს მოვედი.

გამყოლი მოვიკითხე, იგი, თურმე სამზარეულოში იყო და მადიანათ შეექცეოდა სადილს.

მეც მალე მიმიწვიეს სასადილოთ.

ჩემს მასპინძელს 5 შვილი ყავდა, ორი მათგანი ქალი იყო, ასე 15—17 წლის. სუფთა ოთახში მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინის გვერდით ყვავილებიანი თიხის ლარნაკი იდგა.

სადილის წინ მასპინძელმა ბიბლია გაშალა და ამ დღისათვის შესაფერი თავი წაიკითხა. მერმე უფროსმა ვაჟმა ლოცვა წარმოსთქვა, რის შემდეგაც შემოვუსხედით სუფრას. საჭმელი გლეხური—მსუყე და ვემრიელი იყო.

მთელმა ოჯახმა პირველი ჭიქით ჩემი სადღეგრძელო შესვა.

სადილის შემდეგ მასპინძელს ვთხოვე ეჩვენებინა ჩემთვის თავის მეურნეობა.

გავედით გარეთ.

დიდი, სუფთა ეზოს ირგვლივ გარს ერტყა უხეშად მოჭრილი ქვის მაღალი ღობე. ეზოს ერთ ყურეში თივის ზვინები შევნიშნე. მის მახლობლად თავლა იყო გამართული, იქვე ორთვალიანი ბოსელი იდგა, ერთ დიდ თვალში სუფთა ბაგაზე ორი ჯიშიანი ძროხა ება, მეორე თვალში ხბოებს ამწყვდევდნენ. ყველგან ყველაფერი კრიალებდა. თავლასა და ბოსელში ელექტრონი იყო გაყვანილი.

მეორე მხარეს მოწყობილი იყო საკმაოდ დიდი ფარეხი.

ჩემი მასპინძელი ტიპიური ჰოლანდიელი იყო, რემბრანდტის[90]) ფუნჯით დახატული. ფრანგულად ლაპარაკი უჭირდა. შემომჩივლა, რომ ამ ბოლო დროს მის ფერმას შეჩვევია საოცარი სიდიდის ვეფხვი და რამდენიმე ცხვარი უკვე მოუტაცნია.

იგი აგრეთვე წუხდა ინგლისელების მიერ ომის გამოცხადების გამო. კარს მომდგარი ორივე ეს საშიშროება ეტყობოდა მას ძლიერ აშფოთებდა.

როცა მთელი კარ-მიდამო დავათვალიერე, მასპინძელმა მირჩია დამესვენა. მართლაც, ძლიერ დაღლილი ვიყავი და თანაც შიშნაჭამი, ამიტომ მაშინვე შევედი ჩემთვის განკუთვნილ ოთახში, მაგრამ ვერ დავიძინე და ზზის ჩასვლისთანავე ზეზე წამოვდექი. ცხელი დღე შე-

იცვალა გრილი ღამით. ფანჯრებიდან გავხედე ცას. იგი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მაგრამ ბრწყინვალე ცა ერთბაშად დაბნელდა და ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი.

დედამიწა ირყეოდა.

წამდაუწუმ თვალის მომკვეთად ელავდა.

მალე წამოვიდა კოკისპირული ტროპიკული თქეში.

ჭექა-ქუხილი გრძელდებოდა. ცისა და მიწის ზანზარს თან ერთვოდა გარეული მხეცების ღმუილი.

შემოვიდა მასპინძელი და მიმიწვია ყავაზე. ყავა შესანიშნავი იყო. მისი დამათრობელი სურნელება მთელ ოთახში იდგა. გაიმართა საუბარი. დამიწყეს ფრთხილად გამოკითხვა: ვინა ვარ და რა მინდა მათ რესპუბლიკაში. თანაც თვალს არ აშორებდნენ ჩემს ჩაცმულობას.

მე სიამოვნებით დავაკმაყოფილე მათი სრულიად ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, ხოლო როცა განვაცხადე, რისთვისაც ვიყავი ჩასული, ოჯახის წევრები მაშინვე წამოდგნენ და დიდი მოწიწებით სათითაოდ ჩამომართვეს ხელი.

უცებ ზედ სახლის კარებთან გაისმა გაბმული ღრიალი, რამაც ყველას ფერი გაგვიკრთო.

მყისვე ფეხზე წამოვხტი, მეორე ოთახში დატოვებული თოფი გამოვარბენინე და მიუხედავად მასპინძლების წინააღმდეგობისა კარი გამოვაღე. უკვე აღარ წვიმდა, მთვარისაგან ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. თვალი მოვკარი ვეფხვს. მისი შავფორეჯებიანი ოქროსფერი ტანი ათასფერად ლივლივებდა მთვარის შუქზე.

დავუმიზნე და ვესროლე. სროლის ხმასთან ერთად

გაისმა საშინელი ღრიალი. ვესროლე მეორეჯერაც. ვეფ-ხვი კიდევ ერთხელ შეხტა და მიწაზე უსულოდ დაეცა.

ეს უკვე ტარიელის გმირობას უდრიდა და მე საკუ-თარი თავით მეტად კმაყოფილმა დავაპირე სახლში შესვ-ლა, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდა.

— ნუ გეშინიათ, გააღეთ, ვეფხვი მოკლულია!—რა-ტომღაც ყვირილით მივმართე შეშინებულ მასპინძლებს.

გაბედეს გარეთ გამოსვლა.

მე კი დასაძინებლად შევედი შინ.

დილის 6 საათზე უკვე მეღვიძა. ოჯახის წევრები საუზმეზე მელოდებოდნენ.

კვლავ ბიბლიის კითხვა და ლოცვის წარმოთქმა.

გულდაგულ ვისაუზმეთ, რის შემდეგ მასპინძლებს დიდი მადლობა მოვახსენე და ეზოში გავედი.

ჩემს გამყოლს ცხენები უკვე სამგზავროდ მოემზა-დებია.

ფერმის პატრონმა სამახსოვროდ მომართვა წუხელ ჩემს მიერ მოკლული ვეფხვის ტყავი.

ეს მართლაც დიდი საჩუქარი იყო და გახარებულმა მასპინძელი ლამის გადავკოცნე.

ამ დროს ჭიშკარს მოადგა ხელისუფლების წარმო-მადგენელი, რომელმაც ჩემს მასპინძელს თხოვა თავის ხვედრი ფული ვადაზე ადრე გადაეხადა, და აგრეთვე შეძლებისამებრ, სურსათ-სანოვაგე ჩაებარებია ჯარის გა-მოსაკვებად.

ოჯახის უფროსი მაშინვე შეუდგა რესპუბლიკის წი-ნაშე თავის წმინდა მოვალეობის მოსახდელად საჭირო თადარიგს.

გენერალი ბოტა
ბურჯეჩის უკანასკნელი მთავარსარდალი

ხელისუფლების წარმომადგენელს გამოველაპარაკე.

მისი სიტყვიდან გავიგე, თავდაცვის ხაზიდან პრეზიდენტი გუშინ საღამოს დაბრუნებულიყო იოჰანესბურგში და უკვე პრეტორიაში გამგზავრებულიყო. გადავწყვიტე აქედან მეც პირდაპირ პრეტორიაში წავსულიყავი. მანვე მასწავლა, თუ რომელი გზით უფრო უხიფათო იქნებოდა ჩემი უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა ინგლისელების განლაგების ზონაში მოვხვედრილიყავი.

დავემშვიდობე ყველას და გავუდექი გზას.

მიუხედავად წუხანდელი თქეშისა, მიწა ამ დილით მთლად მშრალი იყო. ტყეში ფოთოლიც არ ირხეოდა. დიდი ბობოქრობის შემდეგ ბუნება თითქოს ისვენებდა. მზე კარგა მაღლა იყო წამოსული, მაგრამ გუშინდელთან შედარებით გაცივებით გრილოდა.

ინგლისელებისა და მახრჩობელა გველის შიშით, მე და ჩემი გამყოლი ახლა უკან ვბრუნდებოდით სულ სხვა მიმართულებით, რის გამოც ზოგან გაუვლელი ადგილების გადალახვაც გვიხდებოდა, რაც აბრკოლებდა ჩვენს მგზავრობას.

მხოლოდ მზის ჩასვლისას მივაღწიეთ პრეტორიას. სასტუმროში მისვლისთანავე სასტუმროს პატრონს ვთხოვე გაეგო, თუ როდის შეიძლებოდა მენახა პრეზიდენტი.

— რა თქმა უნდა, დღეს აღარ მოხერხდება მისი ნახვა. მიუხედავად ყოველგვარი მდგომარეობისა, პრეზიდენტი მუდამ საღამოს 7 საათზე წვება და დილის 3 საათზე დგება. შემიძლია გავიგო მხოლოდ ხვალ რა

დროს ისურვებს იგი თქვენს მიღებას,—მითხრა მან და წავიდა.

მალე დაბრუნდა.

— ვნახე ძალუა სამა,—მაცნობა მან ალერსიანად,— მისი სიტყვით, პრეზიდენტს შეგიძლიათ ეახლოთ მხოლოდ ზეგ, ორშაბათს, დილის 11 საათზე.

— სამა ვინაა?—ვკითხე მე.

გამოირკვა, რომ ბურები თავის მოხუც პრეზიდენტს, კრიუგერს, ეძახოდნენ ბიძია პავლეს, ხოლო მის მეუღლეს—ძალუა სამას.

ზეგამდე გაძლება არ გინდოდა?

მეორე დღეს კვირა იყო. ამ დღეს ყოველი ბური მხოლოდ ეკლესიაშია და მერმე თავის ოჯახში. ესაა კულტი. კვირაობით არც ერთ უცხო კაცს არ იღებენ. არც გარეშე ამბებზე მსჯელობენ. ეკლესიაში ლოცულობენ, ოჯახში ისვენებენ და აქაც სასოებით არიან გამსჭვალულნი. როგორც ჩანს, ახლაც, ომის პირობებში, ამ წესს არ არღვევენ, თორემ ძალუა სამა ხვალვე უთუოდ მომიწყობდა პრეზიდენტთან შეხვედრის საქმეს.

გულდაწყვეტილი დავწექი. გუშინ და დღეს მგზავრობითა და განცდილით დაღლილს ღრმად ჩამეძინა.

დილის 8 საათზე სასტუმროს პატრონმა გამაღვიძა და მირჩია, თუ პრეზიდენტის დანახვა მინდოდა, გავჩერებულიყავი ფანჯარასთან.

დაუყოვნებლივ წამოვდექი.

სასტუმრო ისეთ ადგილზე იყო, რომ ეკლესიაში ლოცვის მსურველს უთუოდ მის წინ უნდა გაევლო. პატარა ტაძარი ძველ ჰოლანდიურ ხუროთმოძღვრების ნიმუშს

წარმოადგენდა. მღვდელთმსახურებაც ჰოლანდიურ ენაზე წარმოებდა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ბურების სახელმწიფო ენად ითვლებოდა ჰოლანდიური.

გაფაციცებით ვიცქირები ფანჯარაში.

აი, გამოჩნდა ეკლესიისაკენ მიმავალი პრეზიდენტის ამალა. წინ მოუძღვება კრიუგერი, მაღალი, მხარბეჭიანი მხნე მოხუცი, რომელსაც მკლავდამკლავ მოყავს თავის მეუღლე. პრეზიდენტის მეუღლე ქმარზე უფრო დაბალია და გამხდარი. იგი წარმოშობით ფრანგი-ჰუგენოტია, და მრავალი შვილის დედა.

მათ უკან, დაშორებით, მოყვებათ სამი წარჩინებული სამხედრო პირი—ჟუბერი,[91]) კრონიე[92]) და დელარეი.[93]) შემდეგ მოდიან სხვადასხვა თანამდებობის პირნი და პრეზიდენტის ოჯახის წევრები. მთელ ამ ამალას, როგორც მცველები, ირგვლივ არტყია თეთრ მუხდირებში გამოწყობილი ბური ოფიცრების წრე.

გადავწყვიტე მეც წავსულიყავი ეკლესიაში.

— უხერხული ხომ არ იქნება, ან თავხედობათ ხომ არ ჩამეთვლება უცხო ეროვნებისა და სარწმუნოების კაცი თქვენს ეკლესიაში წავიდე? — ვკითხე სასტუმროს პატრონს.

მან დამარწმუნა—მლოცველ ბურებს ეს სასიამოვნოდაც დარჩებათო.

გავხსენი ჩემოდანი და ამოვიღე ახალთახალი ჩოხა-ახალუხი, მე იგი ამ დღეს პირველად ჩავიცვი.

არა თუ რევოლვერი, ხანჯალიც კი არ დამიკიდია. სასტუმროს პატრონიც წაძომყვა.

როდესაც ეკლესიის ზღურბლს გადავაბიჯეთ, საკმე-

ველის მძაფრი სურნელი ვიგრძენით. ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა. მლოცველები გართული იყვნენ ლოცვაში და ჩვენი მისვლა არც კი გაუგიათ.

განმარტოებით, ფრთხილად დავდექით კუთხეში.

ორღანო რაღაც ღვთის სადიდებელ მელოდიას უკრავდა. მალე ორღანოს ხმაზე მლოცველებმა დაიწყეს ამ დღისათვის განკუთვნილი ფსალმუნის გალობა.

ეტყობოდა, ყველა განსაკუთრებული ექსტაზით იყო მოცული და იმავე დროს ყველას იმედი ჰქონდა—ღმერთი უთუოდ გაამარჯვებინებდათ მტერზე.

დამთავრდა წირვა.

ხალხმა წყნარად დაიწყო ეკლესიიდან გასვლა.

ისე მოხდა, რომ მე და ჩემი სასტუმროს პატრონი სულ ახლოს აღმოვჩნდით ძალუა სამასთან.

ამით ისარგებლა მან და გამაცნო პრეზიდენტის თანამეცხედრეს.

სამამ დედობრივი კილოთი მთხოვა ხვალ, 11 საათზე უთუოდ ვწვეოდი მის მეუღლეს.

მე დიდი მადლობა მოვახსენე და განზე გავდექი.

პრეზიდენტი და მისი მხლებლები იმავე წესით გაემართნენ შინისაკენ, როგორც მოვიდნენ ეკლესიაში.

ძალუა სამამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იგი უყვარდათ არა მარტო ბურებს, არამედ, რაც მეტად საკვირველია, ინგლისელებსაც. თუ გადმოცემის მიხედვით განვსჯით, ის თითქოს არ იყო მიწიერი არსება. ეს მოხუცი კეთილი ქალი მტერსა და მოყვარეს ერთნაირი მხრუნველობით ეპყრობოდა და ყველას მწუხარებას თავის მწუხარებად თვლიდა.

იგი გულწრფელად ლოცულობდა, როგორც ბურების, ისე ინგლისელების საკეთილდღეოთ, რასაც მას საერთოდ ადამიანის სიყვარული უკარნახებდა. იგი ცხარე ცრემლით დატიროდა ორივე მხარის მიერ გაღებულ მსხვერპლს, რის გამოც მას დიდათ პატივს ცემდნენ ბურების ისეთი მოძულე ინგლისელი გენერლებიც კი, როგორიც იყვნენ რობერტსი[94]) და კიტჩენერი.[95])

ეს სათნო ადამიანი ჭირსა და ლხინში თავის მეუღლის განუყრელი მეგობარი და კეთილი აზრების შთამაგონებელი იყო. ამიტომაც მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია, როგორც მოხუც პრეზიდენტში, ისე თითოეულ ბურში.

სამა გარდაიცვალა 1900 წელს, ივნისის პირველ რიცხვებში, წყალმანკისაგან. ამ დროს პრეზიდენტი ევროპაში იყო, რათა ევროპის სახელმწიფოებს დახმარება გაეწია ბურებისათვის და მათი რესპუბლიკა ეხსნათ ინგლისელების უღლისაგან.

ინგლისელებმა ყაჩაღურად დაარღვიეს საერთაშორისო წესი და ჰააგის კონფერენციის დადგენილება. მოხუც კრიუგერს არ ეგონა, თუ ამ კონფერენციის დადგენილება იყო უბრალო, ლიტონი სიტყვა და ამიტომ ელოდა დღეს თუ არა ხვალ მაინც ევროპა ჩაერეოდა ორთა ბრძოლაში და დაიცავდა სრულებით უდანაშაულო ბურების უფლებებს.

მაგრამ ამაო იყო კრიუგერის ოცნება!

იგი იმედგაცრუებული დაბრუნდა თავის რესპუბლიკაში. მაგრამ ქედი როდი მოუხრია საშიშროების წინაშე! იგი ახალი ძალით შეუდგა ქვეყნის დაცვის საქმეს.

მას ღრმად წამდა, რომ სიმართლე უთუოდ გაიმარჯვებდა, სიმართლე კი ბურების მხარეზე იყო. მან ამაყად ასწია ჭაღარა თავი და თანამემამულეთ მოუწოდა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძოლათ ბოროტების წინააღმდეგ.

კრიუგერი იყო ნამდვილი ციცინატი[96]. როგორც ციცინატი, იგი ომის დროს ომობდა, ხოლო მშვიდობიანობის დროს უბრალო გლეხივით მუშაობდა მინდვრათ. მაგალითად, კრიუგერი პირადათ იღებდა მონაწილეობას ინგლისელების მიერ აჯანყებულ კაფრების [97] წინააღმდეგ ომში, ხოლო 1880 წელს ებრძოდა ინგლისელებს, ახლაც იგი ნახევარჯერ ფრონტზე იყო.

აქვე მინდა მკითხველს ვუამბო კრიუგერის უკანასკნელი ცხოვრების ერთი ეპიზოდი.

ქვრივი პრეზიდენტი შეუყვარდა სიცოცხლით სავსე, სრულიად ახალგაზრდა ერთ ფრანგ ქალს, რომელსაც აგრეთვე ერქვა სამა. იგი მეტად ლამაზი იყო და აუარებელი თაყვანისმცემლები ეხვია მუდამ ირგვლივ, მაგრამ მან ყველას არჩია კრიუგერი.

კრიუგერმა იგი შეირთო.

რამდენადაც ვიცი, მოხუც პრეზიდენტს ძლიერ უყვარდა თავის ახალგაზრდა ცოლი და ხშირად ეჭვიანობდა კიდეც.

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ამბების თანამიმდევრობას გადავუხვიე.

გათენდა ორშაბათი.

მე და ჩემი სასტუმროს პატრონი, რომელიც თარჯიმანის მაგივრობის გასაწევად წავიყვანე, ისეთი ვარა-

უდით გავედით სასტუმროდან, რომ სრულ 11 საათზე უთუოდ პრეზიდენტის სასახლეში ვყოფილიყავით, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა სასახლის ნაცვლად მივადექით ერთ სადა სააგარაკო სახლს. სახლი იდგა ბაღში და შესავალში მას მწოლიარე მარმარილოს ორი ლომის ქანდაკება ამშვენებდა.

ეს იყო და ეს სხვა სახლებისაგან ამ სახლის განმასხვავებელი სამკაული.

სადღესასწაულოდ გამოწყობილი გუშაგები შიშველი ხმლებით იდგნენ სახლის წინ.

სალუტით შეგვეგებენ.

ცხადია, ეს ჩემს პატივსაცემად იყო გამართული, მაგრამ რა დამსახურებისათვის?

სასტუმროს პატრონს უნდოდა ჩამომშორებოდა, მაგრამ გავაფრთხილე არ მომცილებოდა, რადგან კრიუგერთან საუბარს მისი დახმარების გარეშე ვერ მოვახერხებდი. მან კარგად იცოდა ჰოლანდიურიც, კრიუგერი კი მხოლოდ ამ ენაზე ლაპარაკობდა.

საკვირველია, მაგრამ პრეზიდენტმა სხვა ენა არ იცოდა, ამიტომ ევროპაში მოგზაურობის დროს თან დაყავდა თავის მდივან-მწიგნობარი რეიცი, ან თავის მეგობარი, მეზობელ რესპუბლიკის ორანჟის პრეზიდენტი შტეინი.[98]) შტეინი კრიუგერზე გაცილებით ახალგაზრდა იყო და დიდათ უყვარდა მოხუცი მეგობარი, როგორც კრიუგერს, მასაც ძლიერ ძულდა ინგლისელები, მიუხედავათ იმისა, რომ კრიუგერისაგან განსხვავებით, შტეინს განათლება მიღებული ჰქონდა ინგლისში.

მართალია კრიუგერმა არ იცოდა ინგლისური ენა,

მაგრამ როგორც შტეინი, ისიც კარგად იცნობდა ინგ-ლისის იმპერიალიზმის წარმომადგენლების—დიზრაელე-ბის[99]) და ჩემბერლენის[100]) პოლიტიკას.

ოთახი, სადაც ღრმა სავარძელში იჯდა კრიუგერი და ხელში ყავით სავსე დიდი ფინჯანი ეჭირა, საკმაოდ ვრცელი იყო. როგორც კი შევედი, პრეზიდენტმა თავი ასწია და შედარებით პატარა, მაგრამ ჭკვიანური თვალე-ბი გაოცებით მომაპყრო. მერმე ფინჯანისაგან ხელი გაი-ცალა და სწრაფად წამოდგა. მე მყისვე მივედი და ხელი ჩამოვართვი.

კარგახანს მიცქერდა. ახლა ქულაჯა მეცვა. ეტყობო-და ჩემმა ჩაცმულობამ ძლიერ გააკვირვა. დავსხედით. დამიწყო თავაზიანი საუბარი. ჩემმა ვინაობამ იგი კი-დევ უფრო გააოცა. ქართველი და საქართველო მას, თურმე, არასოდეს გაეგონა. ცოტა მეწყინა, მაგრამ გა-მახსენდა, რომ მეც არ ვიცოდი აქამდე ბურების არსე-ბობა და მხოლოდ სულ ბოლოს გავიცანი მათი ხალხი და ქვეყანა, ისიც ჯერ კიდევ არა საკმაოდ.

ყველაფერი ეს პირდაპირ ვუთხარი, რაც მას არა თუ ეთაკილა, არამედ ჩემი გულახდილობა მოეწონა, რის და-სამტკიცებლადაც კიდევ ერთხელ ჩამომართვა ხელი.

ამის შემდეგ მე პრეზიდენტს ვუთხარი, რომ შორეულ საქართველოდან ჩამოვედი მათ დასახმარებლად და ვთხოვე მივეღე მოხალისედ რესპუბლიკის ჯარში.

ამ ამბავმა მეტად გაახარა მოხუცი, იგი კვლავ წა-მოდგა და თარჯიმანს უთხრა – ჩემთვის გადმოეცა მისი და ყველა ბურის უღრმესი მადლობა. შემდეგ გამოიხმო „ძალუა სამა“, რომელიც, ჩემდა გასაოცად, რევერანსით

შომესალმა, რაც სრულებით არ შეეფერებოდა რესპუბ-
ლიკის პრეზიდენტის მეუღლეს, მით უფრო მის ასაკში
მყოფ მანდილოსანს.

კრიუგერმა მეუღლეს აცნობა ვინც ვიყავი და თანაც
განუმარტა ჩემი სტუმრობის მიზანი. გახარებულმა სამამ,
მადლობის ნიშნად, თავის ხელით გამომიტანა ყავა.

როცა დიასახლისი გავიდა, კრიუგერს კვლავ ვთხოვე
მივეღე მოხალისედ, მხოლოდ ბოქმედ არმიის ისეთ ნა-
წილში გავეგზავნე, რომლის უფროსსაც ფრანგული ენა
ეცოდინებოდა.

კრიუგერმა დარეკა ზარი. შემოვიდა ადიუტანტი. რა-
ლაც უთხრა. ადიუტანტი მყისვე გაბრუნდა. რამდენიმე
წუთის შემდეგ გამოცხადდა სამი სამხედრო პირი. ერთი
მათგანი იყო გენერალი ჟუბერი, ბურების შესანიშნავი
მთავარსარდალი: იგი შიშის ზარს სცემდა ინგლისელე-
ბის მიერ აჯანყებულ კაფრებსა და თვით ინგლისელებს.
სამხედრო მოღვაწეობის გრძელ მანძილზე მას არ უნახავს
არც ერთი დამარცხება. ჟუბერს არა ერთხელ ჰქონდა
მოვლილი გერმანია, საფრანგეთი და ჰოლანდია.

როგორც ყოველი ფრანგი-ჰუგენოტი, რომელსაც წი-
ნათ გამუდმებით დევნიდნენ, ჟუბერიც ცოტა ზედმეტად
ფრთხილი და ეჭვიანი იყო ადამიანებისადმი. იმავე დროს
მას მეტად ღრმად სწამდა ღმერთი და უყვარდა თავის
ქვეყანა. ამ სიყვარულს სახელოვანი მხედართმთავარი
უნერგავდა თავის მებრძოლებსაც.

რაც შეეხება გენერალ კრონიეს, მისთვის ომი გმი-
რობისა და მოხერხებულობის ასპარეზი იყო. იგი განსა-
კუთრებით დიდ სიმარჯვესა და გამომგონებლობის

უნარს იჩენდა მტრისაგან გარემოცვის პირობებში. ერთი შეხედვით, კრონიე სათნო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მხედრისათვის უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნობოდა მთელ მის აღნაგობაში. მაგრამ ნამდვილად მტრისათვის ღვთის რისხვას წარმოადგენდა.

იგი განაგებდა არტილერიის საქმეს და ყოველთვის ენერგიულად აქეზებდა თავის ხელქვეითებს — „ჯოზეფ ჩემბერლენის ქუხილისათვის“ გამანადგურებელი გრგვინვით ეპასუხნათ.

ინგლისელები არა ერთხელ გაუკვირვებია კრონიეს თავის სამხედრო ტალანტით.

მესამე გენერალი დელარეი კი იყო ნამდვილი გიგანტი, უშიშარი, სამხედრო სულისკვეთებით მთლად გამსჭვალული. ზოგჯერ წრესგადასულ სიფიცხის გამო შეეძლო გაებედა მარტო შებრძოლებოდა ყველა ინგლისელს და როგორც გველები გაესრისა თავისი მაგარი ტერფებით. მას თავისი ტაქტიკით არა ერთხელ ჩაუყენებია ინგლისელები მძიმე მდგომარეობაში.

დელარეი რატომღაც ერთბაშად მომეწონა, ეტყობოდა მასაც თვალში მოუვედი. იგი სხვა ორ გენერალთან ერთად, მხედრის წესისამებრ, მხრებგასწორებული იდგა და ზოგჯერ, მგონი ჩემს შესახებ, რაღაცას მორიდებით ელაპარაკებოდა მათ.

როცა პრეზიდენტმა წარუდგინა გენერლებს ჩემი თავი და აცნობა, რისთვისაც ვიყავი შორეულ ქვეყნიდან აფრიკაში ჩასული, დელარეი მოვიდა ჩემთან და დიდიხნის უნახავი მეგობარივით ჩამომართვა ხელი, იმავე დროს წინადადება მომცა მასთან მემსახურა.

მისი დივიზია შედიოდა კრონიეს არმიაში.

მე დიდი სიამოვნებით განვუცხადე თანხმობა.

დელარეიმ მითხრა გამოვცხადებულიყავი ხვალ, დილის 8 საათზე მისი დივიზიის შტაბში, რომელიც მახლობელ სახლში იყო მოთავსებული.

აუდიენცია დამთავრდა. როგორც უბრალო ჯარისკაცი შორიდან დავემშვიდობე ყველას და დავაპირე წასვლა, მაგრამ კრიუგერმა შემაჩერა, მოვიდა და მომეხვია.

ვიგრძენი მშობლიური მამის სითბო და გული ამიჩქროლდა. მოხუცი მეხვეოდა და თარჯიმანის მეშვეობით მიხდიდა მადლობას, მთავაზობდა ფულს, მამულს, მე, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე. თან დავურთე, რომ ყოველგვარი ანგარი განზრახვის გარეშე გამოვიარე ამოდენი გზა და გულწრფელად მსურდა დავხმარებოდი ბურებს.

კრიუგერმა ბოლოს მთხოვა, ხვალ დელარეიდან მასთან შემევლო და დამელია ერთი ფინჯანი ყავა.

როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო დიდი პატივისცემის ნიშანი. ყველას როდი ჰქონდა ბედნიერება პრეზიდენტის ასეთი მასპინძლობის ღირსი გამხდარიყო.

თვითონ კრიუგერი მთელი დღე სვამდა ყავას და ეწეოდა ყალიონს.

მეორე დილას წავედი დელარეის შტაბში.

ბურებს, როგორც მის პრეზიდენტს, არასოდეს გაეგონათ საქართველო და ქართველი, მაშასადამე ჩემი გვარიც მათ არაფერს ეუბნებოდათ, მაგრამ პრინცის ტიტულმა კი საოცრად დიდი აღტაცება გამოიწვია შტაბში, ბედნიერი ღიმილით ჩამომართვეს ხელი და თან იმეორებდნენ: „პრინცი, პრინცი".

გაკვირვებული ვიდექი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბურებს ეგონათ მათ რიგებში პრინცის ყოფნა ეს იქნებოდა ევროპის თვალში კიდევ ერთი ზედმეტი საბუთი იმისა, რომ ინგლისელების წინააღმდეგ მათი ბრძოლა იყო ბრძოლა სამართლიანი.

ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, წარმოადგენდა ნამდვილ ბავშვურ გულუბრყვილობას. მოვლენების სწორედ ასეთმა მიამიტურმა შეფასებამ მიიყვანა ბოლოს ბურები საბოლოო მდგომარეობამდე. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

მივიღე ბური ჯარისკაცისათვის შესაფერი ტანისამოსი—ევროპული ყაიდის კოსტუმი და კეპი. მართალი გითხრათ, არაფრად მესიამოვნა, როცა ამ ტანისამოსში წარმოვიდგინე თავი. მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ჩემი ქულაჯით ან ჩოხა-ახალუხით ხომ ვერ წავიდოდი ფრონტზე.

ახალი მორთულობა სასტუმროში გავგზავნე, თვითონ, გუშინდელ დაპირებისამებრ, გავეშურე პრეზიდენტთან. ისევ ქულაჯა მეცვა, რის გამოც კმაყოფილი დავრჩი, რადგან გამოირკვა კრიუგერს ამ დილით ჩემთან სურათის გადაღება ნდომებოდა.

მოვიდა ფოტოგრაფი. პატარა მაგიდასთან შუა ადგილას დამსვეს. მაგიდაზე ყავის ჭურჭელი ეწყო. პრეზიდენტი და მისი მეუღლე აქეთ-იქიდან მომისხდნენ. სურათის გადაღების პროცესი მოხუც პრეზიდენტს მეტად მოწონდა, იგი ცოლს მხიარულად ელაპარაკებოდა და თან ისე გულიანად იცინოდა, თითქოს ინგლისელები ქვეყნად სულ არ არსებულიყვნენ და არც სადმე ომი ყოფილიყო.

შევსვით ყავა. როგორც მშობლებს, გულთბილად დავემშვიდობე მოხუც ცოლ-ქმარს და წავედი. ტალანში შევხვდი დელარეის, დავპატიჟე სადილად, მაგრამ მოუცლელობის გამო თავაზიანი უარი მითხრა, იმავე დროს გამაფრთხილა—სრულ ხუთ საათზე შტაბში ვყოფილიყავი, რომ აგრილებისთანავე ფრონტზე გავმგზავრებულიყავით.

ჩემი სასტუმროს პატრონის დახმარებით ვიყიდე საკუთარი ფულით კარგი ცხენი, ჩავიცვი ნამდვილ ბურისებურად და სასტუმროს პატრონს გავუმართე სადილი, რის დროსაც დიდი მადლობა მოვახსენე გაწეული დახმარებისა და მზრუნველობისთვის.

დანიშნულ დროს მივედი დელარეის შტაბში და მასთან ერთად მალე დავტოვე პატრიარქალური პრეტორია.

თბილი, ნელი სიო ქროდა. ოდნავ ირხეოდა პალმების ხეივნის წვეროები. შორს მოჩანდა დაისით ვარდისფრად აელვარებული ლაჟვარდი. ბინდი შეუმჩნევლად ეპარებოდა მიდამოს და მხურვალე მიწა გრილი ხდებოდა.

სიჩუმე ისადგურებდა. უკვე აღარ ისმოდა ფრინველების ჟრიამული. ბნელი ღამე ჩამოწვა. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არსად კიაფობდა. გამალებული მივქროდით. ჩვენს ცხენებს თითქოს ფრთები ესხათ, ნიადაგს ფლოქვებს არ აკარებდნენ.

„აი ბანაკიც“, — ამბობს დელარეი. მე გაკვირვებით დავიწყე ცქერა აქეთ-იქით, რომ იქნებ ღამეში თეთრი კარვების ანარეკლი მაინც დამენახა. მსგავსიც არაფერი ჩანდა. ყველაფერი მოეცვა კუპრივით ბნელ ღამეს. ჩქამიც არ ისმოდა.

არც გუშაგები ჩანდნენ. ეს როგორი სამხედრო ბანაკია? უცებ სასწაული მოხდა — გაისმა სტვენისმაგვარი რაღაც და ყოველი ხე ბურად იქცა. როგორც კი პირველმა გუშაგმა შეიცნო დელარეი, მყისვე მისი მისვლა გაიგო მთელმა ბანაკმაც. აქა-იქ ციცინათელების მსგავსად აციალდნენ პატარა ფარნები, მაგრამ მალე ისევ ტყე ბნელმა შთანთქა. ჩვენთან დარჩა ორი-სამი კაცი. გადმოვხტით ცხენებიდან. დელარეი მაცნობს მათ და მოკლედ უხსნის, თუ რისთვისაც მივედი ბანაკში.

შევდივართ პალმებისაგან გაკეთებულ კარავში. თავი რობინზონი მგონია, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ მარტო არ ვარ და ირგვლივ მახვევია შავწვერიანი გოლიათები, რომლებიც მეტად თავაზიანად მეპყრობიან. ერთი მათგანი ცარიელ ყუთებს გვთავაზობს, რომ დავისვენოთ. მალე ვახშამიც მოგვიტანეს. მართალია, კონსერვი თვალის დასანახავად მეზარება, მაგრამ აუცილებელია აქედანვე შევეჩვიო მას, ორი დღით ხომ არ ვარ მოსული ამ ტყეში!

დამხვდურთა საუბრიდან ვატყობ, ბურები პარტიზანულ ომს განაგრძობენ და ერიდებიან გადამწყვეტი, ან ნახევრად გადამწყვეტი ხასიათის ბრძოლებს. ეს გამოწვეულია მათი მცირე რიცხვისა და რეგულარული ჯარის უყოლობის გამო.

ისიხი თითქმის, როგორც პანსიონერები, ისე არიან ფრონტზე, მრავალი მათგანი შაბათ საღამოს ორშაბათ დილამდე მიდის თავის ფერმაში, რითაც არევ-დარევა შეაქვთ ჯარში და იმავე დროს მტერს საშუალებას აძლევენ მთელი კვირის განძავლობაში ბრძოლით მოქანცულმა ახალი ძალა მოიკრიბოს.

გენერალმა ბოტამ[101]) ამის აღსაკვეთად რამდენიმე გამოუსწორებელი დეზორგანიზატორი დახვრიტა, ყველა დივიზიასთან ჩამოაყალიბა თავდადებული ახალგაზრდა ბურებისა და მტკიცე ხასიათის მოხუცთა ბატალიონები, მათში შეურია უცხოელ მოხალისეთა რაზმები და ამ ბატალიონებს დააკისრა დივიზიებში სრული წესრიგის დაცვა. ჯარში დისციპლინის აღდგენას ხელი შეუწყვეს ქალებმაც. როცა ოჯახის ქალებმა გაიგეს, რომ მათი ქმრები და შვილები ზოგჯერ თვითნებურად ტოვებდნენ ფრონტს, საშინლად გაწყრნენ და ასეთებს შინ არ უშვებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ბურებს შესანიშნავი გენერლები ყავდათ. ჩემს მიერ ჩამოთვლილ გენერლებს გარდა, შემთხვევა მქონდა გავცნობოდი კიდევ მრავალ გმირ გენერალს, მათ შორის ნამდვილ აქილევსს. ეს იყო დე-ვეტა[102]). მისი ენერგიული სახე, მუდამ ელვარე მჯიღის ოდენა თვალებით გაშუქებული, მოწიწებას იწვევდა მნახველებში.

დე-ვეტა ინგლისელებისთვის ყოველთვის მოულოდნელი უბედურება იყო. თითქოს მას უჩინ-მაჩინის ქუდი ხურებოდეს, სადაც არ ელოდნენ, სწორედ იქ დაატყდებოდა მტერს თავზე სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცი.

დღე და ღამე ყველგან დე-ვეტა ელანდებოდათ.

დე-ვეტა ატარებდა ფრენჩისმაგვარ ტანისამოსს, თავზე ეხურა წითელ-ბაფთიანი და ფართოფარფლებიანი ქუდი. ასეთ ქუდებს ატარებდნენ მისი ოფიცრებიც.

მისი ტაქტიკა იყო შესანიშნავი. იგი თავის ჯარით, მუდამ მოძრაობდა ინგლისელების ჯარის პარალელურად,

რის დროს მოულოდნელად თავს ესხმოდა მათ, იტყუებდა ისეთ ადგილებში, საიდანაც გამოსვლა მტერს ძვირად უჯდებოდა.

გარდა ამისა, მოთარეშე რაზმების მეოხებით, მოპირდაპირეს გამუდმებით უნადგურებდა კომუნიკაციებს, სურსათ-სანოვაგეს და საჭურველის მიმწოდებელ ბაზებს.

იგი თავისი გაწვრთნილი მებრძოლებით ქარივით დაქროდა მტრის ახლომახლო, ხან ავანგარდში იყო, ხან არიერგარდში—იმისდა მიხედვით, თუ სად ითხოვდა მის დახმარებას მდგომარეობა.

დე-ვეტა ვერცხლის წყალივით მოძრაობდა და სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდა ინგლისელებს. მისი სახელი თავზარს ცემდა თითოეულ მათგანს.

დე-ვეტა განათლებით იურისტი იყო.

დაუშრეტელი უნარის მქონე ორი გენერლის—დევეტისა და ბოტას მისვლამ ჯარში, ბურების ძალ-ღონე გააორკეცა, თუმცა ფართო შეტევაზე გადასვლას მაინც არიდებდნენ ჯერ კიდევ თავს.

ბურების წინააღმდეგ ინგლისელების მიერ უსამართლოდ ატეხილმა ომმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მაშინდელ მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებში. ბურების დასახმარებლად სხვადასხვა ქვეყნებიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ მოხალისეთა რაზმები.

პოლკოვნიკ ვილბუა-დე-მორელის მეთაურობით დგებოდა ინტერნაციონალური პოლკი, რომელშიც უკვე ირიცხებოდა 1000 მოხალისე.

დელარეის და მის ხელქვეითებთან კარგა ხანს საუბ-

ელენეს კუნძულზე გადასახლებული ტყვეები მიჰყავთ ქუჩაში

რის შემდეგ, გულში გადავწყვიტე, ჩავრიცხულიყავი ვოლონტერთა[103]) პოლკში. ალბათ, შუაღამე გადასული იყო, როცა დასაძინებლად დავიწყეთ მზადება, მაგრამ გველის მეშინია, აქ მორიელებიც ბევრია და შიშველ მიწაზე რა დამაძინებს?

ამ დავიდარაბაში რომ ვარ, შემოიტანეს დასაკეცგასახსნელი რკინის საწოლები და ზედ სუფთა ლოგინები გაშალეს. სული მოვითქვი, გაუხდელად დავწექი და მაშინვე ჩამეძინა.

* *

ინგლისელების მიერ ბურების წინააღმდეგ დაწყებული ომი ყოველგვარ ომზე უფრო საშინელი იყო. ეს იყო უბრალოდ ცინიკური სურვილი, მოესპოთ პატარა, მაგრამ მდიდარი სულის პატრონი ხალხი.

ბურები კი თავის მხრით იჩენდნენ გასაოცარ სულგრძელობას. ტყვედ წამოყვანილ ინგლისელებს ბურები, როგორც სტუმრებს, ისე ეპყრობოდნენ, მალე კი მთლად ათავისუფლებდნენ.

გერმანელმა მოხალისე ოფიცრებმა კრიუგერს, მასთან შეხვედრის დროს, განუცხადეს: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილო“, მაგრამ მოხუცმა პრეზიდენტმა მათი მოთხოვნილება არ გაიზიარა.

ამის გამო გერმანელებმა დატოვეს ბურების ჯარი და უკან დაბრუნდნენ.

ლმობიერად მოეპყრნენ ბურები უნისტონ ჩერჩილსაც[104]), რომელიც იმ ხანებში ტყვედ შეიპყრეს.

მე ერთხელ გენერალ ბოტას ბანაკში მოვხვდი. ჩემი

იქ ყოფნის დროს მოიყვანეს ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე ინგლისელი. ერთი მათგანი იყო წითელ-ლოყებიანი 20—25 წლის ახალგაზრდა ოფიცერი, შემდეგში ყველასათვის ცნობილი უინსტონ ჩერჩილი. იგი მაშინ „მორნინგ პოსტის“ სამხედრო კორესპონდენტის სახელით მოევლინა სამხრეთ-აფრიკას და ითვლებოდა ბურების დაუძინებელ მტრის, სესილ როდსის დიდ თაყვანისმცემლად. ბურებმა ეს ახალგაზრდა ტყვედ შეიპყრეს შემდეგ პირობებში: ჩერჩილი უნდა ჩასულიყო ლედსმიტში, მაგრამ ქალაქი ბურების მიერ ალყა შემორტყმული იყო. ინგლისელები შეეცადნენ ჯავშნიან მატარებლით ალყის გარღვევას, მაგრამ ბურებმა მატარებელი ხელთ ჩაიგდეს და სხვა რამდენიმე ინგლისელთან ერთად ჩერჩილიც ტყვედ წაიყვანეს.

ახალგაზრდა ტყვე ოფიცერი გერცოგის შთამომავალი აღმოჩნდა. დედამისი ამერიკელი ჟურნალისტის „ნიუიორკ ტაიმსის“ პატრონის, ჯერომის ქალი ყოფილიყო. ჩერჩილი დაბადებულა 1874 წელს, მიუღია სამხედრო განათლება, მაგრამ პირველადვე, როგორც ვთქვით, ბედმა არ გაუღიმა და ტყვედ ჩავარდა.

გენერალმა ბოტამ ტყვეები ზურგში, პრეტორიაში გადააგზავნა, საიდანაც ჩერჩილმა იოლად მოახერხა გაქცევა და თავი შეაფარა პორტუგალიის ბოლაზს — ლორენსო მარკოს, აქედან კი, როგორც შემდეგ გავიგე, იგი გადასულიყო ინგლისელების კოლონიაში, ნატალში.

რამდენიმე ხნის მერმე გენერალ ბოტას ბანაკიდან გენერალ დეეტას მოქმედ არმიაში მომიხდა ბრძოლა. ერთ დღეს გენერალს გავუმჟღავნე ვილბუა-დე-მორე-

ლის პოლკში ჩარიცხვის სურვილი. მან მეგზურად გამატანა ერთ-ერთი ბური, რომელმაც შედარებით ჩქარა შიმიყვანა ვილაცის დიდ ფერმაში, სადაც იმყოფებოდა პოლკოვნიკი ვილბუა.

ჩვენი შეხვედრა და გაცნობა იყო გულითადი. პოლკოვნიკმა ვილბუამ ბროსეს[105]) შრომების მეოხებით საქართველოზე ბევრი რამ იცოდა. განსაკუთრებით აინტერესებდა ბაგრატიონების ვინაობა, კერძოდ, პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ბიოგრაფია[106]).

შემდეგ განმიცხადა, რომ მნიშნავდა თავის ადიუტანტად, რამაც ძლიერ გამახარა. ბოლოს მაცნობა ინგლისის მთავრობის მიერ გენერალ რობერტსის გაწვევისა და მის ადგილას გენერალ კიტჩენერის დანიშვნის ამბავი. ვილბუას აზრით, კიტჩენერი მოსვლისთანავე შეეცდებოდა ბურები პარტიზანულ ომიდან გადასულიყვნენ პირდაპირ ბრძოლებზე.

— ეს კი დააჩქარებდა ბურების „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხის გადაჭრას,—დაურთო მან.

ბურებმა იცოდნენ, რომ ახლოვდებოდა ეს წამი და დღეღამე ემზადებოდნენ გამოცდილ გენერლის კიტჩენერის დასახვედრად.

ინგლისელები ყოველგვარ ძალადობას მიმართავდნენ, რათა გაეტეხათ ბურების მხნეობა. დაპყრობილ ადგილებიდან ქალსა და ბავშვებს ერეკებოდნენ არა ტყვეთა ბანაკებში, არამედ პირდაპირ სასაფლაოზე.

ყველაზე საშინელი ადგილი იყო, ე. წ. კიმბერლეი. იქ ალმასის საბადოებში უჭქელ-უსმელ ბავშვებსა და ქალებს საშინელ სიცხეში ამუშავებდნენ. საბადოების

პატრონები მდიდრდებოდნენ საათობით, ბურების დედები, შვილები და ცოლები კი ბუზებივით იხოცებოდნენ.

ბურების მხარეზე გადმოსული შოტლანდიელის სიტყვით, პოლკოვნიკმა ვილბუამ, რომელმაც კარგად იცოდა ინგლისური ენაც, გაიგო, რომ კიტჩენერი ემზადებოდა დელარეის დივიზიისათვის ალყის შემოსარტყმელად და მის გასანადგურებლად. ამ დივიზიაში შედიოდა ჩვენი პოლკიც.

ნათქვამის შესამოწმებლად და კიტჩენერის ჯარის მოძრაობის დასაზვერავად, პოლკოვნიკმა ვილბუამ ჩემი მეთაურობით გამოყო პატარა რაზმი. რაზმში ჩემს გარდა შედიოდა ფრანგი გრაფი ბრედა და ვაჟკაცური გამომეტყველების რამდენიმე შვედი ოფიცერი.

როცა კარგად შეღამდა, გავუდექით გზას. მეგონა, ყოველ ტროპიკულ ბუჩქიდან ვეფხვი გვითვალთვალებდა და ემზადებოდა სასიკვდილო ნახტომის გასაკეთებლად. ხელში შემართული რევოლვერი მეჭირა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ჩვენ ნელა მივიკვლევდით გზას პალმებს შორის გაბარდულ უსურვაზებსა და სათუთ ტოტებიან მცენარეებში. საკუთარი გულისცემა გვესმოდა.

მოვიკრიბე ძალა, რომ ზედმეტ მღელვარებისაგან თავი შემეკავებია და არ ავყოლოდი პირველად ჩასახულ შიშს. აქ ხომ მართლა სანადიროდ არ ჩამოვსულვარ! მე ბურებთან მომიყვანა ჩემმა ადამიანურმა მემ, რათა დავხმარებოდი უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს და, შეძლებისდაგვარად, შემემსუბუქებია მათი ტანჯვა-

შიში და ხიფათი რას მიქვია!

დავალება ზედმიწევნით შევასრულეთ. შოტლანდიელის ნათქვამი დადასტურდა. ახლა ვწევარ და ვისვენებ სახელდახელოდ გაკეთებულ ჩემი კარავის წინ. ქვეშ ხასხასა, სურნელოვანი მოლია. ირგვლივაც ათასგვარი ამბრითაა ჰაერი გაჟღენთილი.

ბრჭყვიალა ფერებიანი ბუზანკლები თავზე დამფრინავენ და განუწყვეტლივ ბზუიან.

ვწევარ გულაღმა და მივჩერებივარ მოკიაფე ვარსკვლავებს. ერთი წუთით უკვე საქართველოში ვარ, ნათესავთა და ახლო მეგობართა შორის, მაგრამ ერთი წუთი— და თვალები მეხუჭება. სულ ცოტახანს მეძინა, კვლავ ფეხზე ვარ. დილის შეტევისათვის ვემზადებით.

სამხედრო თათბირზე გადაწყდა—დელარეის მთელმა დივიზიამ მოულოდნელად დაარტყას ინგლისელებს. საჭიროა მხოლოდ ვიჩქაროთ, რომ ტროპიკულმა მზემ ამოსვლა არ დაგვასწროს და ჩვენი განზრახვა უნებლიედ მტერს არ გაუმჟღავნოს.

ადგილიდან დავიძარით. ირიჟრაჟა თუ არა, დაიგრიალა ჩვენმა ზარბაზანმა. ეს იყო ნიშანი. მთელი დივიზია ელვის სისწრაფით გადავიდა შეტევაზე. მირბიან ქვეითნი, მიჰქრიან ცხენოსნები. კრონიემ ახლა ყველა ზარბაზანს ამოადგმევინა ენა. იგი ყველგანაა. წამლის ბურუსშიაც არტილერისტის გამჭრიახი თვალი ყველაფერს ხედავს.

ჩვენი ზარბაზნების ქუხილისა და ყუმბარების აფეთქებისაგან ინგლისელები უმწეოდ გარბი-გამორბიან, მაგრამ ეტყობა კიტჩენერმა მალე მოიყვანა ისინი გონს

და ახლა მოწინააღმდეგე მხრიდანაც ატყდა საშინელი გრგვინვა.

ჩაღდება დაუნდობელი, სისხლისმღვრელი ბრძოლა. ბურებს სათადარიგოდ ყავთ დე-ვეტა და ბოტა. მაგრამ ბოტა ცოტა შორსაა. არა უშავს, გაჭირვების დროს ის ჩვენთან გაჩნდება. პირველ დღეს, ორივე მხრივ თავ-დადებული ბრძოლა თითქმის უშედეგოთ დამთავრდა.

ვნახოთ, რა მოჰყვება ხვალინდელ დღეს.

ვილბუა ვაჟკაცურად და მოხერხებულად ხელმძღვა-ნელობდა ჰოლკს, რის გამოც მის პოლკს მხოლოდ 100 კაცი გამოაკლდა, მათ შორის ნახევარზე მეტი დაჭრილია.

ჩვენი პოლკი სავსებით ინტერნაციონალურია. ჭარ-ბობენ ლამაზი, წარმოსადეგი და ხალისიანი შვედები. შემდეგ ყველაზე მეტნი არიან ფრანგები. მე დავუმე-გობრდი ერთ ფრანგ გრაფს ბრედას. იგი ჩემთან შედა-რებით მომცრო ტანის იყო, ხმელ-ხმელი.

არიან ჰოლანდიელებიც.

დაღლილობისაგან ხალხს მუხლები ეკვეთება. ლა-პარაკის თავიც არავის აქვს. ბანაკში თანდათან სიჩუმე მყარდება. მარტო პოლკოვნიკი ფხიზლობს თავის კა-რავში. იგი რუკას დაცქერის და მოსალოდნელ ბრძო-ლის ადგილებს აზუსტებს.

ვურჩევ ცოტა დაისვენოს, ყავა დალიოს, მაგრამ არ მიჯერებს. კვლავ რუკას დატრიალებს. მისი დაღვრემი-ლი იერი, მოდუნებული ქცევა რაღაც არ მომწონს და მეც ნაღველი მერევა. უხმოდ გამოვდივარ გარეთ პოლ-კოვნიკის კარავიდან.

საჭიროა ცოტა მაინც თვალი მოვატყუო, რომ დი-

ლას ბედს წელგამართული შევხვდე, თორემ ჩემს დღევანდელ დაღლილობას თუ უძილობაც დაერთო, ხვალ ბრძოლაში შეიძლება სირცხვილი ვჭამო.

ნეტავი ამ ინგლისელებს კისერს მალე მოვტეხავდეთ და ბურების გამარჯვების შემდეგ, სამართლიანობის წინაშე ვალმოხდილი, ჩემს საქართველოში დავბრუნდებოდე, მაგრამ...

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა“.

დასწყევლოს ღმერთმა, ამ საღამოს ეს რა მომდის, ლამის სევდამ დამრიოს ხელი!

„ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა!“

მაგონდება შოთას მეორე ლექსი და მხნეობა მემატება.

ცას გავხედე. მზე კარგა ხნის ჩასულია, მაგრამ ლაჟვარდი ისევ სარკესავითაა. ცისა და მიწის შუა ნისლის გოდოლებია აღმართული—ეს გახურებული მიწიდან ასული ოხშივარია.

დასაწოლი ადგილი მოვნახე. მხართეძოზე ვწვები.

სიჩუმეა.

ფოთოლიც კი არ ირხევა.

ერთბაშად ბნელდება. ცა სრულებით აღარ ჩანს. უვარსკვლავო ღამემ თავის შავი ფრთები გადააფარა სამყაროს.

რული თანდათან მომერია. როცა თვალი გავახილე, ღამე უკვე გაცრეცილიყო. ასე სწრაფად დაბნელება და გათენება მგონი მარტო აფრიკაში იცის.

უცებ ქუხილი გაისმა.

ეტყობათ ბურებმა ბრძოლა დაიწყეს.

ინგლისელთა მხრიდანაც ატეხეს საპასუხო სროლა. მათი ყუმბარები მოშორებით ხან აქ, ხან იქ ეცემიან და ჯერჯეროობით ბურებს ვერ აზიანებენ. ისინი მიმოფანტულად, კარგად გათხრილ სანგრებში სხედან.

კრონიეს მიერ გასროლილი ყუმბარები კი, ეტყობა მტრის განლაგებას ანადგურებს, რადგან მოწინააღმდეგის ცეცხლი მალე შენელდა.

ჩვენც კარგი საფრები გვაქვს, შაგრამ როდემდე უნდა ვისხდეთ აქ გულხელდაკრეფილნი? ირკვევა, ჩვენს პოლკს სათადარიგოთ ინახავენ. საგანგებო ბრძანებამდე შორიდან მაცქერალის როლში უნდა ვიყვნეთ.

საერთოდ, დღეს ბურები რატომღაც აგვიანებენ იერიშზე გადასვლას, რის გამოც ვილბუა ღელავს.

უკვე შუადღე წამოვიდა, მზე ცხარედ იკბინება, ოფლი ღვარად გვდის, წყურვილი გვკლავს, მაგრამ ერთი ჰატარა ნაკადულიც კი არსადაა ახლომახლო, მდინარიდან მეტად შორს ვართ.

კიტჩენერიც თავს იკავებს ბრძოლაში ჩაბმისაგან. როგორც ბოლოს გავიგეთ, მაშველ ჯარს ელოდა თურმე. გარდა ამისა გაეგო, რომ მოპირდაპირე მხრიდან გენერალი ლუი ბოტა მოეშურებოდა დელარეის დივიზიასთან შესაერთებლად. გზას ქარიშხლის ფრთებიანი დე-ვეტა უკვლევდა და ამიტომ კიტჩენერი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა.

რა კარგი იქნებოდა, ბურებს იძულებული გაეხადათ იგი თავის ბუნაგიდან გამოსულიყო, ან იმავე ბუნაგში დასხმოდნენ თავს!

კრონიე კი დარწმუნებული იყო მტერი შეტევაზე თვითონ გადმოვიდოდა და დასახვედრად ყოველმხრივ მზად იყო, მაგრამ გაოცებული დარჩა, როცა მზვერავებმა აცნობეს, რომ კიტჩენერი დამხმარე ძალებს ელის რკინიგზით და მათ მოსვლამდე იერიშზე გადმოსვლას არ აპირებსო.

კრონიემ მყისვე გააგზავნა 1000 კაცი, რათა რკინიგზა დაენგრიათ და მტერი თავის ბაზებისაგან მოეწყვიტათ, მაგრამ როგორც ჩანს, კრონიეს ეს ღონისძიება დაგვიანებული გამოდგა და ინგლისელებმა ამ ბრძოლაში ბურები უკუაგდეს.

ასე უქმად ვიდექით რამდენიმე დღეს.

ვილბუას მკაცრი ბრძანება იყო ჩვენი პოლკის მებრძოლები სანგრების სანახებს არ გაცილებოდნენ, მაგრამ, მე, ჩემი მოუსვენარი ხასიათის გამო, ბურებთან ერთად ლამლამობით მივდიოდი სათარეშოდ.

ერთ ღამეს, ჩემი თაოსნობით, თარეშზე წასულებმა ხელთ ვიგდეთ ინგლისელთა დიდი აღალი, დატვირთული სურსათ-სანოვაგით. აღალში აღმოჩნდა ხორცი, დიდძალი სხვადასხვა კონსერვი, ყავა, შოკოლადი და სხვ.

მეაღალენი და მათი მცველები ტყვედ წამოვიყვანეთ, რომლებიც ირლანდიელები აღმოჩნდნენ, მაგრამ ბანაკში მოყვანისთანავე ბურებმა ისინი ყველანი გაუშვეს.

ჩვენმა მოპოებულმა დავლამ პირდაპირ სულზე მოუსწრო ბურებს, რადგან სურსათ-სანოვაგე უკვე საგრძნობლად აკლდა ყველას.

გახარებულ მებრძოლებს უნდოდათ ჩემი ხელში აყვანა და ჰაერში აბურთავება, მაგრამ ეს არც ისე ადვი-

ლი იყო—8 ფუთზე მეტს ვიწონიდი, თანაც არ მინდოდა ამ ამბავს ვილბუას ყურამდე მიეღწია, ამიტომ ჩემს სანგარში სასწრაფოდ დავბრუნდი.

ბედი მუყალობდა. არა მარტო ამ ფრონტზე, სხვა ადგილებშიაც არა ერთხელ ვყოფილვარ ხან სათარეშოდ, ხან დაზვერვაზე, ხელჩართულ ბრძოლაშიაც მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ამოდენა ტანის კაცს უბრალოდ კანიც არ გამკაწვრია. განსაკუთრებით მეშინოდა ციებცხელება არ შემყროდა, ამ საშინელი სენისაგანაც რაღაც მანქანებით უვნებლად გადავრჩი.

მაგრამ, პირველ ხანეში მაინც, ერთი რამ კი მტანჯავდა, ეს იყო—დღე აუტანელი სიცხე და ღამით მკაცრი სიცივე.

კარგახნის სიჩუმის შემდეგ, ერთ დილას ინგლისელებმა მომაღლო ადგილზე აათრიეს უზარმაზარი საზღვაო ზარბაზანი და აგვიტეხეს სროლა.

ამ გამოწვევას ბურები არ გამოეხმაურნენ. ისინი დიდი შეტევისათვის ემზადებოდნენ და განგებ თავს იმკვდარუნებდნენ.

ინგლისელები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ხაფანგში მომწყვდეულებივით გრძნობდნენ თავს. წინ ჩვენ ვიყავით, სხვა მხრივ პარტიზანთა გაძლიერებული რაზმები იდგნენ, მაშველი ჯარი იგვიანებდა, მათ დარჩენოდათ ან ელოდნათ, ან პირდაპირ შეტევაზე გადმოსულიყვნენ, მაგრამ ამას ვერ ბედავდნენ. ვერ ბედავდნენ იმიტომ, რომ სანგრიდან კრონიეს ამოგდება ადვილი არ იყო. გარდა ამისა, ეშინოდათ გაჩაღებული ბრძოლის დროს უკანიდან, ან გვერდიდან გენერალი ბოტა არ

წადგომოდათ თავს. თანაც უცნობ ადგილებში შესაძლო იყო მოწინააღმდეგის მარწუხებში მოხვედრილიყვნენ, მაშინ მდინარესა და თავიანთ ბაზებს მთლად მოწყვეტილნი, მართლაც დაიღუპებოდნენ.

მაგრამ ეტყობოდა, ლოდინს ისევ იერიშზე გადმოსვლა არჩიეს. კიტჩენერის ბრძანებით, ლორდ მეტუენმა შეაგროვა რაც მის ხელში საშუალებანი იყო, ყოველი სახის იარაღი მოქმედებაში მოიყვანა და დაიძრა ჩვენს წინააღმდეგ.

ინგლისელები, როგორც მზვერავებმა მოიტანეს ცნობები, ღამით კოკისპირულ თავსხმაში წამოსულან, იმ ვარაუდით, რომ განთიადისას ჩვენს პოზიციებს მოდგომოდნენ.

მართლაც, ინათა თუ არა, ისინი მოგვიახლოვდნენ, მაგრამ ინგლისელთა მოწინავე ჯარის სარდალმა უოშოპმა ბრძოლის დასაწყებად ბრძანების გაცემაც ვერ მოასწრო, ბურებმა ერთბაშად დააყარეს ტყვიები.

ტყვიები კალიასავით მიფრინავდნენ და მოწინავე ჯარის რიგებს უმოწყალოდ ცელავდნენ. ბრძოლის დაწყებისთანავე ბურების ტყვიამ იმსხვერპლა თვითონ უოშოპი. ინგლისელებმა ახლა თავის დავლა ცადეს, იმავე დროს ლორდმა მეტუენმა ჯარის ახალ ნაწილს უბრძანა ბურებისათვის აუცილებლად წაერთმია დაკავებული პოზიცია.

ბურები მომაღლო ადგილზე იყვნენ გამაგრებულნი, მტერი კი დაბლობებში მოქმედებდა. როგორც კი ინგლისელები ახალ იერიშზე გადმოვიდნენ, ბურებმა მოულოდნელად საპასუხო შეტევა დაიწყეს. ბრძოლაში ჩვენი პოლკიც ჩაება და შეერთებული ძალით მტერს პირ-

დაპირ მუსრი გავავლეთ. ვინც გადარჩა, ზოგი ნებით დაგვნებდა ტყვედ, ზოგი დავიმორჩილეთ, ზოგიც გაიქცა. ტყვეებმა ვრცლად გადაგვიშალეს ინგლისელების გეგმები. ბურებმა ტყვეები დააპურეს და სალამოს გაუშვეს, რაც ყოვლად მიზანშეუწონელი იყო. ასეთი ზედმეტი ქრისტიანული დამოკიდებულება მტრისადმი, ბოლოს სანანებლად გაუხდათ ბურებს, მაგრამ გვიანლა იყო.

სალამოს გამოჩნდა მტრის არტილერია, რომლის დაგვიანება ჩვენთვის გაუგებარი იყო. კრონიემ მტრის არტილერიას განლაგებაც არ აცალა, მათ ადგილსამყოფელზე ქვა-ქვაზე დაადუღა.

ინგლისელებმა უკან დაიხიეს. ჩვენ ფეხდაფეხ მივდევდით. უკვე მეზობელ ორანჟის რესპუბლიკის იმ ადგილს მივაღწიეთ, რომელსაც კიმბერლეი ეწოდება და სადაც ალმასის საბადოები იყო. ამ საბადოებს ინგლისელები განსაკუთრებით იცავდნენ.

ბურები დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდნენ ჩვენი პოლკის მეთაურის ვილბუა-დე მორელის აზრს. მან ურჩია ბურებს იერიში მიეტანათ ქალაქ ლედი-სმიტზე, სადაც თავმოყრილი იყვნენ ინგლისელების მთავარი ძალები. იქვე იყო მათი ბაზაც.

კრონიე ახლა კიმბერლეის მიდამოებში იბრძოდა და ჰქმნიდა ორანჟის მებრძოლთა მტკიცე ბირთვს, ჩვენ კი ვილბუა-დე-მორელის სარდლობით ვიბრძოდით ლედი-სმიტის სანახებში. ქალაქ ლედი-სმიტს იცავდა ინგლისელი გენერალი უაიტი.

ქალაქის მისადგომებთან პირველი ფლანგის გასამაგრებლად ინგლისელებმა გაგზავნეს პოდპოლკოვნიკი

კარლსტონი. მისი რაზმი დაიძრა ღამით. დილას დაინახეს, რომ მათ რაზმს გარს ერტყმიან ბურები გენერალ ჟუბერის სარდლობით.

გაჩაღდა ცხარე ბრძოლა, რაც ინგლისელთა დამარცხებით დამთავრდა.

ეს იყო გენერალ ჟუბერის უკანასკნელი ბრძოლა. იგი ამის შემდეგ მალე მოკვდა. ბურებისათვის ეს დიდ დანაკლისს წარმოადგენდა. ჟუბერი შესანიშნავი ადამიანი და მეტად ნიჭიერი მხედართმთავარი იყო.

იგი ვილბუას მეგობრობდა.

მეგობრის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად ვილბუა პრეტორიაში წავიდა და მეც თან წავყევი.

გენერალი დაკრძალული დაგვხვდა.

მივედით მის ქვრივთან სამძიმრის სათქმელად. დიდი გემოვნებით მოწყობილ სახლში იჯდა შავებით მორთული აზიზი აღნაგობის ქალი, რომელსაც სასიამოვნო სახის იერი ჰქონდა. იგი არც მოთქვამდა, არც ჩუმად ტიროდა. დამწუხრებული კი ძლიერ იყო.

ქვრივს გარს ეხვივნენ სამხედრო უფროსთა ცოლები, რომელთა შორისაც თავის სილამაზით გამოირჩეოდა დე-ვეტას მეუღლე.

ზახვის ახალგაზრდა ქალმა ვერცხლის სინით მარდათ ჩამოგვირიგა ყავა.

მამაკაცებს მოგვიტანეს მაგარი სასმელიც. აფრიკაში ჩასვლამდე მე მას ახლოსაც არ ვეკარებოდი, აქ კი, ფრონტზე ისე შევეჩვიე, რომ ცივ ღამეებში უიმისოდ დავალების შესრულება მიჭირდა.

ცერემონიალის შემდეგ, დაუყოვნებლივ დავტოვეთ პრეტორია და მივაშურეთ ჩვენს პოლკს.

* *

ომი გრძელდებოდა. კიტჩენერი უმწეო იყო შეესრულებია თავისი დაპირება ბურების სწრაფად დამარცხების შესახებ. ბურები თავგანწირულად იცავდნენ თავიანთი რესპუბლიკის ყოველ მტკაველ მიწას. ინგლისელებს კი გადაწყვეტილი ჰქონდათ უთუოდ ხელში ჩაეგდოთ ეს მდიდარი ქვეყანა, რისთვისაც მზად იყვნენ სასაფლაოდ გადაექციათ მთელი ტრანსვაალი.

კიტჩენერი თხოულობდა ჯარის ახალ-ახალ ნაწილებს. ამ ჟამად მის განკარგულებაში მყოფი ჯარი საგრძნობლად შეთხელებული და მოქანცული იყო ბურების მოთარეშე რაზმებთან განუწყვეტელ ბრძოლებში.

დიახ, კიტჩენერს ეგონა, ბურებს, როგორც „მეამბოხეებს“, მალე მოუღებდა ბოლოს საექსპედიციო კორპუსით, მაგრამ ვარაუდში მოტყუვდა. ამიტომ ინგლისი იძულებული გახდა გამოეგზავნა ახალი არმიები.

ინგლისიდან ჯარის გადმოყვანას 6 კვირას უნდებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში მგზავრობით დაღლილნი და ზღვის ავადმყოფობით ღონეგამოლეულნი, შეუძლებელი იყო ხმელეთზე გადმოსხმისთანავე ჩაებათ ომში. ბურები კი სულისმოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ მოულოდნელი თავდასხმებითა და პარტიზანული თარეშებით.

ინგლისელებს უხდებოდათ უცნობ გარემოცვაში და შეუჩვეველ ბუნების პირობებში ბრძოლა. გარდა ამისა, ისინი დაქირავებულნი იყვნენ და იბრძოდნენ სხვის ქვეყანაში, ბურები კი თავის ნებით იბრძოდნენ თავისივე ქვეყნის დასაცავად. ეს გარემოება ბურებს ენერგიას

უორკეცებდათ და შეუძლებელს ხდიდა მათი მხნეობის გატეხვას.

ბურებს ერთი უპირატესობაც ჰქონდათ, ისინი შესანიშნავი ცხენოსნები იყვნენ. ცხენებიც ადგილობრივ პირობებთან შეგუებული და კარგად დაურვებული ყავდათ.

ინგლისელების ცხენები კი ყოველივე ამას მოკლებულნი იყვნენ. ამავე დროს ცხელ ჰავის გარდა, მათ ცხენებს უკანასკნელ ძალას აცლიდნენ შხამიანი ბუზები, ე. წ. „ცეცე“, რომელთა მოგერიებას თავიანთი შეჭრილი კუდებით ისინი ვერ ახერხებდნენ.

ასეთ პირობებში მტრის კიდევ უფრო შესავიწროებლად, ბურები საჭიროების და მიხედვით, ადგენდნენ რაზმებს, რომელთაც ეწოდებოდათ „კომანდო“. ეს რაზმები, პარტიზანების მსგავსად და პარტიზანებთან შეთანხმებით, მოსვეხებას არ აძლევდნენ ინგლისელების ჯარის ნაწილებს, იმავე დროს იგივე რაზმები ებრძოდნენ შინაურ მტრებსაც.

ზოგჯერ ინგლისელები აქა-იქ ახერხებდნენ მომხრეების შოვნას. ინგლისელების მიერ გაბრიყვებული სულმოკლე ადამიანები ბოლოდროს არც თუ ისე ცოტანი იყვნენ. ისინი გადადიოდნენ მტრის ბანაკში და საბოლოოდ, პატარა დახმარებას როდი უწევდნენ მას. ბურები თუ ტყვეებს სათნოთ ეპყრობოდნენ, ძოღალატეებს როგორც კი ხელში ჩაიგდებდნენ, მაშინვე ხვრეტდნენ.

ერთხელ გენერალ ლუი ბოტასთან გამოცხადდა ინგლისელების მიერ გადაბირებული ბური, როგორც პარლამენტიორი და კიტჩენერის სახელით შეთავაზა ზავი.

გაცეცხლებულმა ბოტამ იგი იქვე თავისი ხელით დახვრიტა.

კრონიეს ჯარი 7—8 ათასი კაცის რაოდენობით, როგორც ვთქვით, უმთავრესად განლაგდა კიმბერლეის გარშემო. დელარეი კი დარჩა ლორდ მეტუენის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად. კრონიემ ვილბუას პოლკი თავის მოქმედების არეში გადაიყვანა, საჭიროების დროს ღია ბრძოლაში გამოსაყენებლად.

დელარეიმ სასტიკად დაამარცხა ლორდ მეტუენის ჯარი და თვითონ მეტუენი ტყვედ ჩაიგდო. მაგრამ მანვე იგი მალე გაანთავისუფლა.

ინგლისელებს არც სხვა ფრონტზე ჰქონდათ სახარბიელოდ საქმე. ამ გარემოებამ, აგრეთვე ედუარდ VII [107]) სურვილმა, რომ მისი გვირგვინის კურთხევის დღისათვის ბურებთან ომი დამთავრებულიყო, ინგლისის მთავრობა აიძულა საზავო წინადადებით მიემართა ტრანსვაალის და ორანჟის რესპუბლიკებისათვის. ორივე რესპუბლიკა მყისვე დათანხმდა. დაიწყო მოლაპარაკება.

ბურებმა წარადგინეს სამი პირობა:

1) ორივე რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

2) ომისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურება ბურებისათვის.

და 3) ამნისტიის გამოცხადება, რომლის ძალითაც არ უნდა დასჯილიყვნენ კაპსკის კოლონიის მცხოვრები აფრიკელები ინგლისის წინააღმდეგ აჯანყების გამო.

ინგლისის მთავრობა არც ერთ ამ პირობას არ დაეთანხმა.

ვინაიდან ევროპიდან დახმარებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, თანაც ინგლისელებმა აფრიკაში ნახევარ მილიონამდე ჯარს მოუყარეს უკვე თავი, ბურებმა არჩიეს დათმობაზე წასულიყვნენ. ისინი დათანხმდნენ უარი ეთქვათ დამოუკიდებლობაზე, თუ მათ ექნებოდათ ფართო უფლებებიანი ავტონომია. ამრიგად ჩაისახა ტრანსვაალის, ორანჟის, ნატალის და კაპსკის კოლონიის სამხრეთ-აფრიკის შეერთებული შტატების იდეა. ამ შტატებს უნდა ჰქონოდა თავის კონსტიტუცია და პარლამენტი, ინგლისის უშაღლესი მფარველობის ქვეშ.

სამაგიეროდ ბურებისათვის ზარალის ასანაზღაურებლად ინგლისმა იკისრა 10 მილიონი სტერლინგის გაღება, აგრეთვე კაპსკის კოლონიისათვის ამნისტიით დანაშაულის პატიება.

მაგრამ, ვინაიდან მოლაპარაკება გაჭიანურდა და ამ მოლაპარაკების დროს დროებითი ზავი არ ყოფილა დადებული, ომი კვლავ გრძელდებოდა. ინგლისელები, განსაკუთრებით დევნიდნენ დელარეის, მაგრამ დელარეის მარწუხებში მოქცევა არც ისე ადვილი იყო.

მან ერთ დღეს ბრწყინვალედ დააღწია თავი გარემოცვის საშიშროებას. იმავე დღეს, საღამოს დელარეიმ დაამარცხა მტრის საკმაოდ ძლიერი მეორე რაზმი.

აღმოსავლეთ ტრანსვაალიდან ნატალისაკენ სწრაფად მოეშურებოდა ლუი ბოტა.

ამავედროს კიტჩენერი ცდილობდა ედუარდის გვირგვინის კურთხევის დღისათვის ბურებთან ომი გამარჯვებით უთუოდ დაემთავრებია. ამისათვის მან აამოქმედა მთელი ჯარი და ყოველგვარი სახის იარაღი. იმავე

დროს მან ბურების წინააღმდეგ მიმართა ისეთ ველურობას, რაც ატილასაც[108]) არ ჩაუდენია. კიტჩენერმა ბოლო ხანებში, ბურებზე შეტევისას წესად შემოიღო ქალებისა და ბავშვების წინ გამძღვარება. როცა ასეთი საფარით ბურებს მტერი მიუახლოვდებოდათ, ისინი იძულებული იყვნენ პოზიცია დაეთმოთ, მაგრამ ახლა სხვა პოზიციაზე მაგრდებოდნენ, ან მტერს თავს დაუვლიდნენ და სამაგიეროს ერთი-ორად აზღვევინებდნენ. ამას ბურები უფრო თარეშით ახერხებდნენ და ამიტომაც ამ ხერხს ხშირად მიმართავდნენ.

ინგლისელებმა მთელი ფრონტი ბლოკჰაუსებით[109]) დასერეს, მაგრამ მათ შორის დე-ვეტა და დელარეი მაინც უვნებლად დაჰქროდნენ. ისინი ხან აქ, ხან იქ ზედიზედ ანგრევდნენ რკინიგზებს, რაც ინგლისელებს მეტად უძნელებდა ომის წარმატებით წარმოებას.

კიტჩენერი დარწმუნდა, რომ ბურების ცალ-ცალკე რაზმების დევნა და მათი გარემოცვაში მოქცევის სურვილი ამაო იყო, ამიტომ გადაწყვიტა დაეწყო გაშლილი ფრონტით ღია თანმიმდევრული შეტევა. კიტჩენერმა დაიწყო მზადება. ვემზადებოდით ჩვენც, რადგან უკვე ვიცოდით მისი განზრახვა.

* *

ჟუბერის სიკვდილის შემდეგ, მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ლუი ბოტა.

თავის გმირული ბრძოლებით, ბურებმა დიდათ დაეზარალეს ინგლისელები, რომლებსაც უკანასკნელად ამ

პატარა ხალხის წინააღმდეგ გამოიყვანეს დიდძალი საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი.

მარტო 20.000 კაცი გამოყოფილი იყო დე-ვეტას შესაპყრობად. დე-ვეტამ კი, თავის მხრით, ერთხელ ლამის ტყვედ ჩაიგდო თვითონ კიტჩენერი.

კიტჩენერმა დაიწყო შეტევა ყველა ფრონტზე. პირველ რიგში მან 40.000-იანი არმია დაძრა კრონიეს წინააღმდეგ და აიძულა იგი უკან დაეხია. კრონიე უკან იხევდა ბრძოლით. ბოლოს იგი გამაგრდა ქალაქ ბოსგოფის კედლებთან. აქ 9 დღეს გაგრძელდა სასტიკი ბრძოლა. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ჩვენი პოლკის ნახევარზე მეტი.

ამავე ბრძოლაში დაეცა ჩვენი პოლკის შესანიშნავი სარდალი ვილბუა-დე-მორელი.

ვილბუა ყუმბარის ნატეხით მძიმედ დაიჭრა თავში. იგი იწვა ჩემს მკლავზე და თანდათან ვაჟკაცურ სულს ლევდა. ირგვლივ კი კვლავ გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა, ზარბაზნების ქუხილი აზანზარებდა ცასა და მიწას. ვილბუა კვდებოდა და წუხდა, რომ აღარ შეეძლო თავის პოლკის უკანასკნელ ჯარისკაცამდე ებრძოლა.

მას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს გონი. როცა მთლად შეუწყდა მაჯისცემა, უკანასკნელად ამოილუღლუღა: „საფრანგეთი“, და სამუდამოთ დახუჭა ერთ დროს მგზნებარე და სიცოცხლით სავსე თვალები.

ყველა მეტად დაამწუხრა მისმა სიკვდილმა. მე კი ვილბუას სიკვდილს განვიცდიდი, როგორც ღვიძლი მამის დაკარგვას. დიახ, ის იყო ჩემთვის არა მარტო მამა,

არამედ ძმა, მეგობარი, რაღაც კიდევ უფრო მეტი. ამ შესანიშნავ მებრძოლთან და ადამიანთან მე გვერდით-გვერდ გავატარე თითქმის ორი წელიწადი, მერე და როგორი ორი წელიწადი! ერთი დღეც არ გვქონია ისეთი, რომ ქარცეცხლში არ ვყოფილიყავით.

არა ნაკლებ შეაძრწუნა მისმა სიკვდილმა კრონიეცვილბუა იყო კრონიეს ნამდვილი მარჯვენა ხელი ბრძოლაში და საუკეთესო მრჩეველი ბრძოლის დაწყების წინ. და ახლა, როცა არა თუ კრონიეს, არამედ მთელი რესპუბლიკის ბედი ბეწვზე ეკიდა, ვილბუა მას გვერდით აღარ ყავდა.

სასტიკი ბრძოლა გრძელდებოდა.

დე-ვეტა და ბოტა ამაოდ ცდილობდნენ კრონიეს გამოხსნას. ინგლისელების ურიცხვ ჯარს იგი მომწყვდეული ყავდა ორმაგ რკალში. ბურები იხოცებოდნენ ვაჟკაცურად. მთელი არემარე აივსო გვამებით. მათ დასამარხად არავის ეცალა. მცხუნვარე მზისაგან გახრწნილი ნეშტები წამლავდა ჰაერს და სუნთქვა ჭირდა.

იფეთქა ეპიდემიამ.

ამავე დროს გამოგველია არა მარტო ტყვია-წამალი, არამედ სურსათ-სანოვაგეც. ჩვენივე ხელით ვკლავდით ჩვენს ერთგულ ცხენებს და მათ ხორცს ვწვავდით მოვარვარე მზეზე. მე ძალისძალად ვულაპავდი ნახევრად უმსა და სავსებით უმარილო ხორცის ნაჭრებს. ზოგჯერ ამიტყდებოდა საშინელი პირღებინება და დედის რძეც აღარ შემრჩებოდა.

შიმშილზე უფრო გვტანჯავდა წყურვილი.

მდინარეს მოწყვეტილი ვიყავით. წყალსადენის მი-

ლები კი, სადაც იყო, ინგლისელებმა გადაგვიჭრეს, თანაც სწორედ ამ დროს ტროპიკული სიცხე მძვინვარებდა და რაც გარემოცვაში მოვყევით, ერთხელაც არ მოსულა წვიმა.

ჩვენს მდგომარეობაზე უფრო საშინელი იყო ჩვენთან ერთად გარემოცვაში მოყოლილ ლტოლვილ ბავშვებისა და ქალების მდგომარეობა. ჩონჩხად ქცეული ბავშვები ჭერეხივით ეყარნენ ყველგან, ხოლო მომაკვდავი ჩვილი ბავშვები შეშლილებივით ეჭირათ გამხდარ ხელებში ძუძუ გამშრალ დედებს. დასუსტებული ბავშვები კატის კნუტებივით კნაოდნენ.

მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთში ვიყავი.

კრონიემ ვეღარ გაუძლო ამდენი ხალხის წამებას. იგი იძულებული გახდა მტერს დანებებოდა.

დავყარეთ იარაღი.

კიტჩენერის ჯარმა დაიკავა ჩვენი პოზიციები. ტყვედ ჩავარდნილები ჯგუფ-ჯგუფად გაგვიყვანეს ბრძოლის ველიდან.

ინგლისელებმა განაგრძეს შეტევა.

ბურებმა კი ყველა ფრონტზე დაიწყეს უკან დახევა.

მაშ ასე, მე უკვე ტყვე ვარ. ტყვეების ერთი ნაწილი გაგზავნეს წმ. ელენეს კუნძულზე [110]) ნაწილს ყოველგვარი სამსჯავროს გარეშე, რაღაც მოსაზრების გამო დახვრეტა მიუსაჯეს. მათ შორის ვიყავი მეც.

ყველაზე უფრო ის მაწუხებდა, რომ 2 წლის განმავლობაში სამართლიანობისათვის ბრძოლისა და გმირი ხალხის რესპუბლიკის დაცვისათვის ათასგვარ ტანჯვა-

გამოვლილი მტერს უნდა დავეხვრიტე, როგორც ავაზაკი.

ეს მიშფოთებდა სულს მხოლოდ.

მერმე თანდათან აპატიამ შემიპყრო. ახლა ჩემთვის სულ ერთი იყო ერთი საათის, თუ ერთი დღის შემდეგ დამხვრეტდნენ.

უკვე აღარაფერს ვაქცევდი ყურადღებას.

დაღამდა. ურიცხვი ვარსკვლავები კვლავ აკიაფდნენ სუფთა ცაზე. თოფ-ზარბაზნების საშინელი ჭექა-გრგვინვის ნაცვლად, ახლა ირგვლივ გულისგამწყალებელი სიჩუმე იდგა.

ვეგდე მიწაზე და უხალისოდ შევცქეროდი მოციმციმე ვარსკვლავებს.

გამახსენდა საქართველო, ჩემი სახლ-კარი მუხრანში, მოხუცი დედა... ნათესავები... მეგობრები...

ერთხელ ვილბუამ მითხრა, რომ ფრანგულ, ხშირად ამერიკულ გაზეთებშიაც შენზე ბევრს წერენო, ალბათ, ახლა ჩემი დახვრეტის ამბავსაც გამოაქვეყნებენ. თუ ეს ამბავი რუსულმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს და მათი მეოხებით დედაჩემმა გაიგო ჩემი ცხოვერების ასეთი საეალალო ბოლო, ეს იქნება პირდაპირ საშინელება მოხუცისათვის!

დედის მოგონებამ რაღაცნაირად გული შემიქანა. გულის ჯიბიდან ამოვიღე მშობლის სურათი, რომელსაც მუდამ თან ვატარებდი და მთვარის შუქზე დავცქეროდი, მისი სახით კვლავ თვალწინ წარმომიდგა შორს დარჩენილი ჩემი საყვარელი სამშობლო.

მთელი ღამე რული არ მომკარებია. როგორც კი

ირიჟრაჟა, ყველანი ფეხზე წამოგვყარეს. 100 კაცი ვიქ-ნებოდით. გაგვიყვანეს და ქალაქის კედლებთან გაგვამ-წკრივეს. თითოეულ ჩვენთაგანს პირდაპირ თოფმომარჯ-ვებული თითო ინგლისელი დაგვიყენეს.

მე მაბრაზებდა ინგლისელ ოფიცრების ნელი, გულ-გრილი მოქმედება, რის დროსაც ისინი განსაკუთრებულ პუნქტუალობას იჩენდნენ ჩვენი დახვრეტის წინ. ეს პროცედურა აღმაშფოთებელი იყო იმიტომ უფრო, რომ ისინი დასჯას უპირებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც იცავდნენ თავიანთ რესპუბლიკას და სამართლიანობას.

დასახვრეტად გამზადებულთა შორის იყვნენ ახალ-გაზრდა და ხანდაზმული ბურებიც, რომლებიც ამაყად თავაწეულნი იდგნენ მოღერებულ ლულების წინ.

მე მათ შორის ვიყავი.

ყველასაგან გამოვირჩეოდი ჩემი არაჩვეულებრივი სიმაღლისა და იერის გამო.

ვიდექი უძრავად. ხელში კვლავ დედის სურათი მე-ჭირა—სიკვდილის წინ მინდოდა კიდევ ერთხელ დამე-ხედა მისთვის.

ერთმა ოფიცერმა შორიდან თვალი გამიშტერა, მერ-მე ახლო მოვიდა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ბოლოს ხელში სურათი შემნიშნა და გამომართვა.

რაღაც გაკვირვება დაეტყო.

დედაჩემს ქართული ძველებური ყურთმაჯებიანი კა-ბა ეცვა და ჩიხტი-კოპი ეხურა.

— ვინ არის ეს ქალი ასე უცნაურად მორთული?— მკითხა მან.

— ჩემი დედაა!—ფრანგულად ვუპასუხე მე.

— დედა? შენ თვითონ ვინ ხარ?

— ქართველი! გვარად ბაგრატიონი!

ამის გაგონებისთანავე ოფიცერმა მყისვე უკან დაიხია, მერმე ბრძანა ჩემი მწკრივიდან გამოყვანა და სადღაც გაიქცა. კი არ წავიდა—გაიქცა.

მალე იქაურობას მომაშორეს.

წამიყვანეს და ჩამაგდეს ქალაქის ხაროში, რომელსაც ისინი სატუსაღოს ეძახდნენ, მაგრამ ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. საკანში მხოლოდ ერთ პატარა ჭუჭრუტანიდან შემოდიოდა დღის სინათლე. პირველ ხანებში ვერაფერი გავარჩიე, მერმე, როცა თვალი თანდათან შევაჩვიე სიბნელეს, საშინელი სურათი წარმოიდგა: ქვის იატაკიან საკმაოდ დიდი ოთახის ნესტიან კედლებზე მიჯაჭვული იყვნენ ტუსაღები, რომელთაც ადამიანის აღარაფერი ეტყობოდათ. ჩონჩხად ქცეულებს გაბურძგვნილ თმასა და წვერში მარტო თვალებიღა მოუჩანდათ.

დაკონკილი ძველმანები სანახევროდაც ვერ უფარავდათ ჭუჭყიან, გაძვალტყავებულ სხეულს.

კარგახანს ვიდექი სიზმარში მყოფივით და ხან ერთს მივჩერებოდი, ხან მეორეს, ბოლოს ერთბაშად ძილი მომეკიდა, დავწექი ჩემს ნარზე, მაგრამ ბაღლინჯოები მაშინვე დამესია და წათვლემის საშუალებაც არ მომცეს.

მთელი ღამე წამებით გავატარე. დილას ავტეხე არაადამიანური ხმით ყვირილი. ვყვიროდი, რომ მე სამხედრო ტყვე ვარ და არა ყაჩაღი.

ყვირილი მანამ არ შევწყვიტე, ვიდრე ციხის მესვეურებს ხმა არ მივაწვდინე. როგორც იყო, გაიღო საკანის

კარი, შემოვიდა ორი შეიარაღებული ჯარისკაცი და გამიყვანეს. უცებ აღმოვჩნდი ნათელ, რაც მთავარია, შედარებით სუფთა ოთახში.

მაშინვე დავეცი იქვე მდგარ ტახტზე, მკლავზე კარგად თავის დადებაც ვერ მოვასწარი, რომ ღრმად ჩამეძინა. მეორე დილამდე გვერდი არ მიცვლია, მორალურად და ფიზიკურად მოქანცვის გამო, მკვდარივით ვეგდე.

ზედამხედველმა მითხრა, რომ ვერაფრით ვერ გამაღვიძეს თურმე.

მომიტანეს საკმაოდ ნოყიერი საუზმე და ერთი ჭიქა არაყისებური რაღაც მაგარი სასმელი, თავი კვლავ მხნედ ვიგრძენი.

საუზმის შემდეგ, იმავე ზედამხედველმა გამომიცხადა, რომ კიტჩენერს უნდა წარვდგომოდი. და აი, 3 დღის ტყვეობის შემდეგ, შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა წამიყვანეს ინგლისის არმიის მთავარსარდალთან.

გაიღო კარი და ადიუტანტმა კაბინეტში შემიხმო.

მაღალჭერიან, ლამაზად მორთულ ფართო ოთახში განიერ მაგიდასთან იჯდა კიტჩენერი. ჩემი შესვლისთანავე ადგა, მაგიდას გამოცილდა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ.

ზურგზე ხელებ დაწყობილი მომიახლოვდა.

მეგონა მრისხანე იუპიტერის [111] მზერას მესროდა, მაგრამ ნაცვლად ამისა, თავაზიანად მომაპყრო თავისი უცნაური თვალები, რომლებიც ქამელეონივით [112] იცვლიდნენ ფერს. პირველად მე ისინი ჭროღა მეჩვენა, ერთი წუთის შემდეგ კი დაფანჩულსა და მოშავო წარბებს ქვეშ დავინახე მუქი წაბლისფერი გუგები.

კიტჩენერი შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ ენას, ყოველგვარი კილოს გარეშე ლაპარაკობდა, რაც ინგლისელთა შორის იშვიათი შემთხვევაა.

ის იყო დაბალი, ჯმუხი. მე წელამდეც ვერ მწვდებოდა და ძალაუნებურად მაღლიდან დავყურებდი.

რამდენიმე წუთს უხმოდ ვუცქეროდით ერთმანეთს.

ჩემს წინ იდგა კაცი, რომელიც ასე მხეცურად მუსრს ავლებდა ბურებს და იმავე დროს წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდა მათი ბავშვებისა და ცოლებისადმი.

მან მკითხა:

— თქვენ ბაგრატიონი ხართ?

ჩემი დადებითი პასუხის შემდეგ, განაგრძო:

— რატომ იბრძვით ჩვენს წინააღმდეგ?

— აფრიკაში მე მოვედი, როგორც მოგზაური. ჩემი ჩამოსვლა დაემთხვა ძლიერი ინგლისის მიერ პატარა ხალხის წინააღმდეგ ომის გამოცხადების ამბავს. მაშინვე გადავწყვიტე ჩავმდგარიყავი ბურების რიგში, რადგან ბურების ბრძოლა მე მიმაჩნია საერთოდ თავისუფლებისათვის ადამიანების ბრძოლად. ყველა ხალხს უნდა შეეძლოს თავისუფლად იცხოვროს ამ ქვეყანაზე. ამისათვის ხალხი არ უნდა ისჯებოდეს.

კიტჩენერის თვალებში ახლა სხვა ფერის შუქმა გაიელვა, მაგრამ თავი შეიკავა და თავიდანვე აღებული კილოთი მოკლედ მითხრა:

— ჩვენ ვხვრეტთ მეამბოხეებს. თქვენ კი, როგორც სამხედრო ტყვე, ინგლისის მთავრობის განკარგულებით, იგზავნებით წმ. ელენეს კუნძულზე,—ეს თქვა და შებრუნდა.

ადიუტანტმა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში კარებთან უძრავად იდგა, ტალანში გამიყვანა და ჩემი თავი კვლავ შეიარაღებულ ჯარისკაცებს გადასცა.

ბურები კიტჩენერს ეძახდნენ მახრჩობელა გველს. მათმა სისხლმა, ბური ქალების და ბავშვების ცრემლმა ბოლოს უწია მას: იგი დაიღუპა 1916 წელს, როცა სამხედრო გემით ინგლისიდან რუსეთში მიემგზავრებოდა.

* *

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე გემში ვიყავი, მაგრამ არა როგორც თავისუფალი მოგზაური, არამედ როგორც სამხედრო ტყვე. თავისუფლებასთან ერთად დავკარგე ჩემი წითელი სათვალეებიც, თუმცა მე იგი აღარ მჭირდებოდა, რადგან ზღვას სულაც ვერ ვხედავდი: ზღვის ავადმყოფობით გასავათებული სადღაც გემის ჯურღმულში ვიყავი მიგდებული.

არც კი გამიგია რამდენი დღე ვიმგზავრეთ და როდის მივედით წმ. ელენეს კუნძულთან. როცა კუნძულის მთავარ ქალაქის ჯემსტოუნის ნავთსადგურში გემმა ღუზა ჩაუშვა, ჩემმა თანამებრძოლებმა ცოცხალმკვდარი ძლივს გადამიყვანეს ხმელეთზე. საშუალება მოგვცეს დაგვესვენა. ცოტა დაგვანაყრეს კიდეც, მერმე ჩაგვაყენეს მწკრივში და წაგვასხეს ტყვეებისათვის განკუთვნილ ბანაკისაკენ, რომელიც ქალაქიდან კარგა შორს აღმოჩნდა.

ქალაქში გზად გავლისას, ჯემსტოუნი საკმაოდ კეთილმოწყობილად მოგეჩვენა: მთავარ ქუჩაზე, ერთი სტილისა და მოყვანილობის სახლები, მაღაზიები.

მივდიოდით აჩქარებით, რომ დაღამებამდე მივსულიყავით ბანაკში.

მართლაც, დაბინდებამდე მივედით ბანაკში, რომელიც მოწყობილი იყო მთიან ადგილას. მე მომცეს გვარიანი კარავი, რომელშიაც ცარიელი ტახტის მეტი არაფერი იყო.

ტყვეებს სასტიკად აკრძალული გვქონდა ბანაკის ფარგლებს გავშორებოდით. ყველგან გუშაგები იდგნენ. მაგრამ სად უნდა გავქცეულიყავით? ირგვლივ უსაზღვრო ოკეანე გვერტყა.

შიშველ კლდეებზე ატლანტიკის ოკეანეს ტალღების ტლაშუნი სევდას მგვრიდა. იმავე დროს მოტორტმანე ზღვის ზედაპირზე, დილით ამომავალი მზის შუქის და სალამოობით დაისის მეწამული ფერის ციაგი თვალს მიხარებდა.

ხშირად ვიჯექი მარტოდ-მარტო კლდის ქიმზე და გავცქეროდი უსაზღვრო მოციმციმე სივრცეს.

ალბათ, არა ერთხელ უცქერია ამ დიდებულ სურათისათვის ნაპოლეონს თავის მარტოობის ჟამს.

ნაპოლეონის სასახლე, რომელიც უფრო ჩვეულებრივ სახლს წარმოადგენდა, აგებული იყო კუნძულის მეორე მხარეს, მდიდარ ტროპიკულ მცენარეთა შორის.

ნაპოლეონმა, როგორც ტყვემ, თავის მცირე ამალით აქ დაჰყო 1815 წლიდან 1821 წლამდე, აქვე გარდაიცვალა, აქვე იქნა დამარხული, შემდეგ ინგლისელების ნებართვით, გადაასვენეს პარიზში.

კუნძულზე ორი თვის ყოფნის შემდეგ მე და გრაფ ბრედას ნება დაგვრთეს გვენახა ის სახლი, სადაც ნა-

პოლეონმა გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. ნება დაგვრთეს, აგრეთვე ჩვენი გვარები ჩაგვეწერა მნახველთათვის განკუთვნილ წიგნში.

ნაპოლეონისეულ სახლის ერთ ნაწილში ცხოვრობდა საფრანგეთის ელჩი, მეორე ნაწილი წარმოადგენდა მუზეუმს, სადაც იდგა ნაპოლეონის საუცხოო ბიუსტი.

ერთ დროს რუსეთის ველებზე მას ებრძოდა პეტრე ბაგრატიონი, ახლა ცხრა მთასა და ცხრა ზღვის გადაღმა მისი პატარა ბიუსტის წინაშე ვიდექი მე, მეორე ქართველი, და ცივ ქვად ქცეულ სარდალს შევყურებდი!

გამახსენდა ნაპოლეონის მამელუკიც.[113]

მართლაც, საოცარია ცხოვრება!

...ბურებთან ყოფნის დროს, მე ვწერდი დღიურებს, მაგრამ ინგლისელებმა ტყვედ წაყვანის დროს ჩამომართვეს. ალბათ, მისი ერთი ფურცელიც აღარაა ახლა სადმე, შეიძლება შემორჩენილიც იყოს, ვინ იცის! კუნძულზე კი რაიმეს წერის ნებას არ გვაძლევდნენ. შეგვეძლო ოჯახში გაგვეგზავნა მხოლოდ ერთი ღია ბარათი, თვეში ერთხელ, ისიც სამხედრო ცენზურის დასტურის შემდეგ.

ერთხელ გადავწყვიტე დედისათვის ქართულად მიმეწერა წერილი, მაგრამ ეს ბარათი უკანვე დამიბრუნა კუნძულის ხელისუფლებამ.

ბანაკში ოფიცრები ცალკე გამოყვეს, მეც მათ ჯგუფს მიმაკუთვნეს, ჯარისკაცები კიდევ ბანაკის მეორე მხარეს დააბინავეს.

როგორც ვთქვი, კარავი კარგი მქონდა, მაგრამ საკვებით მოუწყობელი იყო.

ტრანსვაალიდან ჩამომყვა ბაჯაღლო ოქროს მონეტები, რომელზედაც ამოტვიფრული იყო კრიუგერის სახე, მაგრამ ამ ფულს ვიზოგავდი საჭვლისათვის. ბოლოს, იძულებული გავხდი, ამ ფულიდან შემეძინა ცოტა რამ. პირველ რიგში ვიყიდე პურის ფქვილის ცარიელი ტომრები, გავტენე თივით და ნაალად დავიგე. ეს ჩემი მოუსვენარი თავიც თივის მუთაქაზე მედვა.

კომენდანტმა დამითმო ცარიელი ხის ყუთები, რომლისაგანაც საკუთარი დურგლობით გავიკეთე მაგიდა, სკივრი და სკამი. მაგიდაზე იდგა ბოთლი შიგ ჩარჭობილი სანთლით. ეს იყო ჩემი ლამპარი. სკივრში ვინახავდი მცირე სურსათ-სანოვაგეს.

თუ დარი იყო, ჩემს კარავს არა უშავდა, მაგრამ ტროპიკული წვიმის დროს შიგ ტლაპო დგებოდა, ხის იატაკის დაგების საშუალება კი არ მქონდა და შევნატროდი სხვებს, რომლებიც ამ მხრივ ჩემზე უფრო ბედნიერები იყვნენ.

მალე მთლად შემომაცვდა მოგვები, იძულებული ვიყავი წვიმაში ფეხშიშველს მევლო. აღარც თეთრეული გამაჩნდა. ტანისამოსიც ძონძებად მექცა, ერთი სიტყვით, პირდაპირ მათხოვარს დავემსგავსე. ძალიანაც გავხდი, 8 ფუთის ნაცვლად უკვე 5 ფუთს ვიწონიდი.

ჩემმა მეგობრებმა ჰოლანდიელებმა კაპიტნებმა ფიგელიუსმა და ვიტხამორმა, განსაკუთრებით კი გრაფმა ბრედამ სესხად შემომთავაზეს ფული, მაგრამ მე უარი ვთქვი, რადგან არ ვიცოდი როდის შევძლებდი ვალის გადახდას.

ბოლოს, ბრედამ მაიძულა მისგან სესხად მიმეღო ბა-

ნაკის პირობებში საკმაოდ დიდი თანხა. ამ ფულით, უწინარეს ყოვლისა, შევიძინე უბრალო, მაგრამ სუფთა ტანისამოსი, ფეხსაცმელები და ლოგინი. დანარჩენი გადავინახე საზრდოსათვის.

„კრიუგერებიც“ მქონდა, ასე რომ გაჭირვებას როგორც იყო თვალი გავუსწორე.

ბანაკის ხელისუფლება ბოლო ხანებში, რატომღაც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემდამი. მომვლელად ერთი ფრანგი ვინმე კოსტი მომიჩინეს. კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. როგორც ბავშვს ისე მივლიდა. შედარებით მაძღრად ვიყავით, მაგრამ ჩემი მორთულობით კოსტი უკმაყოფილო იყო და სულ იმას მეჩიჩინებოდა უფრო ხეირიანი კოსტუმი მეყიდა, მაგრამ მე საოცარ სიძუნწეს ვიჩენდი. უწინარეს ყოვლისა ჯანს უნდა გაუფრთხილდეს კაცი, ვეუბნებოდი მას, ტანისამოსი კი ეს ისეთი ქერქია, რომლის გამოცვლა ყოველთვის შეიძლებამეთქი. მართლაც, სურსათ-სანოვაგის შესაძენად უფრო გულუხვობას ვეწეოდი, თუმცა ყაირათიანობას აქაც ვიცავდი, რადგან მეშინოდა ბრედასაგან ნასესხები ფული და ჩემი „კრიუგერები“ მალე არ გამომლეოდა.

ერთ დღეს ჩემი ფარფლებიანი ძველი ქუდი ქარმა მომტაცა და ახლა რაღაც ჩვარით თავწაკრული დავდიოდი. უცნობმა ბურმა ერთი კვირის შემდეგ საჩუქრად გამომიგზავნა სრულიად ახალი ქუდი, რამაც მართალი გითხრათ, დიდად გამახარა.

მალე ზოგიერთებს, მათ შორის მე და ბრედასაც ნება დაგვრთეს, განსაზღვრულ დღეებსა და საათებში, ბანაკს გარეთ, სადაც გვსურდა, წავსულიყავით.

ერთხელ, ბანაკის კომენდანტმა მე და ბრედა საუზმეზე მიგვიწვია და ერბოკვერცხით გაგვიმასპინძლდა. ეს მეტად ძვირფასი საუზმე იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კუნძულზე თითო კვერცხი ოქროს 5 მანეთად ფასობდა. საუზმის შემდეგ სამივე გავემგზავრეთ საფრანგეთის ელჩთან, რომელთანაც მშვენიერი დრო გავატარეთ.

ამ დღიდან მოკიდებული ბანაკს შიგნითაც დავიწყეთ ერთმანეთს შორის სტუმრად მისვლა-მოსვლა.

პირველად, საღამოს შეიკრიბენ ჩემთან. მოსვლისთანავე ბანქოს თამაშს შეუდგნენ. შავი დღისათვის შემონახული გროშების წაგების შიშით მე შორიდან ვუცქეროდი. ამაზე უფრო ის მაწუხებდა, რომ არ შემეძლო სტუმრებისთვის ჩაის მეტი სხვა რამ მიმერთმია. ისიც, აქაური უვარგისი წყლის გამო, ყოვლად უგემური იყო.

წყალს რაღაცნაირი, უხეირო გემო ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა ბანაკში მუცლის ალხის გავრცელებას. ეს საშინელი სენი რომ არ შემყროდა, მე მას წვეთობით ვსვამდი.

მეორე საღამოს შევიკრიბეთ ფიგელიუსთან, ჩამოვარდა ლაპარაკი პოლიტიკაზე, შემდეგ ჩინეთზე, სადაც ბოქსიორთა აჯანყება, როგორც ჰოლანდიური გაზეთები წერდნენ, ფართო ხასიათს იღებდა. ეს გაზეთები ჭორებსაც წერდნენ, თითქოს, ბოქსიორების ხელში ჩავარდნის შიშით, ევროპელებმა საკუთარი ხელით დახოცეს თავიანთი ქალები და ბავშვებიო, ხოლო თვითონ ისინი, დაახლოებით 800 კაცი, ჩინელებმა ამოწყვიტესო. შემ-

ტყვეების ერთი ჯგუფი ელენეს კუნძულზე
დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ჰოლანდიელები—ფიგე-
ლიუსი და ვიხტამორი. სხედან: ნიკო ბაგრატიონი
და ფრანგი გრაფი ბრედა

დეგ საუბარი გადავიდა ბურებზე, რომელთა საბოლოო დამარცხება უკვე საეჭვო აღარ იყო.

მწუხარე ფიქრებიდან თავის დასაღწევად დავიწყეთ ჭადრაკის თამაში, რასაც მშვენიერი ვახშამი მოჰყვა— ჩვენმა მასპინძელმა ამსტერდამიდან[114]) მიღებული ძეხვის თითო ნაჭერი ჩამოგვირიგა.

თითქმის მთელი თვის განმავლობაში მოდიოდა წვიმა, რის დროსაც ხანდახან საოცარი გრიგალი მძვინვარებდა. ქარიშხალმა არა ერთი და ორი კარავი მოიტაცა. ამ საშინელ ამინდში მე და კოსტი ვიჯექით ჩვენს ტალახიან კარავში და ყოველ წუთს ველოდით, რომ გრიგალი მას წაგვართმევდა.

ზოგჯერ კარავში ვეღარ ვძლებდი და გავდიოდი გარეთ.

ჭექა-ქუხილი კუნძულს აზანზარებდა. ელვის ნაპერწკლებიანი მახვილი უწყალოდ ჩეხდა ცას. მისი ბრწყინვალება თვალის ჩინს ართმევდა ადამიანს, ხოლო გამუდმებული გრგვინვა და მეხის გრიალი ვის არ შეაძრწუნებდა!

ოკეანე ხომ პირდაპირ დუღდა. მისი აქოჩრილი ქაფიანი ტალღები გამაყრუებელი ღრიალით ეხეთქებოდნენ კუნძულის კლდოვან ნაპირებს.

ეს იყო ბუნების ძალთა დიდებული გამოვლინება. ამ დროს თავი რაღაც უმწეოდ, სავსებით უსუსურად მოგეჩვენებოდა კაცს.

მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ადამიანი მაინც უფრო ძლიერია სტიქიაზე, ერთ ასეთ მშფოთვარე დღეს, გამოჩნდა გემი, რომელიც ცამდე ატყორცნილ ტალღებს ამაყად მოარღვევდა.

მთელი ბანაკი აფუსფუსდა.

ყველა მოელოდა წერილს და ამანათს ახლობლებისაგან.

მე კი?

ნუთუ ახლაც არ გამიღიმებს ბედი? ნუთუ დავავიწყდი ყველას? მაგრამ დედას როგორ დავავიწყდი? შეუძლებელია!—ვინუგეშებდი მე თავს,—შეუძლებელია, რომ მას მაინც არ ვახსოვდე. ალბათ, ჩემი ერთი წერილიც არ მიუღიათ...

მაშინვე შევუდექი ახალი ბარათის წერას...

ეს კი მიაღწევს?

* *

ბანაკში ოფიცრები საკუთარი სახსრებით ცხოვრობდით, ბევრს, მათ შორის მეც, მეტად მცირე რამ გვქონდა, რომ გაჭირვებისათვის გაგვეძლო. უფრო აუტანელ პირობებში იყვნენ ტყვე ჯარისკაცები. ისინი პირდაპირ პირველყოფილი ადამიანებივით ცხოვრობდნენ ამ მოტიტვლებულ კლდეებში.

მათი ხვედრის შესამსუბუქებლად გადავწყვიტე რამე გვეღონა. ერთ დღეს მოვიწვიე ტყვეების წარმომადგენელთა კრება.

გაბმული წვიმებისა და ქარტეხილის შემდეგ მშვენიერი წყნარი, მზიანი ამინდი დადგა.

დაწყნარებულ ბუნების წიაღში კრებამ საჭიროდ მიიჩნია ბანაკში შეგვექმნა ვალეიბოლის და ტენისის მოთამაშეთა გუნდები, აგრეთვე მოგვეწყო მომღერალთა კაპელა.

ამავე კრებაზე გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ლია ცის ქვეშ ტყვეთა კლუბი, რომლის გამგეობის თავმჯდომარეთაც ამირჩიეს მე.

კლუბი სათავეში ჩაუდგა ჩამოთვლილ გუნდების ჩამოყალიბებისა და გაწვრთვნის საქმეს. მალე, დიდი თხოვნისა და დავიდარაბის შემდეგ, კუნძულის ხელისუფლებისაგან მივიღეთ ნებართვა ქალაქში გაგვემართა კონცერტები და ტენისის თამაში. შემოსული ფული ინახებოდა კლუბის სალაროში, საიდანაც დახმარებას ვუწევდით ტყვეებს.

პირველ ხანებში ხალხი ბლომად გვესწრებოდა, მაგრამ მერმე და მერმე, წინასწარ გაწეულ უმნიშვნელო ხარჯებსაც ვეღარ ვინაზღაურებდით.

კლუბს მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია. იგი ახლა თვით ბანაკში შეუდგა კულტურულ საქმიანობას, რასაც ერთგვარი სიხალისე და შუქი შეჰქონდა ჩვენს ერთფეროვან და მოწყენილ ცხოვრებაში.

კლუბი მოწყობილი გვქონდა კლდის ძირას გაშლილ საკმაოდ ვრცელ ტაფობზე. შევიძინეთ დიდი ტილო, აი ისეთი, როგორსაც ნავსადგურებში ხმარობენ წვიმისაგან ბარგის დასაცავად.

ეს ტილო გადავჭიმეთ ბოძებზე, ამ სახით ჩვენი კლუბი უფრო ტალავარს ჰგავდა, სადაც დიდი სიცხისა და მოულოდნელი წვიმის დროს თავს ვაფარებდით. კლუბს ჩემს წილად შევწირე საკუთარი ხელით გაკეთებული მაგიდა და ლამაზად გამოთლილი ქადრაკის ფიგურები. გვქონდა სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილი გაზეთები და სასულიერო შინაარსის ჟურნალები.

კლუბში ვხვდებოდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით, ვკამათობდით.

კლუბის მესვეურებმა გადავწყვიტეთ 14 ივლისს გვედღესასწაულა ბასტილიის აღების დღე.[115])

ხალისიანი, მზიანი დილა გათენდა.

ტყვეებმა ადრიანად იწყეს შეკრება. თითქმის არავინ დაკლებია. ტაფობი ხალხს ველარ იტევდა. ჩვენი მომღერალთა გუნდი ავიყვანე კლდის წინ გამოშვერილ ქიმზე, საიდანაც მთელი ტაფობი ხელის გულივით ჩანდა, შორს კი მშვიდად გაწოლილიყო რამდენიმე დღის წინათ მობობოქრე ოკეანე.

ტყვეებს ნიშანი მივეცი და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. გუნდმა დაიწყო მარსელიოზა, რასაც თანდათან მთელი ტაფობი აყვა და მალე იქაურობა მგზნებარე ხმებით აივსო. მღეროდა ყველა—ფრანგი, ჰოლანდიელი, ზანგი, ვმღეროდი მეც. ვმღეროდით ყველა და ეს იყო თავისუფლების ნამდვილი ჰიმნი. ეს დიდებული გუგუნი ატორტმანებდა მთელ ტაფობს და მიჰქონდა სადღაც შორს, შორს ოკეანეს იქით.

შუა სიმღერის დროს, ორიათასზე მეტი კაცი უცებ მუხლებზე დაეცა. ახლა სიმღერა რაღაც სასოების მომგვრელ ღაღადს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლაში მიმავალთა ქუხილს, მაგრამ ღაღადი თანდათანობით ისევ მქუხარე ხმებად იქცა და არემარემ კვლავ იწყო ტორტმანი.

მე ახლაც თვალწინ ცხადლივ მიდგია შუაგულ ოკეანეში მზით გაჩახჩახებულ კუნძულის განაპირას მუხლებზე დაცემული თვალებაგზნებული ადამიანები და მესმის

მათი შესანიშნავი სიმღერა. ისინი დაჩოქილი იყვნენ არა მტარვალთა წინაშე, არამედ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მოკრძალების ნიშნად.

* *

ვგრძნობ სამშობლოზე დარდი თანდათან მერევა. ვებრძვი ამ დარდს, მაგრამ რაც უფრო მეტს ვცდილობ მისგან თავის განთავისუფლებას, მით უფრო მეკუმშება კაეშნით გული. ნეტავი ერთი პატარა ბარათი მომივიდოდეს ქართულად დაწერილი, ეს ბარათი პირდაპირ მკვდრეთით აღმადგენდა, მაგრამ ჩემი ნატვრა კვლავ ამაოა.

ვილაც ხშირ-ხშირად მიგზავნის გერმანულ ენაზე დაბეჭდილ სასულიერო შინაარსის წიგნებს, მე გერმანული არ ვიცი, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ იმ უცნობ ადამიანის, რომელიც ასეთ მზრუნველობას იჩენს ჩემზე.

ხშირად ვზივარ ჩემი კარვის წინ, გავცქერი ზღვას და კვლავ ვფიქრობ: ნუთუ ყველას დავავიწყდი? ნუთუ ასე უნდა დამთავრდეს ჩემი ცხოვრება? ნუთუ აქ უნდა გავატარო ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები და აქვე, როგორც ფეოფილატომომ, სამუდამოთ დავხუჭო თვალი?

თითქმის ყველა ლებულობს წერილს, მე ვარ გამონაკლისი, რომელიც აღარავის ვახსოვარ ჩემს სამშობლოში.

მეგობრები ცდილობენ გამიფანტონ მწარე ფიქრები, გამართონ. ჭმუნვის გადასაყრელად, ვილაცამ თავის ხელით სადათ გაკეთებული ციტრა[116]) მაჩუქა. სულ მოკლე ხანში თავისუფლად ვისწავლე მასზე დაკვრა. მისი

მელოდიური ხმები მტკივნეულ გულს მიყუჩებდნენ და ზოზინით მიმავალ დროს მიმოკლებდნენ.

ესეც მომწყინდა.

ვნატრობდი წიგნებს. ჩემს უცნობ კეთილისმდომელს, რომელიც სისტემატიურად მიგზავნიდა სასულიერო წიგნებს, წერილით ვთხოვე მოეწოდებია რუსული წიგნები, მაგრამ მათ ნაცვლად ახლა გამომიგზავნა ფრანგული ჟურნალი „ფიგარო“, რომელიც დიდი სიამოვნებით რამდენჯერმე გადავიკითხე თავიდან ბოლომდე.

ბანაკის კომენდანტმა მიიღო ინგლისური გაზეთები. კომენდანტისაგან გავიგე, რომ რუსეთის სინოდს ტოლსტოის[117]) ნაწერები მიუჩნევია ხალხისათვის მავნებელ წიგნებად და აპირებს თურმე მათი ავტორის შეჩვენებას.

იმის მაგივრად, რომ ლიტერატურის ამ ბრწყინვალე კორიფეით იამაყოს სახელმწიფომ, მას დევნიან! საკვირველია სწორედ.

ამინდი კვლავ შეიცვალა. სუსხიანი ქარი ქრის.

ქუდი კვლავ წამართვა ქარმა.

კარგახანია ცუდ გუნებაზე ვარ, მაგრამ ეს ფიზიკურად არ მეტყობა, პირიქით, ბოლო დროს ჯანზე ისე ვარ, როგორიც ვიყავი აფრიკაში ჩასვლამდე. პირდაპირ გოლიათის ღონეს ვგრძნობ, რომ შემასახელოს ვინმემ, მგონი ამ კლდეს მოვიკიდებ ზურგზე.

დილას ჩემთან შემოირბინა ვიტხამორმა და შემომთავაზა ცოლისაგან გამოგზავნილი შოკოლადის ერთი მომცრო კვერი. მანვე მაცნობა, რომ ფრანგმა ოფიცერმა, მეიმ, ინგლისელებისაგან მიიღო საფრანგეთში დაბრუნების ნებაო.

ალბათ, ნათესავები დაეხმარნენ.

მე ნუთუ მუდმივ ტყვედ უნდა ვიყო?

არა, როგორმე უნდა გავიქცე აქედან. ქვეყნად შეუძლებელი არაფერია. ამ აზრით მოცული, მეგობრებთან ერთად მიუემგზავრები კუნძულის დასათვალიერებლად, იქნებ აღმოჩნდეს ისეთი ადგილი, საიდანაც მოვახერხოთ ტყვეობიდან თავის დაღწევა!

კარგახანს ხეტიალის შემდეგ, გზაზე შემოგვხვდნენ საფრანგეთის ელჩის ქალიშვილები, რომლებიც ვირებით წამოსულიყვნენ სასეირნოდ.

ამ სურათმა ღიმილი მომგვარა. გამახსენდა საქართველო, სადაც ქალის ვირზე შეჯდომა სათაკილოდ ითვლება.

ფრანგმა ქალიშვილებმა მშობლიურ ენაზე ერთი სიტყვაც არ იცოდნენ, იძულებული ვიყავი მუნჯივით ხელებით მეპასუხნა ზოგი რამ.

მათ მალე გავცილდით.

ცოტა ცივა. მზე თითქო სუდარაში იყოს გახვეული, მკრთალად ანათებს.

მახლობელ მთებზე უკვე დაუთოვია. ზამთარი იწყება?

დაღონებული დავბრუნდი ბანაკში. სად გაიქცევი! აქედან ჩიტიც ვერ მიაღწევს დიდ მიწამდე. ნავს კი აბა ვინ მოგცემს. გემი კი იშვიათად მოადგება ჩვენს კუნძულს, მაშინაც ახლოს არავინ მიგიშვებს.

საღამოს შევიკრიბეთ ფოგელიუსთან, თითო პატარა სასმისით რაღაც მაგარი სითხე დაგვალევინა, შესატანებელი კი არაფერი ჰქონდა. რამდენიმე ხელი ჭადრაკი ვითამაშეთ, ვისაუბრეთ. 11 საათზე დავბრუნდი კარავ-

ში. ძალზე მშიოდა. ჩემი კიდობანი გადმოვაბრუნე, მაგრამ შიგ პურის ერთი ნამცეციც ვერ ვიპოვე. დავწექი. მაშინვე დამეძინა. ტყუილი უთქვამთ — მშიერს ძილი გაურბისო, დილამდე გვერდიც არ მიცვლია.

ჩემმა კოსტიმ სადღაც ერთი ნატეხი შაქარი მიშოვა და სამი დღის შემდეგ, ამ დილით შაქრიან ყავას პირველად ვსვამ. რა ცოტა უნდა ადამიანს! მმვენიერ ხასიათზე დავდექი. გავედი გარეთ და ჩვეულებრივად შევუდექი ვარჯიშობას. ვარჯიშობის შემდეგ კიდევ უფრო გამომიკეთდა გუნება. პირდაპირ ამირანის ძალას ვგრძნობ კუნთებში, მაგრამ რაში მარგია!

კარავის წინ დავჯექი.

ვფიქრობ, ჩემი ღონის პატრონი რად უნდა ვიყო ნაცარქექიასავით უმწეო? მაგრამ ამ ღონესთან ერთად ნაცარქექიას მოხერხების უნარი რომ მომცა, წმ. ელენეს კუნძულს დანტეს[118]) ჯოჯოხეთს რომ გავს, ნამდვილ სამოთხედ ვაქცევდი.

რა გავაკეთო ისეთი, ამ ხალხს ტკბილი ყავა მაინც რომ ჰქონდეს ყოველდღე?

დოღი!

ეს რა კარგი აზრი მომივიდა! კუნძულის მცხოვრებთათვის ეს უთუოდ უცხო სანახაობა იქნება და ჩვენი კლუბის დაშრეტილი სალარო შეიძლება კვლავ იქცეს უკვდავების წყაროდ.

გავიქეცი ფიგელიუსთან. იქ დამხვდა ვიტხამორიც. მალე გრაფი ბრედაც მოვიდა.

გავუზიარე მათ ჩემი განზრახვა, თან დავუმატე, რომ დოღის შემდეგ მაყურებლებს ვაჩვენებ ჩემი მკლავების ძალას-მეთქი.

მაინც რას აპირებო,—ჩამაციედნენ მეგობრები.

იძულებული გამხადეს საიდუმლოდ მეთქვა მათთვის, რასაც ვაპირებდი.

კომენდანტს მოციქულად მივუგზავნეთ გრაფი ბრედა.

დიდი ყოყმანის შემდეგ იგი დათანხმდა 10 ცხენი ორი კვირის განმავლობაში ენათხოვრებია ჩვენთვის.

მეორე დღეს შევარჩიე ტყვეებიდან 10 საუკეთესო ცხენოსანი და შევუდექი მათ გაწვრთნას.

* *

ქალაქის მახლობლად საჯირითო მოედნის გამოძებნა და აფიშების დაბეჭდვა-გაკვრის საქმის მოგვარება იკისრა ფიგელიუსმა. მანვე რომელიღაც მაღაზიიდან ქირით იშოვა სიმებიანი ინსტრუმენტები, ტყვეებს შორის აღმოჩნდნენ მშვენიერი დამკვრელები ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, ვიოლონჩელზე.

ბანაკის კომენდანტმა მოითხოვა: ორკესტრსა და მომღერალთა გუნდს დოღის დაწყების წინ უთუოდ შეესრულებია ინგლისური ჰიმნი. ეს არაფრად გვეჭაშნიკა, მაგრამ იძულებული ვიყავით ძალას დავმოჩილებოდით. გუნდი და ორკესტრი უხალისოდ შეუდგა ჰიმნის შესწავლას.

ზანგებმა ცალკე შეადგინეს ეროვნული გუნდი.

უკვე გაიკრა აფიშები, რომლებზედაც ჩემი გვარი ფიგელიუსს დიდი ასოებით გამოეცხადებია.

მოახლოვდა დანიშნული დღეც.

ბანაკში ყველა ღელავდა. ჩვენზე არა ნაკლებ ღელავდნენ, თურმე, ქალაქის მცხოვრებლებიც. ბილეთები წინასწარ გაიყიდა.

გათენდა 15 აგვისტო.

კოსტი დილა ადრიან შეუდგა ჩემი გამოხუნებული კოსტუმის წმენდას. ხუმრობა ხომ არ იყო, მთავარი მომქმედი პირი დღეს მე უფრო ვიყავი, ვიდრე სხვები.

დოღი დანიშნული იყო დღის 12 საათზე, მაგრამ სტუმრებმა 10 საათიდან იწყეს მოსვლა. მალე მთელ კუნძულზე უვრცესი მინდორი ხალხით აივსო. ტყვეების მიერ სახელდახელოდ გაკეთებული უბრალო ფიცრის მერხები საკმარისი არ აღმოჩნდა, უმრავლესობა ფეხზე იდგა.

საუცხოო დარი დაგვესწრო. მოწმენდილ ციდან მზე უხვად გვაფრქვევდა თავის სხივებს, მაგრამ რაც მთავარია, სრულებითაც არ იყო მცხუნვარე.

ირგვლივ უჩვეულო ჟრიამული იდგა.

ყველაზე უფრო მეტს ხმაურობდნენ მხიარული და მოუსვენარი ფრანგები.

დოღის შეფი იყო ბანაკის კომენდანტი, ინგლისელი პოლკოვნიკი შილი. საზეიმოდ გამოწყობილს მეტად ცივი, იმავე დროს ყოყოჩური, მიუკარებელი გამომეტყველება ჰქონდა.

ქალაქის მაღალ თანამდებობის პირებს იგი ეგებებოდა ხოლმე, თავისი უცნაური თავაზიანობით.

სრულ 12 საათზე გაისმა საკომენდანტოდან მოტანილი დაფ-დაფის ხმა. ერთბაშად ჩამოვარდა სიჩუმე.

გუნდმა და ორკესტრმა დაიწყო ინგლისის სახელმწიფო ჰიმნი, რასაც მაინცადამაინც დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია.

შემდეგ ორკესტრის აკომპანიმენტზე გუნდმა შეასრულა ცნობილ ევროპელ კომპოზიტორების რამდენიმე საგუნდო სიმღერა.

პირველი განყოფილების დასასრულს გამოვიდნენ ზანგები, რომლებიც მეტად მელოდიურად მღეროდნენ თავიანთ ეროვნულ ჰანგებს, იმავე დროს კეთილხმოვანად, მაგრამ უცნაური გატაცებით აჟღერებდნენ უბრალო სპილენძის ნაჭრებს, პატარა ქვაბებს და სპილენძისავე სინებს. ასევე გატაცებით უკრავდნენ ლერწმისაგან გაკეთებულ სხვადასხვა ზომის სალამურებს.

ეს იყო რაღაც ჯაზისმაგვარი.

დაიწყო დოღი.

დოღში მონაწილეობდნენ კუნძულის მცველ ინგლისელთა ჯარის საუკეთესო ცხენოსნებიც, მაგრამ მათ ტყვე ბურებმა აჯობეს.

დადგა ჩემი გამოსვლის დრო.

შუაგულ მოედანზე საკომენდანტოს მეჯინიბე ოთხმა ზანგმა გამოიყვანა ორი ცხენი, ორ ზანგსაც მათზე გამობმული თასმები ეჭირათ.

ცხენებს რომ შევხედე, ცოტა შიშმა გამკრა—მეტად ფიცხნი და ლონივრები ჩანდნენ, მეჯინიბეები ძლივს უჭერდნენ თავებს.

ეტყობა კომენდანტს განგებ შეურჩევია ყველაზე დიდი და ლონიერი ცხენები, რომ ამდენი ხალხის წინაშე სირცხვილი მაჭამოს. ეს მისი საქციელი უფრო შურისძიე-

ბას გავს, ვიდრე ჩემი მკლავების ძალაში დარწმუნების სურვილს.

არ მეგონა პოლკოვნიკი შილი თუ ასეთი მუხანათი ვამოდგებოდა. მან კარგად იცოდა, რომ მე ცირკის ჯამბაზი არ ვიყავი და არც პირადი სარგებლობის მიზნით გამოვდიოდი ამ მოედანზე, არამედ მინდოდა, რითაც შემეძლო, ტყვეების გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქების საქმეში ჩემი წვლილი შემეტანა.

რა გაეწყობა! უკან დახევა უკვე გვიანაა!

მოვიკრიბე მთელი ძალ-ღონე და მტკიცე ნაბიჯით გავედი მოედანზე.

ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა, თითქოს მთელ არემარეზე ერთი კაციც არ ყოფილიყო.

მარჯვენა ფეხს დავეყრდნე, მარცხენა ოდნავ წინ წავდგი და მკლავები მოვხარე. მეჯინიბეებმა, ცხენების გრძელი თასმების ყულფები როგორც კი ჩამომაცვეს მკლავებზე, მყისვე კისერზე გადმოდებულ მაგარ ღვედს ჩავავლე ხელები, ამრიგად ყულფები ნიდაყვებთან მოვიქცი. ეს მთავარი იყო.

— გაუშვით ხელი! — ვიყვირე მე და მეჯინიბეები, რომელთაც ცხენები აქეთ-იქით აღვირებით ეჭირათ, განზე გახტნენ.

ცხენებმა წამსვე გაიწიეს, მაგრამ ადგილზევე შედგნენ. მაშინ მეჯინიბეებმა ცხენებს შოლტები გადაჰკრეს. ახლა ცხენებმა მოინდომეს ერთბაშად თავის დაღწევა, მაგრამ როცა ადგილიდან ოდნავადაც ვერ დამძრეს, ყალყზე აიმართნენ.

ვატყობდი ძარღვები დაწყდომაზე მქონდა, მაგრამ

.მაინც ვიდექი, როგორც მიწაში ღრმად ფესვებგამდგარი მუხა, ცხენები თითქოს ჩემს ორ ტოტზე გამობმული ყოფილიყვნენ.

გახელებული ცხენები ცდილობდნენ გამსხლტომოდნენ, მაგრამ ამაოდ.

მეჯინიბეებმა კვლავ გადაჰკრეს შოლტები და თან უცნაური ხმით დასჭყივლეს ისედაც ცეცხლმოდებულ მერნებს.

ცხენები ერთხელ კიდევ აიტოტნენ, მერმე გაქაფულებმა ერთხელ კიდევ გაბედულად დაჰკრეს ტორები მიწას და თანდათან დაცხრნენ, დაოკდნენ.

ყულფები მკლავებიდან წავიყარე და მოედნიდან გასვლა დავაპირე, მაგრამ ამ დროს მოირღვა რკალი და ხალხის ტალღამ გზა გადამიღობა.

ატყდა უცნაური ყვირილი, აღტაცებულთა ყიჟინა, ტაში.

ყველას უნდოდა ხელი ჩამოერთმია, შემხებოდა, გადავეკოცნე.

როგორც იყო თავი დავაღწიე გაგიჟებულ მაყურებლებს და მაშინვე გავწიე ბანაკისაკენ. ნახევარი მოედანი გამომყვა თან.

ბანაკის ალაყაფთან იძულებულნი გახდნენ შეჩერებულიყვნენ, მე შევედი ჩემს კარავში და ლოგინზე მივეგდე. ალაყაფთან შემდგარი ხალხის ყიჟინა კიდევ კარგახანს მესმოდა.

მიუხედავად ასეთი გამარჯვებისა, მე საშინლად დაშცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს და ძლიერ ვნანობდი, რომ ბრბოს ველური ინსტინქტების გაღიზიანების მიზეზად ვიქეცი.

ჩამეძინა. ძილში ვგრძნობდი თუ როგორ მიკრთოდა ყოველი კუნთი, როგორ აჩქარებით მიძგერდა გული, მინდოდა თვალის გახელა, მაგრამ ქუთუთოები აღარ მემორჩილებოდნენ.

მართალია, მე უკმაყოფილო ვიყავი დღევანდელი დღის, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს ღარიბ სალაროს 2500 გირვანქა სტერლინგი შეემატა.

* *

ბანაკში დაიწყო ჩვეულებრივი ცხოვრება.

ერთ დილას გამაღვიძა ბანაკის მცველი ჯარის სასულე ორკესტრმა.

რა მოხდა? რა უხარიათ ინგლისელებს?

კოსტიმ მომიტანა სამწუხარო ამბავი:

ინგლისელებს ბურებთან ერთ-ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში გაუმარჯვიათ, 5000 ბური ტყვედ ჩაუგდიათ, ტყვედ წაუყვანიათ მათი გენერალიც პრენცლო.

ბოლმა შემომაწვა.

წარმოვიდგინე მოხუცი კრიუგერი, რომელიც ჯერ კიდევ იდგა რესპუბლიკის სათავეში მაგრამ რესპუბლიკა კი თითქმის უკვე აღარ არსებობდა.

ამ დილით ბურები თითქოს მიწამ ჩანთქაო, არსად ჩანდნენ. ბანაკი მიტოვებულ ადგილს ჰგავდა.

კუნძულიდან გაქცევის სურვილი თანდათან მოსვენებას მიკარგავს, მაგრამ რა გზით გავაღწიო თავი ამ ჯოჯოხეთს?

მშვიდად გაწოლილ ზღვას გავცქერი. ცა რატომღაც

დღეს ძლიერ დაწეულა დაბლა. ცასა და ზღვას შორის მკრთალი ნათელი შუქი დგას. უცებ ამ შუქში გამოჩნდა შავი ჩრდილი. იგი თანდათან იზრდება და უახლოვდება კუნძულს.

უკვე კარგად ვარჩევ, რომ ეს ჩრდილი დიდი საოკეანო გემია, რომლის მაღალ ანძაზედაც ფრიალებს ამერიკული ალამი.

მთელი ბანაკი გამოეფინა ნაპირზე.

გემი ჩქარა მოდიოდა.

თვალს არ ვაშორებდით, გვეშინოდა მოჩვენება არ ყოფილიყო და მასთან ერთად არ გამქრალიყო წერილებისა და ამანათების მიღების იმედი.

არა, ცხადად გემია! იგი უკვე ნავსადგურში შევიდა.

ვისაც ბანაკის დატოვების ნება ჰქონდა, ყველა გაეშურა ნავსადგურისაკენ. მე კი ბანაკში დავრჩი, რადგან დარწმუნებული ვიყავი ამჟამადაც არავის გავახსენდებოდი.

კარგახანს ვიჯექი ქვაზე, მწუხარე ფიქრებით შეპყრობილი.

ფიქრებიდან სასწრაფოდ მოსულმა ოფიცერმა გამომარკვია.

— კომენდანტი გთხოვთ ახლავე გამოცხადდეთ ნავსადგურში,— მითხრა მან.

ცოტა გაოცებული წამოვდექი და გავყევი.

„ნეტავი რა საქმე აქვს ჩემთან კომენდანტს, ისიც ნავსადგურში?“— ვფიქრობდი გზადაგზა.

როგორც კი ნავსადგურში მივედი, კომენდანტმა გამაცნო გემის კაპიტანი, რომელმაც თავაზიანად მომმართა:

— თქვენ ბრძანდებით ბაგრატიონი?

— დიახ.

— ეს გემი თქვენს სახელზეა გამოგზავნილი სამხრეთ-ამერიკიდან, იგი ამერიკელ ფრანგი ქალების მიერ შეგროვილი საჩუქრებითაა დატვირთული. გთხოვთ, თქვენი გვარი მოაწეროთ ამ ქაღალდზე, რომ მასში აღნუსხული საჩუქრები, ნამდვილად მიიღეთ,—მითხრა მან ფრანგულად და საბუთი გამომიწოდა.

მართალი გითხრათ, გაკვირვებასთან ერთად, ჩემში ამ ამბავმა სწორედ უჩვეულო სიხარული გამოიწვია. განსაკუთრებით მიხაროდა ის, რომ ნებით თუ უნებლიედ, შემეძლო კიდევ ერთხელ დავხმარებოდი ჩემს თანამებრძოლებს.

კაპიტანმა აგრეთვე მთხოვა, პირადათ დავსწრებოდი გემის გადმოტვირთვას.

მე ბურების სახელით დიდი მადლობა გადავუხადე და ხელი მაგრად ჩამოვართვი.

კაპიტანი შუახნის კაცი იყო, წარმოსადეგი, პირში განუწყვეტლივ ჩიბუხი ჰქონდა.

კომენდანტის ბრძანებით მოიყვანეს ტყვეები, რომლებიც დიდი ხალისით შეუდგნენ გემის გადმოტვირთვას.

მე და კაპიტანი კომენდანტის თანდასწრებით განვაგრძობდით საუბარს. ცოტახნის მერმე კაპიტანმა ბოდიში მოიხადა და გემზე ავიდა. მალე დაბრუნდა. უკან მეზღვაური მოჰყვებოდა, რომელსაც რაღაც საგანგებოდ შეხვეული მოჰქონდა.

— ეს საჩუქარი პირადათ თქვენ გეკუთვნით. იგი

გრაფი ბრედა და ნ. ბაგრატიონი
პარიზში, ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ

ერთმა ლამაზმა ქალმა გამომატანა და მთხოვა ჩემი ხელით მომერთმია თქვენთვის.—ამ სიტყვებით კაპიტანმა ამანათი გადმომცა, რაც თავშეკავებული სიხარულით ჩამოვართვი და გადავაბარე იქვე ჩემს უკან გაჩერებულ კოსტის.

კომენდანტის ნებართვით აქვე დავწერე ფრანგულ ენაზე სამადლობელი წერილი და კაპიტანს ვთხოვე იგი ამერიკაში დაბრუნებისთანავე გადაეცა ჩემი კეთილისმყოფელ უცნობ მანდილოსნისათვის.

საღამოს დავემშვიდობე კაპიტანს და დავბრუნდი ბანაკში.

კოსტის უკვე გაეხსნა ხავერდის მანდიკი და ამოელაგებია საჩუქრები—მშვენიერი შავი კოსტუმი, ორი წყვილი თეთრეული, ერთი გახამებული პერანგი, წინდები, ფეხსაცმელები, ქუდი, ყელსახვევი, ცხვირსახოცები და რამდენიმე შოკოლადის ლორფინი.

სავსებით დენდივით გამოვეწყვე.

მაგრამ ამ მორთულობას მერჩია დედის ხელით ქართულად დაწერილი პატარა ბარათი მიმეღო!

დავიჯერო კოლა ორბელიანსაც დავავიწყდი? დიდი ხანია, ალბათ, პარიზიდან პეტერბურგში დაბრუნდა და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოვგონებივარ. ასე რომ არ იყოს, უთუოდ რამეს იღონებდა. მას ხომ უამრავი გავლენიანი ნაცნობები ყავს!

იქნებ ჩემი ასავალ-დასავალის არაფერი იცის?

შეუძლებელია არ იცოდეს.

ათასჯერ ვიყავი მოხსენებული ფრანგულსა, ჰოლანდიურსა და ინგლისურ გაზეთებში.

თვითონ თუ არ წაიკითხა, ვინმე მაინც ეტყოდა, მაგრამ ვაი თუ მას ჩემზე უარესი რამ დაემართა?

ერთი კვირაა გაოგნებული ვარ.

აქედან თავის დაღწევის სურვილი ისე ამეკვიატა განსაკუთრებით დღეს, რომ ლამის ჭკუაზე შევიშალო.

დილიდან მოკიდებული აგერ შუადღემ მოაღწია და შეუსვენებლივ მიმოვდივარ ჩემი კარავის წინ.

კოსტი ხანდახან გაოცებული თვალებით შემომხედავს და კვლავ კარავში მიიმალება.

მოულოდნელად ისევ გამომეცხადა საკომენდანტოს ოფიცერი და გადმომცა კომენდანტის ბრძანება—სასწრაფოდ მივსულიყავი მასთან.

უგუნებოდ წავედი.

კიბის თავთან კომენდანტიდან ახლად გამოსული სახეგაბრწყინებული გრაფი ბრედა შემომხვდა, — როგორც კი დამინახა, მაშინვე უსიტყვოდ მომეხვია და გადამკოცნა, მერმე კიბეზე დაეშვა და თავის კარავისაკენ გაიქცა.

სრულებით ვერაფერს მივხვდი.

შევედი კომენდანტთან. იგი მყისვე წამოდგა და სალამის ნაცვლად მითხრა:

— გსურთ დაბრუნდეთ ევროპაში?

სიხარულისაგან ენა დამება. ერთ წუთს ჟრუანტელმა ტერფებამდე დამიარა. ცოტა წავბარბაცდი და მაგიდას ცალი ხელით დავეყრდნე.

კომენდანტმა ჩემს პასუხს აღარ დაუცადა და განაგრძო:

— თქვენ უნდა მოგვცეთ წერილობითი პირობა, რომ

აფრიკაში აღარასოდეს ჩამოხვალთ, და გაემგზავრებით საკუთარი ხარჯით.

— ომის განმავლობაში აფრიკაში აღარ ჩამოვალ, ალბათ, არც სხვა დროს მექნება საშუალება კვლავ ვინახულო ეს მხარე, მაგრამ ახლა კი უთუოდ უნდა გავიარო პრეტორიაში, რათა იქ ბანკში შენახული ფული და ნივთები დავიბრუნო. სხვა სახსრები მე არ მაქვს ევროპამდე ჩემი ხარჯით რომ ვიმგზავრო.

— გადმომეცით საბუთი და ჩვენ გამოვითხოვთ თქვენს ქონებას ბანკიდან.

— ქვითარი ჯერ კიდევ ტყვედ ჩავარდნამდე დავკარგე. პრეტორიაში თუ თვითონ ჩავალ, მაშინ მოწმეთა ჩვენებით მიბარებულ ქონებაზე ჩემს უფლებებს აღვიდგენ.

— პრეტორიაში თქვენი დაბრუნება შეუძლებელია,— ცოტახნის დაფიქრების შემდეგ მიპასუხა მან, — დიახ' ეს არა თუ შეუძლებელი, წარმოუდგენელიცაა. რაღაც სხვა საშუალება უნდა გამონახოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომის დამთავრებამდე მოგიწევთ აქ ყოფნა.

ჯიჟივით გამოვარდი გარეთ.

წინ გრაფი ბრედა, ფოგელიუსი და ვიტხამორი შეშომხვდნენ.

გრაფს ახლა დამშვიდებული სახე ჰქონდა. მის მოძრაობაში უკვე თავისუფალი ადამიანის სიამაყე იგრძნობოდა.

ფოგელიუსი და ვიტხამორი კი მოუსვენრად იყვნენ.

— როდის შევდივართ, მეგობარო!—დინჯად მკითხა გრაფმა.

მე ვუთხარი რაც მაბრკოლებდა.

— ეგ არაფერია. ფული მე მაქვს. ხვალ-ზეგ იმდენს მივიღებ საფრანგეთიდან, რომ თუ ნებას დამრთავენ, ნახევარ ბანაკს წავიყვან ჩემი ხარჯით. დამშვიდდი. ახლა წავიდეთ და ამ მეგობრებთან ერთად განთავისუფლების სადღეგრძელო შევსვათ.

ოთხივემ ნელი ნაბიჯით გავიარეთ ბანაკის ალაყაფის კარი.

ჩავედით ქალაქში. ერთ პატარა რესტორანში შემოვუჯექით მაგიდას.

დიდხანს ვისაუბრეთ.

საღამოს გვიან დავბრუნდით ბანაკში.

მეორე დღეს ბარგი უკვე შევკარი, მაგრამ ორ კვირაზე მეტხანს მომიხდა ლოდინი.

მოვიდა ჯავშნოსანი სამხედრო გემი „ვიქტორია.“ მე და ბრედას გამოგვიცხადეს, რომ ამ გემით უნდა წავსულიყავით.

ჩამოვიარე თითქმის მთელი ბანაკი და ყველას დავემშვიდობე.

რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი, თითქოს დანაშაულს ჩავდიოდი, რომ მე მივდიოდი და ისინი კი ტყვეობაში რჩებოდნენ. ბურები კი აღტაცებით მართმევდნენ ხელს და იმავე დროს თითოეული მათგანი თავს ვალდებულად თვლიდა ბანაკში თავის ხელით გაკეთებული რამე ნივთი ესახსოვრა ჩემთვის.

მე საკმაოდ დიდი ბარგით მივედი ნავსადგურში.

1901 წლის 10 ნოემბერს დაიძრა გემი.

ნაპირზე დარჩენილი ფოგელიუსი, ვიტხამორი და

ოსტი თანდათან პატარავდებოდნენ. მალე კუნძულიც თვალს მიეფარა.

ჯავშნოსანი, რომელსაც მე და ბრედა უნდა მივეყვანეთ ინგლისში, შესანიშნავი გემი იყო. ისე სწრაფად მიდიოდა, რომ სრულებით არ ქანაობდა.

საუცხოო კაიუტებში მოვთავსდით.

მეორე დღეს კვლავ ზღვამ დამცადა და ავად გავხდი... მთელი გზა ვიწექი. გემის ექიმმა ვერაფრით ვერ შემიმსუბუქა მდგომარეობა.

* *

6 კვირაზე მეტხანს გაგრძელდა მგზავრობა და ამ დროის განმავლობაში ხეირიანად თავიც არ ამიწევია ბალიშიდან.

როდის იყო და როდის არა, მივედით დუვრში.[119] კაპიტანმა ჩვენი თავი გადასცა ორ ოფიცერს, რომლებიც, ეტყობოდათ, გველოდებოდნენ. ოფიცრებმა მაშინვე ჩაგვსვეს წასასვლელად გამზადებულ მატარებელში.

მეორე დილას გადმოვედით მატარებლიდან, ჩავსხედით ავტომობილში და მივედით კომფორტაბელურ სასტუმროში, სადაც მე და ბრედამ გვერდი-გვერდ დავიჭირეთ ოთახები. სასტუმროში მისვლისთანავე დავწექი. მგზავრობით ისე ვიყავი გალახული, რომ ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი, მაგრამ კარგი ექიმების წყალობით მესამე დღეს უკვე წამოვდექი.

ბრედამ მაშინვე გამოუძახა მკერავს. მკერავმა აგვი-

ღო ორივეს თარგი. ეს იყო დილის 10 საათი. საღამოს 7 საათზე უკვე ახალი კოსტიუმები გვეცვა, მაგრამ მერმე რა,—სასტუმროდან რესტორანში ჩასვლის ნებაც არ დაგვრთეს ჩვენზე მოჩენილმა ოფიცრებმა.

ბრედამ ნომერში მოითხოვა ძვირფასი ვახშამი.

ორივე გათენებამდე ვისხედით მაგიდასთან და ტკბილად ვსაუბრობდით.

დილას ვთხოვეთ ოფიცრებს საშუალება მოეცათ ავტომობილიდან მაინც დაგვეთვალიერებია ლონდონი.

ნება დაგვრთეს, მაგრამ ისინიც თან წამოგვყვნენ.

თითქმის მთელი ლონდონი დავიარეთ.

მე იგი არ მომეწონა. მიუხედავად შესანიშნავი შენობებისა, სწორი, კრიალა ქუჩებისა, ქალაქს აკლდა მიმზიდველობა. შეიძლება ასე იმიტომაც მომეჩვენა, რომ ამ დღეს ლონდონი მთლად ნისლში იყო გახვეული. ირგვლივ მძიმე სიჩუმე იდგა. როგორც მითხრეს, არც მზიან დღეებშია თურმე იგი მაინცადამაინც ხალისიანი.

სასტუმროში დაბრუნებისთანავე დავწექით და წუხანდელ უძინრებს ღრმად ჩაგვეძინა.

ერთი კვირის შემდეგ გადავცურეთ ლამანში[120]) და უკვე სიცოცხლით სავსე, ნათელ პარიზის ქუჩებში მიგვაქროლებდა ავტომობილი.

* *

მშობლები ბრედას გაშლილი ხელებით შეხვდნენ. აღფრთოვანებული ბრედა ხან აცრემლებულ დედას ეხვეოდა, ხან ცრემლშეკავებულ მოხუც მამას.

ცოტა შურიანი თვალით ვუცქერდი ბრედას, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ მალე მეც ასე სიხარულით შემომეგებებოდნენ ჩემიანები ჩემს სამშობლოში.

ბრედას მშობლებმა მეც დიდი სიხარულით მიმიღეს.

ცოტახნის მერმე მე ისინი დავტოვე და წავედი სასტუმროში. სასტუმროში მისვლამდე შევიარე ფოსტა-ტელეგრაფში და საქართველოში გავაგზავნე დეპეშა.

ორი დღის შემდეგ სასტუმროში მოვიდა ჩემთან გრაფი ბრედა და წამიყვანა თავის საგვარეულო კოშკში, რომელიც ქალაქ ტურიდან სულ ახლოს იყო.

ტურის სანახები მეტად მომეწონა. ძველი ფრანგული არისტოკრატია თითქმის ტურის მიდამოებში ცხოვრობდა. აქ ზოგან იყო ისეთი ძველი ციხე-კოშკებიც, რომელთაც ირგვლივ უზარმაზარი სქელი გალავნები ერტყათ, წინ ღრმა თხრილებში წყალი ჩაუდიოდათ, ხოლო თხრილებზე გადასვლა ასაწევი ხიდებით შეიძლებოდა.

გრაფ ბრედას კოშკის გალავანი ისეთი სქელი იყო, ზედ ეტლი თავისუფლად გაივლიდა. შიგნით რამდენიმე კოშკი იდგა, ყველაზე მაღალ კოშკზე ბრედას საგვარეულო დროშა ფრიალებდა.

ეზო საუცხოოდ მოვლილი იყო. მთავარ კოშკში მრავალ დარბაზებს შორის, ყველაზე დიდი დარბაზი ბიბლიოთეკას ეჭირა. აქ იყო საუკეთესო წიგნები არა მარტო ნაბეჭდი, არამედ ხელნაწერებიც თითქმის ყველა ენაზე. ბიბლიოთეკაში შესაფერ ადგილებზე იდგა ფრან-

ვი კლასიკოსების კორნელის,[121]) ჟან-ჟაკ რუსოს,[122]) დიდროს[123]) და დალამბერის[124]) ბიუსტები.

მცირე დარბაზში დაცული იყო სხვადასხვა დროის იარაღები, მათ შორის თოფები, ხმლები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები და ფარები.

ბრედას მშობლები იქ დაგვხვდნენ.

ღვიძლი შვილიდან არ მარჩევდნენ.

მოხუცები უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, რომ თავიანთ ერთადერთ შვილს ასე ახლო ხედავდნენ. ბრედაც ბედნიერათ გრძნობდა თავს მოხუც მშობლებთან, რომლების ნახვასაც ამდენი ქარცეცხლში გავლის შემდეგ კიდევ ეღირსა. ბრედას ეძნელებოდა მშობლების დატოვება, მაგრამ ჩემი მარტოდ გაშვებაც არ უნდოდა, და აი, ორი კვირის შემდეგ კვლავ პარიზში დავბრუნდით.

პარიზში უკვე დამხვდა დედაჩემის მიერ სასწრაფოდ გადმოგზავნილი 1000 მანეთი. ცალკე ფულის მიღებამ გამახარა, ცალკე იმ ამბავმა, რომ დედა ცოცხალი და კარგად ყოფილა.

ორ დღეს დავრჩი კიდევ პარიზში. მთელი ეს ორი დღე ჩემმა მეგობარმა ბრედამ სად არ მატარა — ხელახლა ვიყავი ლუვრში,[125]) ვერსალში,[126]) ვნახე ტრიანონიც[127]).

საღამოს ვეწვიეთ ვარიეტეს[128]) და მულენ-რუჟს.

წამოსვლის წინა საღამოს ვიჯექით ტროკადეროს ერდოზე. ვუცქეროდით „ღამის დღესასწაულს“. ჩვენს წინ უზარმაზარ კვარად ენთო ეიფელის კოშკი. მის ირგვლივაც შუქთა ზღვა ლივლივებდა.

უკანასკნელად ვართ ერთად. ბრედა ცოტა მოწყენილია.

მე ვეპატიჟები საქართველოში. ის მპირდება, მაგრამ ვატყობ თავისი დაპირების თვითონვე არ ჯერა.

შესანიშნავი კაცი იყო ბრედა. იგი გამოირჩეოდა თავისი ფართო, დიდი გულით, კეთილშობილებით, დემოკრატიული სულისკვეთებით.

სამართლიანობისა და ადამიანისადმი სიყვარულმა წაიყვანა ის აფრიკაში და ააღებია თოფი ხელში.

დიახ, ბურებისათვის თავგანწირვა მისი დიდი ჰუმანიური გრძნობით იყო გამოწვეული, თორემ მას სხვებზე უფრო უზრუნველად შეეძლო ეცხოვრა თავის საყვარელ საფრანგეთში.

მშვიდობით, კარგად იყავი, ჩემო გულითადო მეგობარო!

ვინ იცის კიდევ შევხვდებით თუ არა ერთმანეთს!

ვინ იცის!

დილას უკვე რუსეთისაკენ მიმაქროლებს ექსპრესი.

დრო ნელა მიდის, თუმცა ექსპრესი ფრთამალი მერანივით მიაპობს სივრცეს.

აი გამოჩნდა ეკლესიების გუმბათები. ცოტაც კიდევ და მე უკვე პეტერბურგში ვარ.

სადგურზე გადმოსვლისთანავე გამომეცხადა პეტერბურგის გუბერნატორის ადიუტანტი და სამხედრო სამინისტროს განკარგულებით სადგურიდან პირდაპირ წამიყვანეს ჰაუპტვახტში.

ერთი კვირის შემდეგ მაცნობეს, რომ აკრძალული მაქვს პეტერბურგში თავისუფალი ცხოვრება. იმავე

დღეს ჩამსვეს მატარებელში და საქართველოში გამოგამგზავრეს.

ეს ყველაფერი ისე მოულოდნელი იყო, რომ კოლა ორბელიანისათვის შეტყობინებაც ვერ მოვიფიქრე.

ეჰ, რაც იყო, იყო. მთავარი ისაა, რომ მე უკვე საქართველოსაკენ ვადგივარ გზას.

რუსეთში ზამთარია. ყველგან დიდი თოვლი დევს. ღრუბლებს მზე ხანდახან თუ დააღწევს თავს, მაგრამ მალე ისევ ბურუსი ნთქავს. როცა კავკასიის საზღვრებს მოვუახლოვდი, ცა თანდათან მოწმენდილი გახდა, საქართველოს საზღვართან მთლად მოისარკა და კაშკაშა მზე სხივებს უხვად აფრქვევს.

სალამი, ჩემო ქვეყანავ!

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ

1. (გვ. 3) მ ც ხ ე თ ა შ ი ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ლ ი ს აგებას მიაწერენ ვახტანგ გორგასალს (მეფობდა მე-5 საუკ. მეორე ნახევარში). მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში იგი განუახლებია და შეუმკია მელქისედეკ კათალიკოსს. ტაძრისადმი 1040 წელს გაცემულ მელქისედეკ კათალიკოსის გუჯარში სწერია: „ჟამთა შლილობით გარშემო სტოვანი დაქცეულიყო და აღარავინ იყო მწე აღშენებად და არცარავის ძალედვა აღშენება მისი“-ო.

2. (გვ. იქვე) წ ი ლ კ ნ ი ს ეკლესია, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აშენებულია ბაქარ მეფის მიერ IV საუკუნეში. VI საუკუნეში აქ დაარსდა საკათალიკოსო კათედრა. პირველი ეპისკოპოსი იყო ისო წილკნელი, ხოლო უკანასკნელი—გერვასი, გვარად მაჭავარიანი. (გარდაიცვალა 1817 წელს).

3. (გვ. 10) ა რ ჩ ი ლ ი დაიბადა 1647 წელს, მამამისი ვახტანგ მეხუთე, შაჰნავაზად ზედწოდებული, ცნობილი მეფე იყო. მისი გონივრული მეფობის დროს საქართველო მოღონიერდა. 1661 წელს, 14 წლის არჩილი მამამ გაამეფა იმერეთში. იმ ჟამად იმერეთის ტახტის მაძიებელი ბევრი იყო. შეიქნა ქიშპობა და აღრეულობა. აჯანყებულებმა ხონთქრის დახმარებით ტახტი წაართვეს არჩილს. სწორედ ამ ხანებში შაჰ-აბას მეორემ მოჰკლა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი და მის ადგილას ტახტზე აიყვანა არჩილი. შემდეგ არჩილმა კახეთის ტახტი დაუთმო მის კანონიერ მემკვიდრეს ერეკლე პირველს და თვითონ დაიბრუნა იმერეთის ტახტი, მაგრამ კვლავ დაკარგა. დახმარებისათვის 1682 წელს გაემართა რუსეთს. გზაზე დიდხანს დაჰყო. მოსკოვს ჩავიდა 1685 წელს, შვილი ალექსანდრე

მიაბარა სამხედრო სასწავლებელში და უიმისოდ ისევ ჩამოვიდა საქართველოში. ამის შემდეგ იმერეთის ტახტს სამჯერ დაეუფლა, მაგრამ სამივეჯერ წაართვეს. როცა მეხუთეთაც დაკარგა მეფობა, არჩილი 1699 წ. სამუდამოდ გადასახლდა მოსკოვს. პეტრე პირველმა, რომლის ბავშვობის მეგობარიც იყო მისი შვილი ალექსანდრე, დევნილი მეფე დიდი პატივით მიიღო. არჩილი თავის ამალით დასახლდა მოსკოვთან ახლოს, სოფ. ვსეხსვიატსკოეში, სადაც მოაწყო სტამბა და ხელი მიჰყო მწიგნობრობას. იგი იყო თავის დროის შესანიშნავი პოეტი. მისი ლექსების უმრავლესობა პატრიოტული და მორალურ-დიდაქტიკური შინაარსისაა. გარდაიცვალა 1713 წელს. დასაფლავებულია დონის მონასტერში, მოსკოვში.

4. (გვ. იქვე) პ ე ტ რ ე პ ი რ ვ ე ლ ი დაიბადა 1672 წ., ათი წლის პეტრე 1872 წელს გამოცხადებული იქნა მეფედ. გარდაიცვალა 1725 წელს. იგი იყო რუსეთის სახელმწიფოს დიდი რეფორმატორი და შესანიშნავი მხედართმთავარი.

5. (გვ. იქვე) პ ო ლ ტ ა ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა მოხდა 1709 წელს, გაზაფხულზე. ამ ბრძოლაში შვედების მეფე კარლოს XII სასტიკად დაამარცხა პეტრე პირველმა. დამარცხების შემდეგ შვეცია იქცა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ. შვედებმა აქ ჩაიგდეს ტყვედ არჩილ მეფის შვილი ალექსანდრე ბაგრატიონი.

6. (გვ. იქვე) ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი შვეციის სატახტო ქალაქია.

7. (გვ. იქვე) გ ე ნ ე რ ა ლ ი ო გ ლ ო ბ ჟ ი ო ტომით ბულგარელი იყო. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბულგარეთი დაპყრობილი ჰქონდა თურქეთს. ფაშა ზიული გენერალ ოგლობჟიოს თურქეთის ქვეშევრდომად თვლიდა, ამიტომ უწოდა მოღალატე. გენერალი ოგლობჟიო თავისი ჯარით ომის დაწყებისას იდგა ოზურგეთში.

8. (გვ. 11) იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომი. ამ ომში (1877-78 წელს) რუსეთმა დაამარცხა თურქეთი და განდევნა საქართველოს მრავალი ადგილიდან, კერძოდ, ბათუმიდან. ამავე დროს განთავისუფლებული იქნა ყარსიც.

9. (გვ. იქვე) ნ ა დ ი რ-შ ა ჰ ი სპარსეთის ტახტზე ავიდა 1736 წელს. ერეკლე II ჭაბუკობისას პირველად მის ჯარში გაითქვა სახელი როგორც შესანიშნავმა სარდალმა.

10. (გვ. იქვე) სპარსეთში ანარქია გრძელდებოდა 13 წლის განმავლობაში.

11. (გვ. იქვე) ეკატერინე მეორე—რუსეთის დედოფალი, დაიბადა 1729 წ. გამეფდა 1762 წელს, გარდაიცვალა 1796 წ.

12. (გვ. იქვე) ალექსანდროპოლს თავდაპირველად ერქვა გუმბრი, იგი მდებარეობს თბილისიდან ერევანში მიმავალ დიდ გზაზე, 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს აქედან დაიძრა რუსეთის ჯარების მთავარი ძალები ყარსისა და არზრუმის წინააღმდეგ. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ქალაქს დაერქვა ლენინაკანი.

13. (გვ. 13) ნიკოლოზ პირველი დაიბადა 1796 წელს. ტახტზე ავიდა 1825 წლის 12 დეკემბერს. პეტერბურგში, 14 დეკემბერს, როცა ჯარს ერთგულების ფიცი უნდა დაედვა, მოხდა დეკაბრისტების აჯანყება. აჯანყება დამარცხდა. აჯანყებულთა ხელმძღვანელების ნაწილი, მათ შორის პოეტი რილეევი, ჩამოახრჩვეს, დანარჩენი გადაასახლეს ციმბირში.

დეკაბრისტების აჯანყების დროს პუშკინი პეტერბურგში არ იმყოფებოდა. როცა იგი დაბრუნდა, ნიკოლოზ პირველმა ერთ-ერთ შეხვედრისთანავე ჰკითხა: შენ რომ აქ ყოფილიყავი, ვის მხარეზე იქნებოდიო. აჯანყებულების მხარეზეო,—უყოყმანოდ უპასუხა პოეტმა.

14. (გვ. იქვე) საქართველოში ნიკოლოზ პირველი ჩამოვიდა 1837 წლის ოქტომბრის 7-ს. სამხედრო ისტორიკოსის პოტტოს გადმოცემით, მეფის პატივისცემის ნიშნად მადათოვის კუნძულზე შემდგარა ჯარების დიდი აღლუმი. შემდეგ ქართველ თავადაზნაურების ერთი ნაწილის მეთაურობით გაუმართავთ შესანიშნავი წვეულება, რომელზედაც გამხიარულებულ იმპერატორს პოლონეზი უცეკვია პირველად—სილამაზით განთქმულ მართა სოლოღაშვილთან, მეორედ—ქალაქის მოურავის სარაჯიშვილის მეუღლესთან. სხვათა შორის, როცა ქალაქს ათვალიერებდა, მდინარე ვერასთან (ახლანდელ აბრეშუმის ფაბრიკის ადგილას) ნიკოლოზს ეტლი გადაბრუნებია, რის დროსაც მსუბუქად დაშავებულა. მისი ასე იოლად გადარჩენის გამო, შემთხვევის ადგილას აღუმართავთ ქვის ჯვარი „ღვთისადმი სამადლობელი“ წარწერით.

15. (გვ. იქვე) ეგზარქოსობა საქართველოში, კათალიკოსობის ნაცვლად, შემოღებული იქნა 1811 წლიდან. უკანასკნელი კათალიკოსი იყო ანტონ მეორე, ერეკლე მეფის-ძე, (გარდ. 1828 წ.) შემდეგ საქართველოს ეკლესიას მეთაურობდნენ რუსეთის „უწმინდესი სინოდის“ ეგზარქოსები. პირველ ეგზარქოსად დანიშნული იქნა ვარლამ ერისთავი. საქართველოში ნიკოლოზ პირველის ჩამოსვლის დროს ეგზარქოსად იყო ევგენი (ბაჟანოვი). იგი ამ თანამდებობაზე გამომწესებული იქნა 1834 წელს, ეგზარქოსობდა 1844 წლამდე. მან პირველმა დაიწყო მცხეთის სვეტიცხოვლის „რესტავრაცია“, რის დროსაც დაიღუპა მრავალი შესანიშნავი ძველი ფრესკა.

16. (გვ. იქვე) ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი მ ი ხ ე ი ლ სიმონის-ძე კავკასიის მთავარმართებლის ნეიდგარტის ადგილზე მეფის ნაცვლის სახელწოდებით და განუსაზღვრელი უფლებებით დაინიშნა 1844 წლის დეკემბერში, თავის მოვალეობის შესასრულებლად თბილისში ჩამოვიდა 1845 წლის მარტში. ვორონცოვი საქართველოში მანამდეც იყო ნამყოფი. მაგალითად, 1808 წელს იგი მონაწილეობას იღებდა მაშინდელი მთავარმართებლის პავლე ციციანოვის სამხედრო ოპერაციებში. მისივე დავალებით ვორონცოვი გაიგზავნა იმერეთის მეფე სოლომონთან დიპლომატიური მოლაპარაკების საწარმოებლად.

მეფის მოადგილის მოვალეობის ასრულების დროს ვორონცოვი მოხერხებულად ეწეოდა კავკასიაში თვითმპყრობელობის განმტკიცების პოლიტიკას და იმავე დროს ხელს უწყობდა სავაჭრო კაპიტალის განვითარებას. მან მეფის ნაცვლის თანამდებობაზე დაჰყო 9 წელიწადს. 1853 წელს გადასახლდა ოდესაში, სადაც 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მისი სახელი ერქვა ახლანდელ კარლ მარქსის სახელობის ხიდს. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ხიდთან პატარა მოედანზე იდგა მისი ბრინჯაოს დიდი ქანდაკება.

17. (გვ. 14) ავტორს თუ მხედველობაში აქვს გლეხთა აჯანყება ქსნის ხეობაში, ეს მოხდა არა 1810 წელს, არამედ 1809 წელს, ხოლო თუ იგი გულისხმობს გლეხთა აჯანყებას კახეთში, აჯანყება კახეთში მოხდა 1811 წლის მიწურულს.

18. (გვ. იქვე) მ ა რ კ ი ზ პ ა უ ლ უ ჩ ი, ფილიპე ოსიპის-ძე, საფ-

რანგეთის ჯარიდან 1807 წელს გადავიდა რუსეთის ჯარში პოლკოვნიკის ხარისხით. მალე მიიღო გენერალ-ადუტანტობა და კავკასიაში მთავარმართებლად დაინიშნა 1810 წელს.

19. (გვ. იქვე) ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ვ ი—ძაუჯიყაუ.

20. (გვ. იქვე) ა ლ ე ქ ს ი პ ე ტ რ ე ს-ძ ე ე რ მ ო ლ ო ვ ი კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა 1817-27 წლებში.

21. (გვ. იქვე) კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ი ვ ა ნ ე ს-ძ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ-მ უ ხ რ ა ნ ე ლ ი დაიბადა 1837 წელს. 1876-77 წლებში, როგორც ერთ-ერთი პოლკის მეთაური, მონაწილეობდა თურქეთთან ომში. ბოლო ხანებში რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად.

22. (გვ. იქვე) გ ო რ ი ს რ ა ზ მ ი, იგულისხმება ე. წ. მილიცია.

23. (გვ. 15) პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი დაიბადა 1809 წელს. მამამისი ეგნატე იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის კარის ეკლესიის მღვდელი. პლატონმა დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. საქართველოში დაბრუნდა 1835 წ., მეგობრობდა ალ. ჭავჭავაძეს, ნიკ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს. იგი მანანა ორბელიანის სალონის ხშირი სტუმარი იყო. მას ეკუთვნის მრავალი შრომა საქართველოს ისტორიიდან. თანამშრომლობდა „ცისკარში“, „კავკაზში“. თვითონ რედაქტორობდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკს“. მან, სხვა ძეგლთა შორის, გამოსცა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, დასწერა მონოგრაფია „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, რომელიც სრული სახით გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1936 წელს, აკაკი გაწერელიას რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

24. (გვ. იქვე) რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა დედის სოფელში, ჭალაში, 1822 წელს. თბილისის გიმნაზია დაამთავრა 1845 წელს. მისი პირველი ლექსები „დარიგება“ და „ყვავილი“ დაიბეჭდა ჟურ. „ცისკარში“ 1852 წელს. ამ დღიდან მოკიდებული მისი პოეტური შემოქმედება თანდათან იზრდება და მალე ერისთავი ცნობილი პოეტი ხდება. სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად იგი ეწევა საზოგადოებრივ მუშაობასაც. მის დროს საქართველოში არ ყოფილა ისეთი, ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი წამოწყება, რომელშიაც მას

მონაწილეობა არ მიეღოს. მსახურობდა დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზედაც. მაგ. იგი 1856 წელს მართავდა ახალციხის მაზრას, 1857 წ. დაინიშნა ზუგდიდის ოლქის უფროსად. მან თარგმნა მრავალი რუსი და უცხოელი პოეტის ლექსები (პუშკინი, კრილოვი, ოგარევი, მიცკევიჩი, ბერანჟე და სხ.). რ. ერისთავმა თავის რედაქტორობით გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი ლექსიკონი. მანვე დაბეჭდა „მოკლე ქართულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან".

ღვაწლმოსილ მუცოვან პოეტს 1895 წელს 22 ოქტომბერს თბილისში დიდი ზეიმით გადაუხადეს 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე. ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილმა იუბილარს უძღვნა შესანიშნავი ლექსი, რომელიც სოსელოს ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში".

რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა 1901 წლის თებერვლის 19, დაკრძალული იყო თავის სოფელში, ქისტაურში საიდანაც 1938 წლის ნოემბრის 13-ს გადმოსვენებული იქნა ქ. თელავში და დაძარხეს ერეკლე მეორის სასახლის ეზოში. იქვე დასაფლავებულნი არიან მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა და მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი. ამ ადგილს ეწოდა „კახელ მოღვაწეთა პანთეონი". საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიდა რაფიელ ერისთავის ნაწერების სრული აკადემიური გამოცემა პროფ. შალვა რადიანის რედაქტორობით.

25. (გვ. 16) ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა აღმოსავლეთ საქართველოში გადავარდა 1864 წელს, ხოლო დასავლეთ საქართველოში—1865-67 წლებში. გლეხები „განთავისუფლებულ" იქნა უმიწოდ. რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა თითქმის 3 წლით ადრე, ანუ 1861 წელს.

26. (გვ. იქვე) ვ ა ხ ტ ა ნ გ VI დაიბადა 1675 წ., გარდაიცვალა 1737 წელს. ის იყო მეტად განათლებული მეფე, მწიგნობარი და პოეტი. აღიზარდა სულხან-საბა ორბელიანის ხელმძღვანელობით. ვახტანგის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავებული იქნა საქართველოს ისტორია, ქართული სამართალი და სხვ. 1709 წელს ვახტანგმა მოაწყო თბილისში პირველი სტამბა, სადაც პირველად დაიბეჭდა მისივე რედაქტორობით „ვეფხისტყაოსანი". ვახტანგი იძულებული გახდა გაცლოდა სამშობლოს, 1724 წლის ივლისის 15 იგი

დიდი ამალით წავიდა რუსეთს, სადაც 13 წლის შემდეგ გარდაიცვალა. ვახტანგის ლექსების კრებული ცალკე წიგნად გამოვიდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. წიგნი გამოსცა 1947 წელს „საბჭოთა მწერალმა“ პროფ. ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით.

27. (გვ. 18) ეკატერინე, რევაზ ერისთავის მეუღლე. იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის უფროსი და. ბარათაშვილის უმცროსი და, სოფიო, ჰყავდა — ვასილ ალექსანდრეს-ძე სუმბათაშვილს, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ბიძას. სოფიო და ვასილ სუმბათაშვილების შვილი გიორგი სუმბათაშვილი ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“.

28. (გვ 20) ეკატერინე—პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, (დაიბ. 1816 წ.) ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს, ქმრის გარდაცვალების შემდეგ 1853 წელს დაინიშნა სამეგრელოს გამგებლად. სამეგრელოს მართავდა 4 წლის განმავლობაში. გარდ. 1882 წ. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

29. (გვ. იქვე) ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ ივანეს-ძე, შემდეგში თვითონ იყო მეფის ნაცვლად კავკასიაში. იგი ამ თანამდებობას ასრულებდა 1905 წლიდან 1915 წლამდე. დაშკოვი რევოლუციური მოძრაობის დაუძინებელი მტერი იყო და სასტიკად დევნიდა რევოლუციონერებს.

30. (გვ. იქვე) მილტოზი—რევაზ ერისთავის საგვარეულო მამული ქსანში.

31. (გვ. 21) ალექსანდრე მეორე—ნიკოლოზ პირველის ძე, დაიბადა 1818 წელს. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი აღმზრდელი იყო ცნობილი რუსი პოეტი ვასილ ჟუკოვსკი. ალექსანდრე მეორემ 1855 წელს ტახტზე ასვლისთანავე გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური ზრახვები. იგი ეყრდნობოდა ყველაზე უფრო მემარჯვენე, კონსერვატორულ ელემენტებს სასახლეში. როცა მეფისნაცვალმა გორჩაკოვმა ვარშავაში დახვრიტა მშვიდობიანი მანიფესტაცია, ალექსანდრე მეორემ მას უბრძანა—მანიფესტაციის განმეორების შემთხვევაში მთელი ქალაქისათვის დაეშინა ზარბაზნები. დესპოტმა მეფემ გამოიგონა და მან პირველმა შექმნა ჩრ.-აღმოსავლეთ ციმბირში ე წ. „პოლარული ჯოჯოხეთი“, სადაც ასახლებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლებს.

მიუხედავათ ამისა, რუსეთში თანდათან ფართო ხასიათს იღებდა რევოლუციონური მოძრაობა. ცნობილი რევოლუციონერის ანდრეი ივანეს-ძე ჟელიაბოვის (1851-81) ხელმძღვანელობით მომზადებული იქნა ალექსანდრე მეორეზე უკანასკნელი თავდასხმა, მაგრამ ჟელიაბოვი დააპატიმრეს თავდასხმამდე ორი დღით ადრე. ამ გარემოებამ ჟელიაბოვის ამხანაგებს ხელი ვერ შეუშალა მეფეზე თავდასხმის განხორციელება სისრულეში მოეყვანათ—1881 წ. მარტის 1-ს მეფე მოკლული იქნა. მკვლელები იმავე დღეს დააპატიმრეს. ჟელიაბოვმა პროკურორს გაუგზავნა განცხადება, რომ მეფეზე ყველა თავდასხმა, მათ შორის უკანასკნელიც, მოწყობილი იყო მისი უშუალო ხელმძღვანელობით და რომ მხოლოდ სულელური შემთხვევის გამო პირადად ვერ მიიღო მეფის მოკვლაში მონაწილეობა. სხვა თავდამსხმელებთან ერთად (პეროვსკაია, კიბალჩიჩი, ტ. მიხაილოვი და რისაკოვი) ჟელიაბოვიც ჩამოახრჩვეს პეტერბურგში, სემიონოვის მოედანზე 1881 წლის აპრილის 3-ს.

32. (გვ. იქვე) დ ი დ ი მ თ ა ვ ა რ ი მ ი ხ ე ი ლ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს-ძ ე იყო ნიკოლოზ I-ის მეოთხე შვილი. დაიბადა 1832 წელს. კავკასიის ჯარების მთავარსარდლად და მეფის მოადგილედ დაინიშნა 1863 წელს, ამ თანამდებობას ასრულებდა 1881 წლამდე. რევოლუციამდე მისი სახელი ერქვა ხაშურს.

33. (გვ. 22) ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ალექსანდრე ივანეს-ძე მეფის ნაცვლად და კავკასიის ჯარების სარდლად დაინიშნა 1856 წელს. იგი ხელმძღვანელობდა დაღესტნისა და ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომს. 1859 წლის 25 აგვისტოს ტყვედ ჩაიგდო შამილი.

ბარიატინსკის ცოლად ყავდა დიმიტრი ორბელიანის ასული ელისაბედი. ბარიატინსკის სახელი ერქვა ახლანდელ ჯორჯიაშვილის ქუჩას (კომუნარების ბაღის გვერდით). ამ ქუჩაზე არსენ ჯორჯიაშვილმა ბომბი ესროლა და მოჰკლა შავრაზმელი გენერალი გრიაზნოვი.

ბარიატინსკი დაიბადა 1815 წელს, გარდაიცვალა 1879 წელს ჟენევაში.

34. (გვ. 27) ა ნ დ ე რ ს ე ნ ი ჰანს-ხრისტიან, ცნობილი პოეტი-მეზღაპრე, დაიბადა დანიის ქალაქ ორდენეზში, კუნძულ ფიონიაზე, 1805 წელს. ის შესანიშნავად იცნობდა თავისი ხალხის მდიდარ

თქმულებებს და ძველ სიმღერებს. მამამისი იყო მეჩექმე, რომელსაც უყვარდა ხალხური ლექსების სიმღერებად აწყობა და კარგადაც მღეროდა. ანდერსენი გარდაიცვალა 1875 წელს. ანდერსენის ზღაპრები ქართულად თარგმნეს ნინო ნაკაშიძემ და თედო სახოკიამ. ნ. ნაკაშიძემ თავის თარგმანები ცალკე წიგნად გამოსცა 1896 წ., ხოლო თ. სახოკიამ—1897 წ.

35. (გვ. იქვე) მ ა ი ნ რ ი დ ი ცნობილი ინგლისელი მწერალი. იგი უმთავრესად წერდა სათავგადასავლო რომანებს. დაიბადა 1818 წელს, გარდაიცვალა 65 წლის ასაკში. მაინ რიდის რომანი „ავროორა“ ინგლისურიდან 1863 წელს თარგმნა გრიგოლ რჩეულიშვილმა და დაბეჭდა ჟურ. „ცისკარში“. ქართულად თარგმნილია, აგრეთვე მისი „ტყის შვილები“.

36. (გვ. იქვე) ჟ ი უ ლ ვ ე რ ნ ი (1828-1905), ფრანგი მწერალი. მსოფლიო სახელი მოიხვეჭა თავისი მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანებით. ჟ. ვერნის „კაპიტან გრანტის შვილები“, „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ და „საიდუმლო კუნძული“ ქართულად ცალკე წიგნებად გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. სამივე წიგნი თარგმნილია ნიკო კურდღელაშვილის მიერ.

37. (გვ. 29) ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ უ ს ე თ თ ა ნ შ ე ე რ თ ე ბ ა. ალექსანდრე პირველმა 1801 წლის სექტემბრის 12-ის თარიღით გამოსცა უმაღლესი რესკრიპტი, რომლის ძალითაც აღიარებული იქნა საქართველოს რუსეთთან სამუდამოთ შეერთების ფაქტი. ეს ის ალექსანდრე პირველია, რომელმაც თავის მამის პავლე პირველის წინააღმდეგ მოაწყო შეთქმულება, შეთქმულებს მოაკვლევინა მეფე და ტახტი მიიტაცა. მამის სისხლი არ ასვენებდა მას. იგი შეიპყრო მისტიციზმმა და შიშმა. თვეობით არ გამოდიოდა გარეთ. ეგონა, ასეთი უღირსი საქციელის გამო, მას სამაგიეროს გადაუხდიდნენ. მისი ასეთი კარჩაკეტილობა ერთბაშად შეიცვალა, როცა რუსის ხალხმა დაამარცხა ნაპოლეონი, რომელმაც რუსეთის ველებზე დაჰკარგა თავისი უზარმაზარი არმიის უდიდესი ნაწილი. ალექსანდრე პირველი 1814 წლის მარტის 31-ს მოკავშირე სახელმწიფოთა არმიებს ხეიმით შეუძღვა პარიზში და იქცა ევროპაში ყველაზე უფრო გავლენიან და ცნობილ კაცად. ბოლო ხანებში კვლავ შეიპყრო მისტიციზმმა და ნახევრად შეშლილი გარდაიცვალა 1825 წელს.

38. (გვ. 30) გ ო ლ ო ვ ი ნ ი ევგენი ალექსანდრეს-ძე, კავკასიის მთავარმართებლად იყო 1837-42 წლებში. რევოლუციამდე მისი სახელი ერქვა თბილისში ახლანდელ რუსთაველის პროსპექტს.

39. (გვ. იქვე) ნ ე ი დ გ ა რ ტ ი ალექსანდრე ივანეს-ძე, გოლოვინის ადგილას დაინიშნა 1842 წელს, ამ თანამდებობაზე დაჰყო მხოლოდ 2 წელიწადს.

40. (გვ. 35) რ ტ ი შ ჩ ე ვ ი ნიკოლოზ თედორეს-ძე, იყო მთავარსარდლად საქართველოში 1811-13 წლებში. მისი სახელი ერქვა ახლანდელ ჯაფარიძის ქუჩას.

41. (გვ. იქვე) „გ ა ყ რ ა“, გიორგი ერისთავის სამმოქმედებიანი კომედია საჯაროდ პირველად წარმოდგენილ იქნა 1850 წლის იანვრის 2-ს (ძვ. სტილით) გიმნაზიის შენობაში. მიკირტუმ გასპარიჩის როლს ასრულებდა თვითონ ავტორი. იონა მეუნარგიას გადმოცემით, წარმოდგენას შესანიშნავად ჩაუვლია, რომელსაც თავის სახლობით და ამალით დასწრებია მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი.

42. (გვ. იქვე) მ ა ნ ა ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი იყო მირმანოზ ერისთავის ასული. დაიბადა 1808 წელს, გარდაიცვალა 1870 წელს. განათლებული და ლიტერატურის მცოდნე მანანა ორბელიანი დიდ მფარველობას უწევდა ქართულ ხელოვნებას, კერძოდ მწერლობას. მის სალონში, სადაც თავს იყრიდნენ მაშინდელი არისტოკრატიული სახოგადოების საუკეთესო წარმომადგენელნი, ხშირად კითხულობდნენ ახალ პოეტურ ნაწარმოებებს და მსჯელობდნენ ქართული კულტურის საკითხებზე.

43. (გვ. 36) ა თ ო ნ ი ს ქართველთა მონასტერი (ათონი საბერძნეთშია) აშენდა 980-983 წლებში, ამ მონასტრის აგების თაოსანი და მისი პირველი წინამძღვარი 983-1005 წლებში იყო სამცხელი იოანე ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი.

იოანეს შემდეგ 1005-1019 წლებში მონასტერს წინამძღვრობდა მისი შვილი, შესანიშნავი მწერალი და მოაზროვნე ექვთიმე ათონელი (დაბ. 955 წ., გარდაიცვ. 1028 წ.). შემდეგ ათონის ქართველთა მონასტრის თვალსაჩინო წინამძღვარი იყო გიორგი ათონელი (1009-1056), რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა ძველ ქართულ ლიტერატურაში, იგი ათონის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს 1044 წელს და სიკვდილამდე განაგებდა მას.

ათონის ქართველთა, ანუ როგორც მას უწოდებდნენ „ივერიის მონასტერში“ ქართული ლიტერატურა აყვავდა და გაიშალა ექვთიმე და გიორგი ათონელების დროს. აქ არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდნენ სასულიერო მწერლობის კლასიკურ თხზულებებს, არამედ ქმნიდნენ ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებებსაც. სხვათა შორის, აქ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ცნობილი სასულიერო რომანი „სიბრძნე ბალავარისა“, რომლიდანაც შემდეგ ეს რომანი გავრცელდა თითქმის ყველა ენაზე.

ათონის „ივერიის მონასტერში“, იქაური ქართული ხელნაწერების შესწავლის მიზნით, პლატონ იოსელიანმა იმოგზაურა 1849 წელს, შემდეგ ალ. ცაგარელმა (1883 წ.) და სხ.

44. (გვ. იქვე) პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ქ ვ რ ი ვ ი ნინო ნიკოლოზ ბაგრატიონის ასული, ქმრის გარდაცვალების შემდეგ აღიკვეცა მონაზვნათ. იგი დაკრძალულია მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში.

45. (გვ. 37) ი ვ ა ნ ე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს-ძ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ-მ უ ხ რ ა ნ ე ლ ი, 1832-50 წლებში მონაწილეობდა მთიელებთან ომში, ხოლო 1854-55 წლებში იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ხანებში იგი სარდლობდა იმერეთში და სამეგრელოში განლაგებულ ჯარებს და ებრძოდა ომარ-ფაშას. იყო გენერალ-ლეიტენანტი. ბოლო ხანებში ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით მეღვინეობას. მისი „შამპანიური“ განთქმული იყო მთელ რუსეთში. 1870-იან წლებში აირჩიეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად.

46. (გვ. იქვე) ს ე ნ ა ტ ო რ ი და სახელმწიფო საბჭოს წევრი გიორგი კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1820—1877) იყო ძმა ივანე ბაგრატიონისა, მან 1872 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდა ბროშურა სათაურით: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“, რომელშიც ამტკიცებდა მცირერიცხოვან ხალხების დიდ ერებში გათქვეფის აუცილებლობას. ბროშურამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მაშინდელ პროგრესულ საზოგადოებაში. კერძოდ, ილია ჭავჭავაძემ სასტიკად დაჭგმო ამ გადაგვარებულ თავადის ლაყბობა.

მანვე ბროშურის ავტორზე დასწერა პამფლეტი, სათაურით: „რჩევა“ (ეს ლექსი დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“, 1872 წლის სექტემბრის 8, № 35). როცა ხსენებული ბროშურა ბაგრატიონმა, სხვათა შორის, დავით ერისთავსაც გაუგზავნა, „სამშობლოს“ ავტორმა და თავის მამის გიორგი ერისთავის ღირსეულმა შვილმა, წიგნი უკანვე დაუბრუნა მას შემდეგი რუსული წარწერით:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал
То, что мы знали без того:
Что ты совсем не существо
И нуль меж крупных единиц.

47. (გვ. 38) დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი იყო სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის პირმშო. 1837 წელს საქართველოში ყოფნისას, ნიკოლოზ პირველი ეწვია სამეგრელოსაც. მეფემ სამი დღე დაჰყო ლევანთან ზუგდიდში. ამ დროს დავითი იზრდებოდა ბარონ როზენთან. იგი სამეგრელოს მართვა-გამგეობას შეუდგა მამის სიცოცხლეშივე 1842 წელს. ლევანი გარდაიცვალა 1853 წელს. დავითი იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, მას ცოლად ჰყავდა ეკატერინე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული.

48. (გვ. 39) ო მ ა რ-ფ ა შ ა მ სამეგრელოზე გამოილაშქრა 1855 წლის ოქტომბერში იგი თავის ჯარით ინგურს მოადგა 25 ოქტომბერს.

49. (გვ. იქვე) ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი ანუ ე. წ. ხელთუქმნელი ხატი, ანუ პირიღვთისა, თქმულებით, კლარჯეთში შემოუტანია ანდრია მოციქულს. იგი დასვენებული ყოფილა ანჩში. თამარ მეფის საბოძვრით ანჩელ ეპისკოპოზს იოანეს (საღარისძეს) ხატი მოუჭედვინებია ბექა ოპიზარისათვის. თურქების შემოსევის დროს ეს ხატი სამცხედან 1664 წელს თბილისში ჩამოუტანია ვაჭარ ამირჯანა ივანგულიშვილს, რომლისგანაც შეუძენია საქართველოს პატრიარქს დომენტი მეორეს (1560—1675) მუხრან-ბატონის-ძეს, მასვე განუახლებია სიონის მახლობლად ძველი ტაძარი და შიგ დაუსვენებია. ხატზე მრავალი საგულისხმო ისტორიული წარწერაა.

50. (გვ. 40) მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ა ლ ი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII ქვრივი, გიორგი ციციშვილის ასული, დაიბადა 1778 წელს. მარიამმა მოჰკლა გენერალი ლაზარევი, რომელიც უხეშად მოექცა მას. 1803 წ. აპრილის 18 დედოფალი წაიყვანეს რუსეთში შვილებით, 1811 წლამდე იყო ბელგოროდის დედათა მონასტერში, შემდეგ ნება მიეცა ეცხოვრა მოსკოვს, სადაც გარდაიცვალა 1851 წლის 30 მარტს. მისი ცხედარი ჩამოასვენეს და დაკრძალეს მცხეთაში.

51. (გვ. 41) ქ ა რ ვ ა ს ლ ა აგებული იყო ახლანდელ ბერიას სახელობის მოედანზე.

52. (გვ. იქვე) გ ი მ ნ ა ზ ი ა. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა პავლე ციციანოვმა 1804 წელს თბილისში დააარსა „კეთილშობილთა სასწავლებელი", რომელიც 1830 წელს გადაკეთდა გიმნაზიად.

53. (გვ. 43) ე გ ზ ა რ ქ ო ს ი ი ს ი დ ო რ ე ნ ი კ ო ლ ს კ ი (1794-1892) საქართველოში ეგზარქოსათ იყო 1845 წლის ნოემბრიდან 1858 წლის 1 მარტამდე.

54. (გვ. იქვე) რ კ ი ნ ი გ ზ ა საქართველოში პირველად გაიყვანეს 1871 წელს თბილისი-ფოთის მიმართულებით.

55. (გვ. 46) მ ო ნ ო მ ა ნ ი მედიცინის ენაზე ნიშნავს ერთი რამის აკვიატებას. მონომანიით შეპყრობილი შეიძლება სხვა მხრივ სრულებით ჯანსაღი გონების პატრონი იყოს.

56. (გვ. 49) ხ ო დ ი ნ კ ა ეწოდება დიდ მინდორს მოსკოვის ახლოს, სადაც ნიკოლოზ II მეფედ კურთხევის დღეს, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა სერგეი ალექსანდრეს-ძემ (მეფის ბიძამ) მოაწყო „სახალხო ზეიმი". გაავრცელეს ხმა, რომ ზეიმის დროს დაარიგებენ საჩუქრებსო. დილიდანვე მინდორზე შეიკრიბა დიდძალი ხალხი. წინასწარ არ ყოფილა არავითარი ზომები მიღებული წესრიგის დასაცავად. დამთვრალმა ხულიგნებმა ატეხეს ჩხუბი, რასაც მოჰყვა არეულობა მთელ მინდორზე. ამ არევ-დარევისას ჩაინგრა ორმოებზე სახელდახელოდ დაფარებული ფიცრები. ხალხი დაფრთხა, რის დროსაც გადაქელეს და გაწირისეს 2000 კაცამდე. დაიჭრა და დაშავდა ათიათასობით. სერგეი ალექსანდრეს-ძეს, მისი დაუდევრობით გამოწვეულ ამ კატასტროფის გამო, მუშებმა უწოდეს „თავადი ხოდინსკი".

ხოდინკაზე კატასტროფა მოხდა 1896 წლის მაისის 17.

57. (გვ. 50) შ ო პ ე ნ ი ფრედერიკ, გენიალური პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი. დაიბადა 1809 წლის მარტის 1-ლს, ვარშავის ახლოს, სოფ. ჟელიაზოვა-ვოლიაში. 9 წლის ბავშვი მიაბარეს პიანისტ ცივნის. მასთან 7 წლის მეცადინეობის შემდეგ, შოპენი თეორიული ცოდნის მისაღებად სწავლობდა კომპოზიტორ ელსნერთან. 1829 წლიდან იწყებს არტისტულ მოღვაწეობას. იგი გამოდის ვენაში, კრაკოვში და დიდი წარმატებით ასრულებს თავისივე ნაწარმოებებს. 1831 წლიდან იგი ცხოვრობს პარიზში, სადაც მისი პირველი კონცერტი ტრიუმფად იქცა. მაშინ შოპენი 22 წლის იყო. სამშობლოს მოცილებულ ახალგაზრდა მაესტროს ხშირად იპყრობდა სევდა. ამას დაემატა ცნობილი მწერალი ქალის ჟორჟ ზანდის სიყვარული, რამაც მას ბოლოს დიდი მწუხარება განაცდევინა. შოპენი გარდაიცვალა 1849 წლის ოქტომბრის 17-ს.

შოპენი კომპოზიტორებში ყველაზე უფრო აფასებდა მოცარტს, მისი რეკვიემი კულტად ჰქონდა გადაქცეული. შოპენის ანდერძისამებრ, მეს დასაფლავებაზე შესრულებულ იქნა მოცარტის რეკვიემი მაშინდელ ცნობილ მსახიობების მიერ. პოლონელმა პატრიოტებმა საგანგებო ლარნაკით სამშობლოში ჩამოიტანეს მისი გული და მოათავსეს ვარშავის წმ. ჯვრის ტაძარში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშისტების თავდასხმისას, ხალხმა შოპენის გული გადამალა. შოპენის მუსიკა ჰარმონიული სილამაზისა და მელოდიურობის მსოფლიო შედევრების გვირგვინს წარმოადგენს. იმავე დროს იგი ღრმად ეროვნული შემოქმედების ნაყოფია.

58. (გვ. იქვე) კ ო ლ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი იყო პოეტ ვახტანგ ორბელიანის შვილი. „კაცი განათლებული, პროკურორად ნამყოფი, კარგი მოლაპარაკე, არც უნიჭო, მაგრამ ფუჭი ცხოვრების ამყოლი, უთავბოლო, რომელმაც მამისაგან დარჩენილი დიდი შეძლება იმ დროს გამოჩენილ მოჭიდავე კულა გლდანელს და ნადირობას გადააგო.“ (იხ. იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონება“. გამოვიდა ლ. ასათიანის რედაქციით. 1936 წ.).

59. (გვ. 53) „დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი“ ეკუთვნის ცნობილი ესპანელი მწერლის სერვანტესის კალამს. სერვანტესი დაიბადა 1547 წელს, გარდაიცვალა მადრიდში 1616 წლის აპრილის 23-ს (ძვ. სტ.) ცხოვ-

რებაში მწერალმა ბევრი განსაცდელი და გაჭირვება გამოიარა. სიკვდილის შემდეგაც ბედმა თითქოს დასცინა: მისი საფლავი დაიკარგა. ძეგლი დაუდგეს მხოლოდ 1835 წელს და პიედესტალზე ლათინურად წააწერეს: „მიგუელ სერვანტესს, ესპანელ პოეტების მეფეს“.

უკვდავი „დონ კიხოტი“-ს გარდა მას დარჩა მრავალი პიესა, ნოველა და ბრწყინვალე სონეტები.

ქართულად „დონ კიხოტი“ თარგმნა ნიკ. ავალიშვილმა (1844-1929) და ორივე ნაწილი შეპოკლებით გამოსცა 1864 წ. მეორედ პირველი ნაწილი სრულად, დორეს სურათებით, დაიბეჭდა და „ცნობის ფურცელის“ ხელისმომწერლებს პრემიად დაურიგდა 1906 წელს.

იგივე თარგმანი იბეჭდება და წელს გამოვა მთლიანი სახით (ორივე ნაწილი) ნიკ. აგიაშვილის რედაქციით. ბეჭდავს საბლიტგამი.

60. (გვ. იქვე) ფ ე ნ ე ლ ო ნ ი იყო XIV საუკუნის ფრანგი მწერალი და მოაზროვნე.

61. (გვ. 54) ე რ მ ი ტ ა ჟ ი — მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა საგანძური ლენინგრადში. ერმიტაჟი განსაკუთრებით განთქმულია ყველა ეროვნებათა გენიალური მხატვრების სურათების კოლექციით.

62. (გვ. იქვე) ყ ა ზ ა ნ ი ს დ ა ი ს ა კ ი ს ტ ა ძ რ ე ბ ი. ყაზანის ტაძარი ლენინგრადში აგებულია აკადემიკოს ვორონინის გეგმით 1811 წელს, ხოლო ისაკის ტაძარი—მონფერანის გეგმით 1818-58 წლებში. მისი აგება გრძელდებოდა 40 წელიწადს.

63. (გვ. იქვე) პ ე ტ რ ე პ ი რ ვ ე ლ ი ს ძ ე გ ლ ი გააკეთა ცნობილმა ფრანგმა მოქანდაკემ მორის ფალკონემ (1716—1791). ძეგლი შესანიშნავია თავის კომპოზიციით და მონუმენტალობით.

64. (გვ. 55) ს მ ო ლ ნ ი ს ქ ა ლ თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი წინათ იყო დედათა მონასტერი, რომელიც ინსტიტუტად გადაკეთდა 1868 წელს. ინსტიტუტში სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდნენ პრივილეგიური წოდების ქალიშვილები. სმოლნის შესანიშნავი ტაძარი აგებულია ცნობილ არქიტექტორის რასტრელის მიერ.

65. (გვ. იქვე) მ ა რ ი ნ ი ს თ ე ა ტ რ ი ს ადგილას, ძველ პეტერბურგში, სამეფო ცირკი იყო.

იგი ოპერის თეატრად გადაკეთებულ იქნა 1860 წელს. ახლა მასში მოთავსებულია კიროვის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრი.

66. (გვ. 56) ფ რ ი დ რ ი ხ მ ე ო რ ე (1720-86) შვილი იყო ვილჰელმ პირველის. ფრიდრიხი გამუდმებულ ომებს აწარმოებდა მახლობელ სახელმწიფოების ტერიტორიების დასაპყრობად, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა განსაკუთრებით გლეხობას.

67. (გვ. იქვე) გ ე რ ც ე ნ ი ალექსანდრე ივანეს-ძე დაიბადა 1812 წელს. გარდაიცვალა 1870 წელს. იგი იყო: „მწერალი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში“ (ლენინი). მეფის მთავრობა მას გამუდმებით დევნიდა. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, 1847 წელს იძულებული გახდა დაეტოვებია რუსეთი. სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრების შემდეგ, გერცენი 1852 წელს დასახლდა ლონდონში. აქ მან მოაწყო „თავისუფალი რუსული სტამბა“, სადაც ბეჭდავდა რევოლუციური შინაარსის კრებულებს, 1857 წლიდან ოგარიოვთან ერთად დაიწყო ჟურ. „კოლოკოლის“ გამოცემა. ამ ჟურნალში, სხვათაშორის, რიონელის ფსევდონიმით, თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძეც, რომელიც პირადად კარგად იცნობდა გერცენს.

68. (გვ. იქვე) კ ა რ ლ V, გერმანიის იმპერატორი, გარდაიცვალა 1558 წელს.

69. (გვ. იქვე) ე ი ფ ე ლ ი ს კ ო შ კ ი აგებულია ინჟინერ ეიფელის შიერ 1888 წელს, მისი სიმაღლე აღემატება 140 მეტრს. კოშკი მთლიანად რკინისაა. 1905 წელს პარიზში ყოფნისას აკაკი წერეთელმა დასწერა ლექსი „ეიფელის კოშკი“, რომელიც დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1906 წელს.

70. (გვ. 58) ლ ი უ დ ო ვ ი კ XIV (1638-1715). მან შესძლო აბსოლუტური ერთმმართველობის მონარქიული ძალაუფლების ხელში ნაგდება. „სახელმწიფო—ეს მე ვარო“ ამბობდა იგი. ვერსალში მისმა ბლაპრული ფუფუნებით ცხოვრებამ და ხშირმა ომებმა გააღატაკა ხალხი, რის გამოც ხშირი იყო აჯანყებები.

71. (გვ. 65) ი ნ გ ლ ი ს ი ს პ რ ე მ ი ე რ ა დ მაშინ იყო სალისბერი უფრო სწორად სალსბრი, (1830—), კონსერვატორების ლიდერი,

რომელმაც თავის აგრესიული პოლიტიკით 1899 წელს ინგლისი მიიყვანა ტრანსვაალთან ომამდე.

72. (გვ. იქვე) მ ა კ-კ ი ნ ლ ე ი ამერიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა 1897 წელს.

73. (გვ. იქვე) ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ა ანუ ისკანდერიე, როგორც მას უწოდებდნენ არაბები, ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა 331 წელს ჩვენს ერამდე.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იყო ნახევარ მილიონამდე ხელნაწერი. ამ ბიბლიოთეკამ შემოუნახა კაცობრიობას ჰომეროსის, ესქილეს, არისტოფანეს, საფოს, ალკეოსის ტექსტები და ევრიპიდეს ტრაგედიების დედნები. ბიბლიოთეკაში უმთავრესად მუშაობდნენ იმ დროის გამოჩენილი ისეთი პოეტები, როგორიც იყვნენ კალიმაქე და აპოლონიოს როდოსელი. როდოსელმა აქ დასწერა თავის შესანიშნავი პოემა „არგონავტიკა“ ანუ თქმულება ოქროს საწმისზე. ამ პოემაში დაცულია ძვირფასი ცნობები, როგორც ძველ საქართველოზე, ისე მაშინდელი ქართული ტომების—ხალიბების, ტიბარენების და მოსინიკების ზნე-ჩვეულებათა და ყოფა-ცხოვრების აღწერილობანი. პირველად როდოსელმა მოგვცა თავის „არგონავტიკაში“ კოლხიდის ქალაქის—ქუთაისის სურათი.

74. (გვ. 61) ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი დაიბადა მაკედონიაში 356 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე. მისი აღმზრდელი იყო ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელი. ალექსანდრემ ზედმიწევნით იცოდა მაშინდელი ლიტერატურა და ფილოსოფია. განსაკუთრებით უყვარდა „ილიადა“. გამეფდა მამის, ფილიპეს, სიკვდილის შემდეგ. მან დაიპყრო თითქმის მთელი აღმოსავლეთი. თავის უზარმაზარ სახელმწიფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადა ბაბილონი. როცა მან ეგვიპტე დაიპყრო, იქაურ წესებსა და ტაძრებს ხელი არ ახლო, რისთვისაც ქურუმებმა იგი ამონის (მზის ღმერთი) შვილად გამოაცხადეს.

ძველი ქართული წყაროების მიხედვით ალექსანდრე მაკედონელს იბერიაც დაულაშქრავს. მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს. ძეგლია) გადმოგვცემს, რომ მაკედონელი შემოსულა მტკვრის ხეობაში, დაუპყრია იგი და მცხეთაში გაუმეფებია ე. წ. არან ქართლის მეფის ძე აზოი. მეორე უძველეს (XI ს.) მატიანეში „მეფეთა ცხოვრებაში“

ლეონტი მროველი წერს: მაკედონელმა „დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყნისანი, ესე გადმოვიდა დასავლით, და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდავლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად“. ნახევარი წლის განმავლობაში ალექსანდრეს აუღია მრავალი ციხე-ქალაქი (ხერთვისი, ოძრხე, ურბნისი, კასპი, უფლის-ციხე, მცხეთა, რუსთავი), მაგრამ ძლიერ გაძალიანებია ქალაქი სარკინე. მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის ამბავს აღწერს დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც (XII ს. პირველი ნახ.), ამასვე. იმეორებს ვახუშტიც (1696-1772). და სხვ.

უფრო ადრინდელი უცხოელი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ საქართველოში მაკედონელის ლაშქრობას (მაგ. რომაელი ისტორიკოსი რუფუსი, სოლინიუსი და სხ.). მე-19 საუკუნის და შემდეგ დროის ზოგიერთ ქართველ მკვლევარს კი მაკედონელის ყოფნა საქართველოში საეჭვოდ მიაჩნიათ.

ალექსანდრე გარდაიცვალა 323 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე, ციებ-ცხელებით.

75. (გვ. 63) ინგლისმა ბურების რესპუბლიკას, ტრანსვაალს ოფიციალურად ომი გამოუცხადა 1899 წლის ოქტომბრის 11-ს და ამავე დღეს დაიწყო საომარი მოქმედება.

76. (გვ. 64) პ ა ვ ლ ე კ რ ი უ გ ე რ ი—სამხრეთ-აფრიკის ბურების რესპუბლიკის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა 1825 წ. ინგლისის გამგებლობაში არსებულ კაპსკის კოლონიაში, საიდანაც, ინგლისის აგრესიის გამო, 1835 წელს მისი მშობლები სხვა ბურებთან ერთად გადასახლდნენ მდ. ორანჟის ჩრდილოეთით. ბურებმა აქ, მდინარეების ვაალისა და ლიმპოპოს შორის დააარსეს რესპუბლიკა, სახელწოდებით ტრანსვაალი. რესპუბლიკის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე უხვად მოიპოვებოდა მადნეული, გარდა ამისა, ნიადაგი ნოყიერი, ბუნება ლამაზი და ჰავა ჯანსაღი იყო. კრიუგერი 1864 წელს არჩეულ იქნა რესპუბლიკის მთავარსარდლად. იგი თავგამოდებით იბრძოდა ინგლისის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა ტრანსვაალის დაპყრობა. 1880-81 წელს ინგლისის მიერ ატეხილ ომის დროს, გენერალ ჟუბერთან და რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტთან ერთად კრიუგერი სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის ჯარს

და სასტიკად დაამარცხა ინგლისელები. 1883 წელს კრიუგერი აირჩიეს პრეზიდენტად. შემდეგ ამისა იგი ზედი-ზედ კვლავ არჩეულ იქნა პრეზიდენტად 1888, 1893 და 1898 წლებში.

ინგლისელებმა ტრანსვაალის დასაპყრობად 1899 წელს ბურებს გამოუცხადეს ახალი ომი. მიუხედავათ თავგანწირული ბრძოლისა, მტრის მეტად ჭარბმა ძალებმა ბურები დაამარცხეს.

კრიუგერი გარდაიცვალა 1904 წელს შვეიცარიაში.

77. (გვ. 65) ფ რ ე ნ ჩ ი (1852-1925). ინგლისის ფელდმარშალი. ინგლის-ბურების ომის დაწყებისას სარდლობდა ცხენოსანთა ჯარს. ფრენჩი ატარებდა სპეციალურ თარგით შეკერილ პიჯაკს, რომელიც შემდეგ გავრცელდა და ეწოდა მისი სახელი.

78 (გვ. 68) დ ე დ ო ფ ა ლ ი ვ ი ქ ტ ო რ ი ა—დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის დედოფალი 1837 წლიდან. დაიბადა 1819 წელს, გარდაიცვალა 1901 წელს.

79. (გვ. 69) ლ უ ც ი ფ ე რ ი ახალი აღთქმით იყო თავხედი ანგელოზი, რომელიც წინ აღუდგა ღვთის ნებას, რის გამოც ჩაგდებულ იქნა ქვესკნელში. ამის მიხედვით ლუციფერი წარმოადგენს თვალთმაქცის, ბოროტი სულის სინონიმს.

80. (გვ. 70) მ ა კ ი ა ვ ე ლ ი ნიკოლო-დი-ბერნარდი (1469-1527) იყო იტალიის სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი-დრამატურგი. თავის პოლიტიკურ ტრაქტატებში და ცნობილ ნაწარმოებში („ხელმწიფე") ქადაგებდა ცბიერ პოლიტიკურ მოღვაწეობის წესებს და დიპლომატებს ურჩევდა არასოდეს არ ეხელმძღვანელათ მორალური პრინციპებით, ამის შემდეგ იქცა მისი გვარი არაპირდაპირობის, დაუნდობლობის და მზაკვრობის სინონიმად.

81. (გვ. იქვე) ვ ი ლ ჰ ე ლ მ II გერმანიის უკანასკნელი იმპერატორი. 1914-18 წლის ომში დამარცხების შემდეგ გაიქცა ჰოლანდიაში.

82. (გვ. იქვე) ბ ო ქ ს ი ო რ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ჩინეთში მოხდა 1899 წელს. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ ე. წ. „ი-ხე-ციუან" („მუშტი სამართლიანობისა და წესრიგის დასაცავად"), აგრეთვე, მეორე საზოგადოება სახელწოდებით „დაო-დაო-ხუი" („დიდი დანა") და „დაციაუან-ხუი" (საზ-ბა „დიდი მუშტი"). ასეთ სახელწოდებათა გამო ინგლისელებმა აჯანყების მონაწილეებს დაარქვეს ბოქსიორები.

აჯანყება უმთავრესად მოაწყვეს გლეხებმა და ქალაქის ღარიბმა მშრომელებმა.

აჯანყების მიზანი იყო უცხოელების განდევნა ჩინეთის საზღვრებიდან. როგორც ცნობილია, ჩინეთი უნდოდათ კოლონიად გადაექცია გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის იმპერიალისტებს და მეზის რუსეთს. ამ მიზნით ჩინეთში გავლენის მოსაპოებლად ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ, მაგრამ აჯანყების დროს იძულებულნი გახდნენ შეერთებულიყვნენ. აჯანყებას პირველ ხანებში მხარი დაუჭირა ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა ცზი სიმ. მაგრამ შემდეგ, როცა აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო, შეეშინდა ხალხს თავის რისხვა მისკენაც არ მიემართა და უცხოელებს მიემხრო, რომ ტახტი შეენარჩუნებია. უცხო სახელმწიფოთა კავშირმა ჩინეთის რეაქციონერებისა და დედოფლის დახმარებით აჯანყება ჩააქრეს. ამ აჯანყების დროს მოკლეს გერმანიის ელჩი ბარონი კეტტელერი.

83. (გვ. 71) იგულისხმება ინგლისის ვერაგული გალაშქრება ბურების წინააღმდეგ 1880 წელს.

84. (გვ. 72) ჰ უ გ ე ნ ო ტ ე ბ ი პროტესტანტებს ეწოდებათ. ჰუგენოტი წარმოდგება ჟენევის მოქალაქის სახელიდან—გიუგა, რომელიც იყო პროტესტანტობის მქადაგებელი. მიუხედავად სასტიკი დევნისა, პროტესტანტობა საფრანგეთში ჩქარა გავრცელდა, განსაკუთრებით კალვინის (მოღვაწეობდა 1564 წლამდე, წარმოშობით ფრანგი, უმთავრესად ცხოვრობდა ჟენევაში) მოძღვრების შემდეგ. ამიტომ პროტესტანტებს კალვინისტებსაც ეძახიან.

პროტესტანტულსა და კათოლიკურ ეკლესიის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ხშირად ქცეულა აჯანყებად და შინაურ ომად.

85. (გვ. იქვე) ბ უ რ ი ,ჰოლანდიური სიტყვაა და ნიშნავს გლეხს, მიწის მუშას.

86. (გვ. იქვე) ბ ა თ ლ ო მ ე ს ღ ა მ ე, ესაა 1572 წლის 24 აგვისტოს ღამე, სხვაგვარად ამ ღამეს ეძახიან პარიზის სისხლიან ქორწილს. 24 აგვისტოს, ღამით, პარიზში შეიკრიბენ ჰუგენოტები, რომ ედღეესასწაულათ თავიანთი წინამძღოლის ჰენრიხ ნავარიელის და კარლ IX დის მარგარიტა ვალუას ქორწილი. კარლ IX დედა ეკატერინე მედიჩი ჰუგენოტების საშინელი მტერი იყო, რადგან ჰუგენოტების

გაძლიერების გამო ეშინოდა სასახლეში მისი გავლენა არ შემცირებულიყო. განსაკუთრებით არ უყვარდა ჰუგენოტების სულისჩამდგმელი ადმირალი კოლინი, რომელსაც ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა კარლ IX. მედიჩიმ თავის სუსტი ნების შვილს ჩააგონა, რომ თითქოს ჰუგენოტებს მისი ტახტიდან გადაგდება უნდოდათ. დედისვე რჩევით კარლმა გასცა ბრძანება დის ქორწილის ღამეს მოეწყოთ ჰუგენოტების მასიური ჟლეტა. კარლმა თავის ბრძანებას სარჩულად დაუდვა კათოლიკური ეკლესიისადმი ჰუგენოტების მტრული დამოკიდებულება. ბათლომეს ღამეს პარიზში გაწყვიტეს 2000 ჰუგენოტზე მეტი. მათ შორის ფანჯრიდან გადააგდეს და მოკლეს ადმირალი კოლინიც. ამის შემდეგ საფრანგეთის სხვა ქალაქებშიაც გაჟლიტეს 30.000-მდე ჰუგენოტი. შემდეგშიც არ შეწყვეტილა პროტესტანტების დევნა, რასაც ბოლოს მოყვა ჰუგენოტების მასიური გაქცევა საფრანგეთიდან, მათი ნაწილი გადასახლდა სამხრეთ-აფრიკაში. სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულმა ჰუგენოტებმაც მალე აფრიკას მიაშურეს.

87. (გვ. 74) ორანჟის რესპუბლიკა დააარსეს ბურებმა 1836 წ. ინგლისელებმა 1848 წელს მოინდომეს ორანჟის დაპყრობა, მაგრამ წააწყდნენ ბურების უდიდეს წინააღმდეგობას და იძულებული გახდნენ განზრახვაზე ხელი აეღოთ. 1870 წელს ორანჟის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ალმასის საბადო, ამ საბადოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს 1876 წელს. ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, შტეინმა, ბურების მეორე რესპუბლიკასთან, ტრანსვაალთან 1896 წელს დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ორანჟიმ ინგლის-ბურების ომის დროს (1899-1902 წ.) დაიჭირა ტრანსვაალის მხარე და მასთან ერთად იბრძოდა დამპყრობელი ინგლისელების წინააღმდეგ.

88. (გვ. იქვე) სესილ როდსი, ინგლისელი კაპიტალისტი, მან სამხრეთ-აფრიკაში 1890 წ. შექმნა საზ-ბა „პრივილეგიური კომპანია“, რომელსაც უნდოდა ხელში ჩაეგდო ტრანსვაალიც, იქ აღმოჩენილ ოქროს და ალმასის მდიდარი საბადოების გამო. სესილ როდსი იყო ბურების რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მტერი და მის წინააღმდეგ ომის წამოწყების ინიციატორი.

89. (გვ. იქვე) გლადსტონი ვილიამ-ევარტი (1809-98) ინგლი-

ლის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მრავალი წლის განმავლობაში იყო ინგლისის მთავრობის პრემიერ-მინისტრი. როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო საკითხებში აწარმოებდა შედარებით ლიბერალურ პოლიტიკას.

90. (გვ. 78) რ ე მ ბ რ ა ნ დ ტ ვან-რეინ, უდიდესი ჰოლანდიელი მხატვარი და გრავიორი, იყო მეწისქვილის შვილი. დაიბადა 1606 წლის ივლისისის 15. რემბრანდტის უფროსი ძმები ყველანი ხელოსნები იყვნენ. მამამ გადაწყვიტა რემბრანდტისათვის მაინც ესწავლებია, მაგრამ ბავშვი უხალისოდ დადიოდა სკოლაში. მას უფრო მხატვრობა იტაცებდა. მამა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებია შვილის სურვილი და იგი მიაბარა მხატვარს ვან-სვანენბიურხს. სამი წლის შემდეგ რემბრანდტი გადასახლდა ამსტერდამში, სადაც პიტერ ლასტმანის ხელმძღვანელობით დაიწყო მეცადინეობა. 1627 წლიდან რემბრანდტი სახელოვანი მხატვარი ხდება. 1634 წელს შეირთო სასკია იულენბორხი, რომელმაც განსაკუთრებული პირობები შეუქმნა ქმარს შემოქმედებისათვის, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ რემბრანდტის ცხოვრების პირობები გაუარესდა. ახლა მხატვარს გვერდში ამოუდგა მისივე მოსამსახურე გენდრიკიე. მან მოაწყო საყვარელი ძხატვრის სავაჭრო გალერეია და რემბრანდტის მატერიალური მდგომარეობა ცოტათი გამოკეთდა. მალე გარდაიცვალა გენდრიკიეც და იგი კვლავ უმწეოდ დარჩა. რემბრანდტს აკლდა პრაქტიკული ცხოვრების ნიჭი. სრულიად გაღარიბებული გენიალური მხატვარი მოკვდა ულუკმაპუროდ 1669 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

91. (გვ. 83) ჟ უ ბ ე რ ი პეტრე, იყო ბურების გამოჩენილი მთავარსარდალი. იმავე დროს 1896 წ. არჩეულ იქნა ტრანსვაალის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტად. წარმოშობით ფრანგი, ჰუგენოტი, დაიბადა 1831 წლის იანვრის 20-ს. გარდაიცვალა 1900 წლის მარტის 27-ს.

92. (გვ. იქვე) კ რ ო ნ ი ე არნოლდ, ბურების შესანიშნავი მხედართმთავარი, რამდენჯერმე მან სასტიკად დაამარცხა ინგლისელები. 1900 წელს ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს. დაიბადა 1840 წელს.

93. (გვ. იქვე) დ ე ლ ა რ ე ი ი ა კ ო ბ, ბურების პოლიტიკური მოღვაწე და გენერალი, დაიბადა 1847 წელს. 1893 წლიდან იყო ბურების სახალხო საბჭოს წევრი. დელარეიმ ინგლის-ბურების ომის

დროს 1899-1902 წლებში თავი ისახელა როგორც პარტიზანული ბრძოლის საუკეთესო ხელმძღვანელმა. გარდაიცვალა 1914 წელს.

94. (გვ. 85) რ ო ბ ე რ ტ ს ფ რ ე დ ე რ ი კ, ლორდი, ინგლისის გენერალი, დაიბადა 1832 წელს. ბურებთან ომის დროს იყო სამხრეთ-აფრიკაში ინგლისის სამხედრო ძალთა მთავარი სარდალი.

95. (გვ. იქვე) კ ი ტ ჩ ე ნ ერ გ ე რ ბ ე რ ტ, ინგლისის ფელდმარშალი (1850-1916). ინგლის-ბურების ომის დროს პირველად იყო რობერტსის შტაბის უფროსად, შემდეგ რობერტსის უკან გაწვევის გამო, 1900 წელს დაინიშნა მთავარსარდლად. ბურებთან ომში გამოიჩინა ნამდვილი ველურობა. ბურების ქალებს და ბავშვებს ყრიდა საკონცენტრაციო ბანაკებში, წვავდა ბურების სახლ-კარს, ანადგურებდა ნათესებსა და პირუტყვს. როცა 1916 წელს რუსეთში მიდიოდა, კრეისერი „მამპშირ“ წააწყდა ნაღმს და გემთან ერთად დაიღუპა.

96. (გვ. 86) ც ი ც ი ნ ა ტ ი იყო რომის სახელოვანი მხედართმთავარი (460 წ. ჩვენს ერამდე). ყოველი ომის შემდეგ, იგი უბრუნდებოდა მიწის მუშაობას.

97. (გვ. იქვე) კ ა ფ რ ი ზანგების სხვადასხვა ტომია სამხრეთ-აფრიკაში.

98. (გვ. 87) შ ტ ე ი ნ ი — ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

99. (გვ. 88) დ ი ზ რ ა ე ლ ი (ბიკონსფილდ) ბენჟამენ (1804-81), ინგლისის გრაფი, კონსერვატიული პარტიის ბელადი, პრემიერი. ისტორიაში ცნობილია როგორც დახელოვნებული და ცბიერი დიპლომატი.

100. (გვ. იქვე) ჩ ე მ ბ ე რ ლ ე ნ ი ჯოზეფ, ინგლისის პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა 1836 წელს. ის იყო ინგლისის იმპერიალისტური ექსპანსიის მეთაური და ბურების წინააღმდეგ ომის დაწყების მთავარი ინიციატორი. ამ ხანებში მას ეჭირა ინგლისის კოლონიების საქმეთა მინისტრის პოსტი. ჩემბერლენი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისის შოვინისტურ წრეებში. მამის გზას გაჰყვა მისი შვილიც ნოილ ჩემბერლენი.

101. (გვ. 95) გ ე ნ ე რ ა ლ ი ბ ო ტ ა იყო ბურების გამოჩენილი გენერალი. ჟუბერის სიკვდილის შემდეგ დაინიშნა ბურების მთავარ-

სარდლად. ბურების თვალში მან დაიმსახურა ეროვნული გმირის სახელი. ლუი ბოტა დაიბადა 1862 წ. გარდაიცვალა 1919 წელს.

102. (გვ. იქვე) დ ე ვ ე ტ ხ რ ი ს ტ ი ა ნ, ბურების ცნობილი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა 1854 წელს. ინგლის-ბურების პირველი ომის დროს 1880-81 წელს იყო ოფიცერი, მეორე ომის დროს კი თავი ისახელა როგორც გულადმა და ნიჭიერმა გენერალმა. გარდაიცვალა 1922 წელს. ჰოლანდიურ ენაზე დასწერა მოგონება ინგლის-ბურების ომის შესახებ, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა.

103. (გვ. 97) ვ ო ლ ო ნ ტ ე რ ი ეწოდება თავის ნებით ჯარში წასულს და მტრის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო ამოცანის სურვილისამებრ შემსრულებელს.

104. (გვ. იქვე) უ ი ნ ს ტ ო ნ ჩ ე რ ჩ ი ლ ი დაიბადა 1874 წელს, იგი შვილია ცნობილ კონსერვატორის რ ა დ ო ლ ფ ი ს (1849-95). უინსტონ ჩერჩილი მუშათა კლასის სასტიკი მტერია. ამიტომაც იგი თავიდანვე იყო „საბჭოთა რუსეთის უდიდესი მოძულე“ (ლენინი). ჩერჩილი ახლაც თავგამოდებით იბრძვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გააფთრებით ცდილობს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას.

105. (გვ. 99) მ ა რ ი ბ რ ო ს ე (1801-1880) ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი. აღმოსავლურ ენებიდან პირველად მან ჩინური შეისწავლა, შემდეგ ქართული და სომხური. დაწერილი აქვს ქართული და სომხური ლიტერატურის, ისტორიის და არქეოლოგიის გამოკვლევები. კერძოდ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიის და ქართული წარსული კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში. ბროსეს მოუხილველი არ დარჩენია თითქმის არც ერთი ქართული ისტორიული წყარო. მისი მრავალი შრომა საქართველოზე უმთავრესად გამოცემულია ფრანგულად. პეტერბურგში 1849 წელს მან პირველმა გამოსცა ქართულად „ქართლის ცხოვრება“ (I ტომი).

106. (გვ. იქვე) პ ე ტ რ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი (1765—1812), რუსეთის ჯარის გამოჩენილი გენერალი, მხედართმთავრების სუვოროვის და კუტუზოვის თანამებრძოლი. 1812 წელს სასიკვდილოდ დაიჭრა ბოროდინოს ველზე ნაპოლეონთან ბრძოლაში.

107 (გვ. 112) ე დ უ ა რ დ VII, დედოფალ ვიქტორიას შვილი, დაიბადა 1841 წელს. 1900 წელს იგი ესტუმრა პეტერბურგს, როცა უკან ბრუნდებოდა, დანიაში გზად გავლისას, ბრიუსელში ახალგაზრდა რევოლუციონერმა მუშამ სიპდომ ესროლა, მაგრამ ააცდინა. ვიქტორიას სიკვდილის შემდეგ იგი ინგლისის ტახტზე ავიდა 1901 წლის 22 იანვარს.

108. (გვ. 114) ა ტ ი ლ ა —ჰუნების მეფე 433 წლიდან. შექმნა უდიდესი სახელმწიფო ვოლგიდან დაწყებული გერმანიამდე. მალე ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო მთლად გერმანია, გალია და რომის იმპერიის აღმოსავლეთი მხარე. იგი შიშის ზარს ცემდა რომს, ბიზანტიას და ევროპას. რეზიდენცია ჰქონდა ზემო უნგრეთში. შესახედავად ართვალი კაცი იყო. დაუნდობლობისა და თავისი ველური ხასიათის გამო „ღვთის რისხვა“ შეარქვეს. ატილამ 453 წელს შეირთო ბურგუნდელი ილდიკო, მაგრამ ქორწინების ღამეს იგი გარდაიცვალა. ფიქრობენ თითქოს ატილა ილდიკოს მოეკლას თავისი ხალხის განადგურების გამო. გადმოცემით, ატილას ცხედარი ჩაუსვენებიათ ჯერ ოქროს კუბოში, მერმე ოქროს კუბო მოუთავსებიათ ვერცხლისაში, ვერცხლის კუბო კი ჩაუდვიათ რკინის კუბოში და დაუკრძალავთ მდინარე ტისას ფსკერზე, რისთვისაც მდინარე გადაუგდიათ სხვა მიმართულებით, დაკრძალვის შემდეგ კი ისევ ძველ კალაპოტში გადაუშვიათ.

109. (გვ. იქვე) ბ ლ ო კ ჰ ა უ ს ი—მტრისაგან თავდასაცავი სიმაგრე, რომელშიაც ცხოვრება შეიძლება. ასეთ შენობას უფრო მიწის ქვეშ აგებენ.

110. (გვ. 117) წმ. ე ლ ე ნ ე ს კ უ ნ ძ უ ლ ი აღმოჩენილი იქნა 1501 წელს პორტუგალელ მეზღვაურის კასტელის მიერ წმ. ელენეს დღეს, რისთვისაც კუნძულს უწოდეს „წმ. ელენეს კუნძული“. 1645 წ. კუნძულზე დასახლდნენ ჰოლანდიელები, შემდეგ დაიპყრეს ინგლისელებმა და აქციეს თავის კოლონიად. მკვიდრ მცხოვრებლებს, უმთავრესად, შეადგენდნენ ზანგები. კუნძული მდებარეობს სამხრეთ-აფრიკის დასავლეთით. ატლანტიკის ოკეანეში ამართულს, უზარმაზარი პირამიდული შესახედაობა აქვს. იგი მთაგორიანია, კლდოვანი, მაგრამ აქვს ვაკე ადგილებიც. ერთ-ერთ ასეთ ვაკეზე, სახელწოდებით

ლონგვუდზე, ცხოვრობდა ნაპოლეონი. კუნძულზე ყველაზე უფრო ცივა ავვისტოში, ცხელა — თებერვალში.

111. (გვ. 121) ი უ პ ი ტ ე რ ი — ძველ რომაელების წარმოდგენით წვიმისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი; ბერძნულ მითოლოგიაში — იგივე ზევსი, ღმერთების მამა და მეფე.

112. (გვ. იქვე) ქ ა მ ე ლ ე ო ნ ი — ხვლიკის ერთ-ერთი ჯიშია. აქვს უცნაური თვისება — ყოველწამს შეუძლია იცვალოს ფერი. ცხოვრობს ხეზე აფრიკასა და ინდოეთში.

113. (გვ. 125) ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს მ ა მ ე ლ უ კ ი იყო ქართველი. მის შესახებ კონსტანი* თავის მემუარებში წერს შემდეგს: „იმპერატორის მამელუკის სახელით ცნობილი რუსტანი იყო კარგი ოჯახის შვილი საქართველოდან. ექვსი თუ შვიდი წლის იქნებოდა, როცა ის მოიტაცეს და წაიყვანეს ქაირში, სადაც იგი იზრდებოდა, როგორც მონა, სრულ ასაკამდე, რის შემდეგაც გახდა მამელუკი. ეგვიპტეში ლაშქრობისას გენერალ ბონაპარტს** ქაირის შაჰმა საჩუქრად მიართვა რამდენიმე არაბული ცხენი და ამავე დროს ორი მამელუკი რუსტანი და იბრაჰიმიც თან გაატანა. ნაპოლეონმა ქართველი მამელუკი რუსტანი დაიტოვა თავის ამალაში, ხოლო მეორე მამელუკი შემდეგში ალის სახელწოდებით ცნობილი, განამწესა ჟოზეფინას ამალაში. რუსტანი ისე დაიახლოვა იმპერატორმა, რომ იგი ყველგან აუცილებლად ახლდა მას, სადაც კი საჯაროდ გამოჩნდებოდა. რუსტანი აგრეთვე იმპერატორს ახლდა მოგზაურობების დროს და, რაც განსაკუთრებით შეადგენს რუსტანის დამსახურებას, იგი მონაწილეობას იღებდა ყველა მის ომში. ნაპოლეონის შტაბის წევრთა შორის თავისი იერით და აღმოსავლური ჩაცმულობით ყველაზე უფრო ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ახდენდა რუსტანი. იგი სარგებლობდა ნაპოლეონის დიდი ნდობით, რასაც ზოგიერთები ხსნიან იმით, რომ ერთხელ რუსტანმა მტრის მოქნეული ხმალი ააცდინა ნაპოლეონს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.

რუსტანმა ცოლად შეირთო ახალგაზრდა ლამაზი ფრანგის

---

* კონსტანი იყო ნაპოლეონის კარის უფროსი გამრიგე.

** ეგვიპტიდან ინგლისის განსადევნად დირექტორიამ 1798—99 წელს ნაპოლეონის სარდლობით გააგზავნა ექსპედიცია. მაშინ ნაპოლეონი ბრიგადის გენერალი იყო.

ქალი, გვარად დუბილლ, რომლის მამაც იყო დედოფალ ჟოზეფინას კამერდინერი. ცოლის შერთვის შემდეგ რუსტანს ველარ ვხედავთ ნაპოლეონის ამალაში; გაზეთები უსაყვედურებდნენ რუსტანს იმას, რომ იგი 1814 და 1815 წლებში ბოლომდე არ მიჰყვა იმპერატორის ბედს" (Constant. Mémoires sur la vie privée de Napoleon sa famille et sa cour. Paris M. DCCC. XXX გვ. 63).

ნაპოლეონის შინაგან საქმეთა მინისტრის ფუშეს ცხოვრების და მოღვაწეობის მკვლევარის ლუი მადლენის მოწმობით, ყოფილა მომენტი, როცა ნაპოლეონს ფუშეს ადგილას უნდოდა დაენიშნა რუსტანი.

1827 წელს ერთ-ერთ სასამართლოში მოწმედ ყოფნისას, რუსტანი დაკითხვის დროს აცხადებს, რომ იგი წარმოშობით ქართველია, დაიბადა თბილისში, საქართველოში, არის ორმოცდაოთხი წლის. მაშასადამე იგი დაბადებულა 1783 წელს, ხოლო ტყვედ გაუყიდიათ 1789-90 წელს.

ქართველ მამელუკს სახელი შეუცვალეს რუსტანად, რომელიც მას გვარის მაგივრობასაც უწევდა. ყველა დოკუმენტებში იგი იხსენიება მარტო ამ სახელწოდებით.

პარიზიდან 50 კილომეტრის დაშორებით, ერთ პატარა ქალაქ დურდანში 1845 წლის დეკემბრის 7-ს გარდაიცვალა, ყველასაგან მივიწყებული, ერთ დროს ნაპოლეონის ბრწყინვალე მამელუკი რუსტანი. (ამ ცნობებზე მიმითითა მამია ხუხუნმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ).

114. (გვ. 129) ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი ჰოლანდიის დედაქალაქია. აქვს პირველხარისხოვანი ნავსადგური. ამსტერდამი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს.

115. (გვ. 132) ბ ა ს ტ ი ლ ი ი ს ა ღ ე ბ ა, ბასტილია მე-14-17 საუკუნეებში წარმოადგენდა სტრატეგიულ დიდი მნიშვნელობის პარიზის ციხე-სიმაგრეს. მისი აგება დაიწყო 1369 წელს, დამთავრდა 1382 წელს. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ის იქცა სახელმწიფო სატუსაღოდ, სადაც ამწყვდევდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლებს და თავისუფალ აზრების მქადაგებლებს. ბასტილიაში ორჯერ იჯდა დიდრო, პირველად 1717 წ., მეორედ 1726 წელს. მასში დაპატიმრებულნი იყვნენ, აგრეთვე, აბატი მორელი,

ლენგე, ბრისო და სხვ., ციხეში სვამდნენ არა მარტო ავტორებს, არამედ მათ წიგნებსაც ბასტილიის ჯურღმულებში ყრიდნენ. ერთ დროს აქ ლპებოდა დიდროსა და დალამბერის ენციკლოპედია. იყო ისეთი კურიოზული შემთხვევებიც, როცა მასში ამწყვდევდნენ ცოლქმრობის მოღალატის ცოლს, ურჩი შვილის მამას და სხ. ბასტილია წარმოადგენდა ძველი რეჟიმის სიმბოლოს, ამიტომ ხალხს დასანახავად ძულდა ის. როცა ახლად დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობის ჩასახშობად პარიზში რეაქციონერებმა დაიწყეს ჯარის თავის მოყრა და ამავე დროს გადადგა პოპულარული მინისტრი ნეკერი, პარიზის მცხოვრებლები აღშფოთდნენ და ქუჩაში გამოვიდნენ. აჯანყებული ხალხი პირველად სწორედ ბასტილიას მიადგა. ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი შეტევის შემდეგ, ბასტილია დანებდა აჯანყებულებს. ეს მოხდა 1789 წლის ივლისის 14-ს. ხალხის მოთხოვნით თავისუფლად არჩეულმა ნაციონალურმა კრებამ დაადგინა ბასტილიის დანგრევა, რაც სისრულეში მოყვანილი იქნა 1791 წელს.

116. (გვ. 133) ც ი ტ რ ა ხალხური სიმებიანი საკრავია გერმანიასა და ავსტრიაში. იგი უფრო გავრცელებულია ტიროლში. ზედ გაბმულია 30-მდე ლარი, ზოგჯერ უფრო მეტიც.

117. (გვ. 134) ლ ე ვ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს-ძ ე ტ ო ლ ს ტ ო ი, დაიბადა 1828 წელს აგვისტოს 28-ს (ძვ. სტ.) დედის მამულში—იასნაია პოლიანაში, რომელიც მდებარეობს ტულასთან ახლოს. თავის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში და აგრეთვე ტრაქტატებში ტოლსტოი უარყოფს ღმერთს, უარყოფს ღმერთკაცის ქრისტეს არსებობას, ზღაპრად აღიარებს იმ ამბავს, რომ თითქოს ქრისტეს დაბადებამდე მარიამი ქალწული ყოფილიყო. ტოლსტოი ეკლესიასა და მღვდელთ-მსახურებას ებრძოდა, არ ცნობდა იმიერ ცხოვრებას და ადამიანს აკისრებდა ელვაწა მხოლოდ ამ ქვეყნად სამართლიან და კეთილ ცხოვრებისათვის.

ასეთი მოძღვრებისათვის რუსეთის ე. წ. უწმინდესი სინოდის 1901 წლის თებერვლის 22-ს განჩინებით, ტოლსტოი შეჩვენებული იქნა.

118. (გვ. 136) დ ა ნ ტ ე - ა ლ ი გ ი ე რ ი იყო არა მარტო იტალიის, არამედ საშუალო საუკუნოების გენიალური პოეტი მთელ

მსოფლიოში. დაიბადა 1265 წელს, გარდაიცვალა 1321 წელს. უკვდავი სახელი დაიმკვიდრა თავის „ღვთაებრივი კომედიით“, რომელიც შესდგება სამი ნაწილისაგან: „ჯოჯოხეთი“ „სალხინებელი“ და „სამოთხე“. „ღვთაებრივი კომედია“ გამოვიდა ქართულად საბჭოთა ხელისუფლების დროს 1941 წ.; პირველი წიგნი ერთად თარგმნეს კონსტანტინე გამსახურდიამ და კონსტანტინე ჭიჭინაძემ, მეორე და მესამე თარგმნა საკუთრივ კონსტანტინე გამსახურდიამ.

„ღვთაებრივი კომედიის“ გარდა დანტეს აქვს აგრეთვე შესანიშნავი სონეტები და კანცონები.

119. (გვ. 149) დ უ ვ რ ი — ინგლისის ძლიერი გამაგრებული საზღვაო ქალაქია კენტის საგრაფოში, ლამანშთან.

120. (გვ. 150) ლ ა მ ა ნ შ ი ს ს რ უ ტ ე — ინგლისს ჰყოფს საფრანგეთიდან. ლამანშის ვიწრო ნაწილს ეწოდება პა-დე-კალე.

121. (გვ. 152) კ ო რ ნ ე ლ ი პ ი ე რ (1906—84), ცნობილი ფრანგი დრამატურგი-კლასიცისტი. ტრაგედიებს წერდა ლექსად.

122. (გვ. იქვე) ჟ ა ნ - ჟ ა კ - რ უ ს ო, უდიდესი ფრანგი მწერალი და მოაზროვნე, „ენციკლოპედიის“ თანამშრომელი, დაიბადა 1712 წელს გარდაიცვალა 1778 წელს. იგი ავტორია „ახალი ელოიზის“, „ემილი“-სა და „აღსარების“.

123. (გვ. იქვე) დ ი დ რ ო დ ე ნ ი (1713-84), ცნობილი ფრანგი ენციკლოპედისტი და მწერალი. ქართულად თარგმნილია მისი „რამოს ძმისწული“ და სხვ.

124. (გვ. იქვე) დ ა ლ ა მ ბ ე რ ი ჟან-ლე-რონ (1717-83), დიდროსთან ერთად სცემდა „ენციკლოპედიას“. გამოჩენილი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.

125. (გვ. იქვე) ლ უ ვ რ ი — ყველაზე ძველი სამეფო სასახლე პარიზში. პირვანდელი სახით იგი ააგეს 1204 წელს, მაგრამ, მრავალჯერ იქნა გადაკეთებული. საბოლოოდ მისი შენება დამთავრდა 1857 წელს. ამჟამად იგი წარმოადგენს მუზეუმს, სადაც თავმოყრილია უძველესი და შემდეგი დროის ყველა ხალხთა კულტურის ძეგლები და მხატვრულ ნაწარმოებთა მდიდარი კოლექცია.

126. (გვ. იქვე) ვ ე რ ს ა ლ ი იყო საფრანგეთის მეფეების რეზიდენცია. განთქმულია თავისი ბაღით.

127. (გვ. იქვე) ტ რ ი ა ნ ო ნ ი ეწოდება ორ სასახლეს ვერსალის ბაღში პარიზთან ახლოს, ერთი დიდი, ტრიანონი ააგო ლიუდოვიკ XIV, მეორე უფრო მომცრო—ლიუდოვიკ XV.

128. (გვ. იქვე) ვ ა რ ი ე ტ ე, მ უ ლ ე ნ - რ უ ჟ, ტ რ ო კ ა დ ე რ ო — გასართობი ადგილებია პარიზში.

ნიკო ბაგრატიონის მოგონება: „ბურებთან“

თავისუფლებისათვის ბურების გმირულმა ბრძოლამ განსაკუთრებული თანაგრძნობა მოიპოვა მაშინდელ მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში. იმავე დროს მოწინავე ინტელიგენცია და მშრომელთა ფართო მასები „თავიანთ გულისწყრომას გამოთქვამდნენ ინგლისელ დამპყრობელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც სისხლში ახრჩობდნენ ბურების რესპუბლიკას.

საქართველოშიაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ბურების ბრძოლამ. მაშინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსეა ინგლის-ბურების ომის მიმოხილვებით, ბურებისადმი თანაგრძნობის წერილებით, ბურების გამოჩენილ გენერლების და მებრძოლების სურათებით.

სხვადასხვა ქვეყნებიდან ბურების დასახმარებლად წავიდნენ მოხალისეები, მათ შორის იყო ნიკო ბაგრატიონიც. მისი მოგონება უთუოდ საინტერესო დოკუმენტია. ეს მოგონება, რომელიც ბაგრატიონს რუსულად დაუწერია და ხელნაწერის სახით დარჩენია, თარგმნის დროს ჩვენ სათანადო ლიტერატურულ მდგომარეობაში მოვიყვანეთ, თანაც დავურთეთ შედარებით ვრცელი შენიშვნები, რომ მკითხველს საშუალება ექნეს ფართოდ გაეცნოს ბაგრატიონის მიერ აღნიშნულ მოვლენებს, ფაქტებს და პიროვნებებს.

ნიკო ბაგრატიონი დაიბადა მუხრანში 1868 წელს, გარდაიცვალა 1933 წელს, თბილისში.

რაუდენ გვეტაძე

Н. БАГРАТИОНИ

У б у р о в

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота мцерали".
Тбилиси, 1951

Типография изд-ва „Сабчота мцерали"

* *

რედაქტორი გ. ნატროშვილი

* *

ტექრედაქტორი შ. დემეტრაძე
მხატვარი შ. ბერიტაშვილი
კორექტორი ლ. ზედგინიძე
კონტროლიორ-კორექტორი მ. ჯაფარიძე

* *

ჩელმოწერილია დასაბეჭდად 30. IV 1951 წ.,
ანაწყობის ზომა 5×7,25, სასტ. ფორმა 14,5,
სააღრიცხვო-საგამომც. ფ. 8,56, ტირ. 10,000.
შეკვეთის № 322. უმ 02601

* *

გამ-ბა „ხაბჭოთა მწერალი"-ს სტამბა,
თბილისი, ბლუხანოვის, 181

ფასი 7 მან.

კორექტორების მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება

1) სურათზე „ტყვეების ერთი ჯგუფი ელენეს კუნძულზე“, ჰოლანდიელების გვარები უნდა იკითხებოდეს ასე: ფოგელიუსი და ვიტხამორი.

2) მე 4 შენიშვნაში დაბეჭდილია: „ათი წლის პეტრე 1672 ნელს გამოცხადებული იქნა მეფედ“, უნდა იყოს: „1682 ნელს“.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ს სტამბა,
ქ. თბილისი, პლეხანოვის, 181,

წიგნში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ დააბრუნოთ წიგნი ამ იარლიკთან
ერთად.

მირ. წუნმდებელი 1.

7 зб.

94/99
З 146